პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე
ტელეფონები: რედაქტორის 14—76
მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 84, ტელეფონი № 8—81
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან. დანარჩენებისათვის—1 მანეთი და 30 კაპ.; განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ. ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 ს. სტამბის ტელეფ. 13—80 ექსპედ. 9—48.

ოთხშაბათი, 16 თებერვალი 1927 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 37 (1792)

დღიური

- ამხ. არალოვი მოსკოვში ჩამოვიდა.
- ამხ. იაგლომი გამოემგზავრა ნორვეგიიდან.
- ერთიანი მუშათა ფრონტი ბელგიაში.
- ახლო ხანში გაიხსნება გერმანიის კომპარტიის ყრილობა.
- არგენტინელ რევოლიუციონერის დაპატიმრება პარიზში.
- პროფკავშირების უფლებების შეზღუდვა ინგლისში.
- მატარებლების კატასტროფა ლონდონთან.
- აფეთქება აზერბ. კ. პ. ც. ს. კ. შენობაში.

ოთხშაბათს, 16 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, დანიშნულია
საქ.-რთვ. ცაკ-ის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა
საქ. ცაკ-ის მდივანი ხ. თოდრია

მუშაობა ეროვნულ უმცირესობათა შორის

(ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისია საქართვ. ცაკთან)

როგორც გამოცხადებული იყო გაზეთებში, საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან მოეწყო **ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისია**, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას. ამ კომისიას დავალებული აქვს ისეთ ღონისძიებათა შემუშავება და განხორციელება, რაც განავითარებს და განამტკიცებს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოსახლე ეროვნებათა შორის მშვიდობიან ურთიერთობას და მჭიდრო თანამშრომლობას, და რაც, აგრეთვე, ხელს შეუწყობს ეროვნულ უმცირესობათა ქონებრივ და კულტურულ წარმატებას. ასეთია ის მიზანი, რომელიც დასახული აქვს ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისიას. ჩვენთვის აქ არაფერი ახალი არ არის. ეს არის საბჭოთა ხელისუფლების ეროვნული პოლიტიკა, რომელსაც ჩვენ ვატარებდით და ვატარებთ ცხოვრებაში დღიდან ხელისუფლების დამყარებისა. ეს ის პოლიტიკაა ეროვნულ საკითხის სწორ გადაჭრაში, რომელიც მხოლოდ კომუნისტურმა პარტიამ შეიმუშავა ამხ. **ლენინის მეთაურობით.**

ეს პოლიტიკა ცნობილია ყველასათვის. ის მდგომარეობს არა თუ ყოველგვარ ეროვნულ შევიწროების და ჩაგვრის მოსპობაში, არამედ ყველა ეროვნებათა შორის, რა გინდ ჩამორჩენილი ან პატარა არ იყვნენ ისინი, სრულ და **ნამდვილ თანასწორობის** განხორციელებაში. ჩვენ უკვე დიდი ხანია ვიცით ის ჭეშმარიტება, რომ ასეთი მიზნის დასახვა და მისი განხორციელება შესაძლებელი შეიქნა მხოლოდ მას შემდეგ, რაც **სახელმწიფოს სათავეში მოექცა პროლეტარიატი.** მაგრამ აშკარაა, რომ შეუძლებელია ამ მიზნის ერთბაშად განხორციელება სხვადასხვა ერებში და განსაკუთრებით წვრილ ერებში, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში იტანჯებოდნენ და იჩაგრებოდნენ. რომ ასეთი მდგომარეობაც მოისპოს, ამისათვის დიდი მუშაობაა საჭირო. მაგრამ საჭირო იყო, რომ ეს მუშაობა დაწყებულიყო, და სწორედ ამაში მდგომარეობს საბჭოთა ხელისუფლების ერთი **უდიდესი მიღწევათაგანი, რომ მან ეს მუშაობა დაიწყო, და მოკლე ხნის განმავლობაში აქ ჩვენ გვაქვს საკმარისად საგრძნობი წარმატება.**

გადაჭარბება არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ჩვენ ამ მხრით, ე. ი. ეროვნულ საკითხის გადაჭრის საქმეში, გვაქვს საკმარისად დიდი მიღწევები. აქ არ გავაგრძელებ სიტყვას ამ მიღწევების შესახებ: ეს ბევრჯერ თქმულა და დაწერილა. მაგრამ ყველაზე უდიდესი საქმე იყო ის, **რომ ამხ. ლენინის უშუალო მითითებით,** საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღიდანვე აირო აქ **სწორი გეზი;** და მას შემდეგ ამ გზიდან მას არ გადაუხვევია. მაგრამ ამ გზაზე ბევრი დაბრკოლება გვეღობება წინ, ბევრ ხელისშემშლელ გარემოებასთან გვაქვს საქმე. ჩვენი მოსახლეობა მეტად ჭრელია ეროვნული შემადგენლობის მხრივ; და მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ერები საკმარისად დიდი ხნის განმავლობაში მეზობლად ცხოვრობენ, იმათ შორის დღემდისაც დიდი განსხვავებაა, როგორც ენის, ისე ყოფა-ცხოვრების და ზნე-ჩვეულებათა მხრივ. უმეტეს ნაწილად იმათ ერთმანეთის არა გაეგებათ—რა. ყოველივე ეს აფერხებს არა მარტო კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას, არამედ ეკონომიური ხასიათის ღონისძიებათა განხორციელებასაც.

ამავე დროს საბჭოთა ხელისუფლება მოწოდებულია უზრუნველჰყოს ყველა ეროვნებები, თუნდაც სრულიად პატარა ერი, საკუთარი სკოლებით, მთავრობის ორგანოებთან თავის ენაზე მიმოწერით, საქმის წარმოებით სასამართლოებში და სხ. და სხ. ყოველივე ეს აწყდება მრავალ სიძნელეს. მიუხედავად ამისა, საბჭოთა ხელისუფლება არ დრკება ამ სიძნელეთა წინაშე.

მართალია, დღემდის ჩვენში არ იყო ისეთი განსაკუთრებული ორგანო, რომელსაც თავის საზრუნავ საგნად დაესახა იმ ეროვნულ უმცირესობათა სხვადასხვა საჭიროების შესწავლა და გამორკვევა, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე სცხოვრობენ. ამ მუშაობას აქამდი აწარმოებდენ როგორც საბჭოთა ხელისუფლების, ისე კომპარტიის სხვადასხვა ორგანოები და დაწესებულებები. და ამას ისინი ცუდად არ ასრულებდენ, რამდენადაც ფინანსიური სახსარი ნებას აძლევდათ. რა თქმა უნდა, ისინი განაგრძობენ ამ მუშაობას. მაგრამ პრაქტიკამ და ცხოვრებამ წარმოშვეს ისეთ ორგანოს საჭიროება, რომლის დანიშნულება უმთავრესად მდგომარეობს იმაში, რომ ის თვალყურს ადევნებდეს ყველა ორგანოებს იმ მხრით, თუ როგორ ტარდება ცხოვრებაში ლენინის ნაციონალური პოლიტიკა, თუ სად რა დაბრკოლება ხვდება ამ მხრით, და თუ რა ღონისძიება უნდა იქნას მიღებული ამა თუ იმ დაბრკოლების თავიდან ასაცილებლად. ეს ორგანო — ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისიაა,—რომელიც ამ წერილის საგანს შეადგენს. გარდა იმისა, რომ ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისია იკვლევს ეროვნული საკითხის პრაქტიკულად გატარების პირობებს ადგილობრივ, ის თამაშობს, თუ ასე შეიძლება ითქვას, **წამბიძგებლის** როლს ყველა იმ ორგანოებისა და დაწესებულებათათვის, რომლებიც მოწოდებული არიან განახორციელონ ცხოვრებაში პარტიისა და ხელისუფლების დავალებანი ეროვნულ საკითხის დარგში.

ჩვენ ვიცით, რომ მსგავსი ორგანოები ამა თუ იმ სახით უკვე დიდი ხანია არსებობენ როგორც რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკაში, ისე უკრაინის და ბელორუსიის საბჭოთა რესპუბლიკებში. ჩვენ ვიცით, აგრეთვე ისიც, რომ ამ ორგანოებმა იქ შეასრულეს მეტად დიდი და საყურადღებო მუშაობა*). მათ აქვთ უკვე საკმარისად მდიდარი გამოცდილება ამ საქმეში. ამიტომ ჩვენმა კომისიამ, რომელიც საქართველოს ცაკთან დაარსდა, უპირველეს ყოვლისა, უნდა ისარგებლოს იმ მუშაობით და იმ გამოცდილებით, რასაც ამ მხრით იძლევიან როგორც რუსეთის, ისე უკრაინის მაგალითები.

გარდა ამისა, თავის თავად იგულისხმება, რომ საბჭოთა ხელისუფლების ყველა ორგანოები (სახალხო კომისარიატები, სამაზრო და სათემო აღმასკომები, პროფესიონალური და კოოპერატიული ორგანიზაციები და სხ.) ანგარიშს გაუწევენ იმ გარემოებას, რომ ამიერიდან საქართველოს ცაკთან არსებობს განსაკუთრებული ორგანო, რომლის უმთავრეს დანიშნულებას შეადგენს თვალყურის დევნება იმისათვის, თუ როგორ და რა პირობებში ტარდება სინამდვილეში საბჭოთა ხელისუფლების ეროვნული პოლიტიკა, ე. ი. ხომ არ ხდება სადმე ეროვნულ უმცირესობათა რაიმე სახით შელახვა და სხვ.

დასასრულ იმ მიზნით, რომ ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისიის დანიშნულება და როლი **უფრო გასაგები და ნათელი შეიქნეს,** ყველა ჩვენი სახალხო კომისარიატებისა და სხვა დაწესებულებათათვის, განზრახულია სრულიად საქართველოს საბჭოების მეოთხე ყრილობის დროს შესდგეს ქალაქ თბილისში **განსაკუთრებული თათბირი,** რომელზედაც მოწვეული იქნებიან ერთი მხრით, ცენტრალურ დაწესებულებათა მეთაურები და მეორე მხრით, იმ რაიონების პასუხისმგებელი ამხანაგები, სადაც ცხოვრობენ ეროვნული უმცირესობანი. ამიტომ სასურველია, რომ იმ ამხანაგებმა, რომლებიც ასეთი რაიონებიდან იქნებიან მოწვეულნი, თან იქონიონ სხვადასხვაგვარი ცნობები და მასალები იმის დასახასიათებლად, თუ რა აწუხებთ, ან რა საჭიროება აქვთ იმ ადგილებში ეროვნულ უმცირესობათ (მაგ., ეროვნულ უმცირესობათა მონაწილეობა საბჭოთა აღმშენებლობაში, მათი სკოლები, მათი მონაწილეობა კოოპერატივებში, რა ენაზე ხდება მიმოწერა და სხვა). ეს საჭირო იქნება **მომავალი** მუშაობის გასაადვილებლად.

აშკარაა, რომ რამდენადაც ჩვენ მოვახერხებთ ეროვნულ უმცირესობათა მდგომარეობის გამორკვევას და შესწავლას და რამდენადაც ჩვენ წარმატებით ვაწარმოებთ მათში საბჭოთა აღმშენებლობას, იმდენად **ჩვენ უფრო ფართოდ და უფრო ღრმად განვავითარებთ საერთოდ საბჭოთა, ე. ი. სოციალისტურ აღმშენებლობას ჩვენს ქვეყანაში.**

ამიტომ ჩვენ სრული იმედი უნდა ვიქონიოთ იმის, რომ ხსენებული კომისიის მუშაობა იქნება საჭირო დამატება საერთოდ მთელი ჩვენი მუშაობისა. ამგვარად ის ხელს შეუწყობს და კიდევ უფრო გააცხოველებს ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების აღმშენებლობითი მუშაობას.

ფ. მახარაძე.

---

*) ჩვენ მივუთითებთ ამ მხრივ ამხ. ბუცენკოს წერილზე, რომელიც ამას წინეთ დაიბეჭდა ჩვენს გაზეთებში და რომელიც ეხებოდა უკრაინის ცაკთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისიის მუშაობას.

„ორის" განცხადება

პარტია და ოპოზიცია

(„პრავდა"-ს მოწინავე წერილი)

ჩვენი პარტიის ორი მუშაკი ნიკოლაევა და ბადაევი, რომლებიც ეკუთვნოდენ ოპოზიციის თვალსაჩინო წარმომადგენელთა რიცხვს, ცეკას პლენუმზე გამოვიდნენ პოლიტიკური განცხადებებით.

ის გარემოება, რომ ნიკოლაევა და ბადაევი იმიჯნებიან ოპოზიციის მთელ რიგ „პრინციპიალურ შეხედულებებისაგან", თავისთავად არ წარმოადგენს მოულოდნელობას. ოპოზიციონურმა ბლოკმა იდეური და პოლიტიკური მარცხი განიცადა. პარტია არ წავიდა იმ გზით, რომლისკენაც მას მიუთითებდენ ოპოზიციონერები. თვით ცხოვრებამ და ამბების ურყევმა ლოღიკამ დაგვანახვა, რომ პარტია სავსებით მართალი იყო. და თუ პარტია, მიუხედავად დისკუსიისა, ამ დისკუსიის ქარ-ცეცხლში იდეურად გაიზარდა და შეამჭიდროვა თავისი რიგები, სამაგიეროთ ოპოზიციის ბანაკში პარალელურათ ვითარდებოდა და უნდა განვითარებულიყო გახრწნის პროცესები.

ორის განცხადება აუცილებლათ ოპოზიციონური ბლოკის პოლიტიკური გახრწნის სიმპტომათ უნდა ჩაითვალოს. რჩება კიდევ უფრო მცირე „ნაშთები". უბადრუკ სიგნალიზატორების ოპოზიციონური ჩირაღდანი ქრება და უძლურია მისი ხელ-ახლად გაღვივების ყოველგვარი ცდა. ოპოზიციას ერთი მეორეზე შორდებიან მისი საუკეთესო წევრები.

ამხ. ბადაევმა პლენუმზე განაცხადა, რომ მას არა აქვს პრინციპიალური უთანხმოებანი პარტიასთან. უკვე ზაფხულში, აცხადებს ის, მასში ჩამოყალიბდა საბოლოო აზრი ოპოზიციის შესახებ, „უარყოფითი" აზრი.

თავისებურ დამახასიათებელ პოლიტიკურ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს ნიკოლაევას გამოსვლა. ნიკოლაევამ თავისი განცხადება დაუკავშირა ფასების პოლიტიკის საკითხს, საკითხს, რომელსაც ყოველთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენს პოლიტიკაში და რომელიც ეხლა უმთავრესია. და სრულიადაც არ არის შემთხვევითი, რომ სწორედ ამ უმთავრეს საკითხში, ოპოზიციის ბანაკში დაიწყო ქანაობა და რყევა.

ნიკოლაევა აღიარებს, რომ „სრულებით არა ბოლშევიკური" იქნებოდა დაფარვა თავისი შეხედულებებისა ფასების დაკლების შესახებ. ნიკოლაევამ განაცხადა, რომ ის არ იზიარებდა და არც ეხლა იზიარებს პრეობრაჟენსკის, პიატაკოვის და სმირნოვის ეკონომიურ შეხედულე- [illegible] ლია მაღალ ფასების პოლიტიკის გატარება. ნიკოლაევა მოუწოდებს ეხლა ყველას ერთსულოვნად და ენერგიულად გაატარონ პარტიის ცეკას დირექტივები ფასების დაკლების შესახებ. ოპოზიციის ბელადების—ტროცკის, ზინოვიევის და სმილგის გამოსვლას ამ საკითხის შესახებ ნიკოლაევა არადამაკმაყოფილებლად სთვლის.

და მართლაც, შეუძლებელია თუნდაც მინიმალურად დამაკმაყოფილებელ განმარტებების მოცემა ფასების საკითხის შესახებ, თუ ოპოზიციონურ პოზიციაზე დგეხარ. რომ ეხლა დამაკმაყოფილებლად ილაპარაკო ფასების შესახებ, საჭიროა უარჰყო ოპოზიციის ძირითადი შეხედულებები და პატიოსნათ და აშკარად განაცხადო ამის შესახებ მთელი პარტიის წინაშე.

ცხოვრებამ დაანახვა ყველას, თვით ბრმათაც კი, რომ საფრთხე და დაბრკოლებები მოდის არა იმ მხრიდან, საითკენაც მიგვითითებდა ოპოზიცია, არამედ სწორეთ პირიქით. ჩვენ რომ ოპოზიციონერ ექიმბაშებისათვის დაგვეჯერებია, ოპოზიციონურ მოსაზრებების მიხედვით რომ გაგვედიდებია საბითუმო ფასები, ოპოზიციონურად რომ შეგვევიწროებია გლეხობა ამ ნიადაგზე და წინდაუხედავად გვეჩქარებია ინდუსტრიალიზაცია, ასე რომ მოვქცეულიყავით, მაშინ ის დაბრკოლებები, რომლებიც ჩვენ ეხლა გვაქვს ფასების საკითხში, გაცილებით უფრო დიდი და მნიშვნელოვანი იქნებოდა. სამრეწველო ფასები იქნებოდა უფრო მაღალი, „მაკრატელი" იქნებოდა უფრო ფართე და ჩვენვე ჩავასობდით სოლს მუშათა კლასსა და გლეხობას შორის, დღევანდელი სიძნელეები კი გადაიქცეოდენ სერიოზულ პოლიტიკურ საკითხად პროლეტარულ დიქტატურისათვის.

ეხლა ყველა ხედავს პიატაკოვის, სმირნოვის და პრეობრაჟენსკის პროგრამის უნიადაგობას. ეხლა ეს პროგრამა ყველას თვალწინ ირღვევა. და ეს სამი დიდი ოპოზიციონერი ეკონომისტის პროგრამა ხომ ოპოზიციონური პოლიტიკური ხაზის საფუძველია, ეს ხომ ტროცკისტული პოლიტიკურ ფილოსოფიის ეკონომიური მიმართულებაა. და თუ ინგრევა ოპოზიციონური სამეურნეო პლატფორმა, მასთან ერთად უნდა დაინგრეს მისი პოლიტიკური გამართლება და ტროცკისტული პოლიტიკური ფილოსოფია. ეხლა ოპოზიციონური პოლიტიკა შეიძლება არსებობდეს მხოლოდ როგორც უპრინციპო პოლიტიკანობა. ეხლა მხოლოდ გიჟს შეუძლია წამოაყენოს ფასების აწევა, ე. ი. შეგნებულათ ხელი შეუწყოს სამეურნეო სიძნელეთა გამწვავებას.

ნიკოლაევამ განაცხადა, რომ არა ყველა ოპოზიციონერი ამხანაგები მოითხოვდენ ფასების აწევას და რომ ზოგიერთი მათგანი ასეთ პოლიტიკას საზიანოთ სთვლიდა. მაგრამ მით უფრო უარესი, რომ ისინი ამის შესახებ არაფერს ამბობდენ, არ იმიჯნებოდენ თავიანთ „მეგობრებისაგან", არ გმობდენ მათ პოზიციას, არამედ პირიქით, უკავშირდებოდენ მათ, მიდიოდენ მათთან ერთად პარტიის წინააღმდეგ, დაუშვეს, რომ კურსი მაღალ ფასებზე გამხდარიყო ოპოზიციის იდეურ დროშათ და ჩაიდინეს უდიდესი პოლიტიკური შეცდომა. ყველაზე უფრო ცუდი ის, თუ იმის მაგიერ, რომ გარკვევით აშკარად და პატიოსნათ აღიარებულ იქნეს პიატაკოვის, სმირნოვის, პრეობრაჟენსკის და სხვების შეცდომები, ამ შეცდომებს ხელს აფარებენ და აცხადებენ, რომ მათ არ ჰქონიათ ადგილი.

აღიარება იმის, რომ მოსტყუვდენ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ საკითხში—ეს ერთად ერთი გზაა ოპოზიციის წარმომადგენელთათვის, ეს ერთად-ერთი გზაა ყველა სწორ გზიდან აცდარ ბოლშევიკისათვის, რომელიც ბრუნდება თავის ადგილას. ამ გზით წავიდა ნიკოლაევა. მეორე გზაა—საკითხის ნამდვილი შინაარსის დაფარვა, შეცდომების მიფუჩეჩება, მალულად მობრუნება, ნაუცბათევად მოკაზმულობის შეცვლა და ისე მოქცევა, თითქოს არაფერი არ მომხდარა. შეეცადო გამოიყენო არსებული სიძნელეები და გახდე ფასების დაკლების ყველა „მყვირალებზე" უფრო მეტი მომხრე იმის შემდეგ, როცა გუშინ ყველაზე ხმა მაღლა ჰყვიროდი ფასების აწევაზე. ფასების აწევაზე ან დაკლებაზე თამაში იმის მიხედვით, თუ როგორია კონიუნქტურა, როგორია ამინდი,—ეს არის ბოლშევიკისათვის არა საკადრისი სპეკულიაცია და თამაში, რომელშიაც შეიძლება მხოლოდ წაგება და ყოველგვარი ავტორიტეტის დაკარგვა პარტიის თვალში.

აღიარა რა ოპოზიციის შეცდომები ფასების შემცირების საკითხში, ამხ. ნიკოლაევამ გადასდგა პირველი მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯი. ამ ნაბიჯს—ორის განცხადებას პარტია კმაყოფილებით ხვდება. რამდენადაც უფრო ადრე დაიშლება ოპოზიციონური ბლოკი, მით უფრო კარგი პარტიისათვის. მთელმა პარტიამ, როგორც ერთმა კაცმა, უნდა განაგრძოს შემდგომი მუშაობა და ბრძოლა ლენინიზმის სრულ იდეურ გამარჯვებისათვის, პარტიული რიგების შემდგომ განმტკიცებისათვის, ჩვენი ხაზის გადაუხვევლად გატარებისათვის, ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

მოსკოვი, 16 თებერვალი.

ინგლისსა და კანტონს შორის მოლაპარაკება კვლავ შეწყდა

სამხრეთ-სლავიაში ძლიერდება მოძრაობა საბჭ. კავშირთან დაახლოების სასარგებლოდ

კონფლიქტი გერმანიის ფოლადის მრეწველობაში.-მუშები უარს ამბობენ მწარმოებლების პირობებზე

დაიხურა ანტი-იმპერიალისტური კონგრესი.-ბელგიის მუშების ერთიანი ფრონტი

საბჭოთა კავშირი და ინგლისი

ლონდონი, 14 თებერვალი. ინგლისის თემთა პალატის სხდომაზე კონსერვატორმა რემერმა სთხოვა მთავრობას დაწვრილებით განემარტა, თუ რითი ხელმძღვანელობდა გარეშე საქმეთა მინისტრი, როცა მან საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებს საყვედური გამოუცხადა სავაჭრო შეთანხმების დარღვევისათვის.

გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა **ლოკერ ლემპსონმა** უპასუხა:

„თუ პალატის წევრი წაიკითხავს პრესაში გამოქვეყნებულ საბჭოთა ბელადების განცხადებას და საბჭოთა ოფიციალური პრესის წერილებს, საკმაო საბუთს იპოვის იმისას, რომ ინგლისის წინააღმდეგ სწარმოებს პროპაგანდა, ასე რომ ჩემბერლენს აღარ დასჭირდება კიდევ დამამტკიცებელი საბუთების მოყვანა".

მაშინ მაკდონალდმა შეიტანა შეკითხვა:—ეთანხმება თუ არა გარეშე საქმეთა მინისტრი იმ ფორმულიროვკას, რომელიც მოყვანილია რემერის შეკითხვის ბოლოში: „საბაბი, რომლითაც ხელმძღვანელობდა გარეშე საქმეთა მინისტრი, როცა მან საყვედური გამოუცხადა საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებს"-ო და მართლაც ჰქონდა თუ არა ადგილი საყვედურის გამოცხადების შემთხვევასო.

ლოკერ ლემპსონმა ამის საპასუხოდ განაცხადა: „რასაკვირველია, საბჭოთა წარმომადგენელთან შეხვედრის დროს, ჩვენ ხშირად გამოგვიცხადებია საყვედური".

მუშათა პარტიის წევრმა კლაინსმა სთხოვა ლოკერ ლემპსონს დაესახელებინა ის ცნობები, რომელიც გამოქვეყნებული იყო ინგლისის პრესაში და რომელიც შეიცავდა რუსეთის საწინააღმდეგო პროპაგანდას.

ლოკერ ლემპსონმა კლაინსის ამ წინადადებას პირდაპირი პასუხი არ გასცა. (ადს).

საბჭ. კავშირთან დაახლოების სასარგებლოდ

ვენა, 14 თებერვალი. ავსტრიის მთავრობის ორგანო „რეიხსპოსტ" აღნიშნავს, რომ სამხრეთ-სლავიაში ძლიერდება მოძრაობა საბჭოთა კავშირთან დაახლოების სასარგებლოდ. (ადს).

იერიშები პროფმოძრაობის წინააღმდეგ ინგლისში

მთავრობის გამაფრთხილებელი ზომები

ლონდონი, 14 თებერვალი. თემთა პალატის სხდომაზე მუშათა პარტიის დეპუტატმა **კლაინსმა** შეიტანა შესწორება პალატის პასუხში მეფის სიტყვაზე. შესწორება აღნიშნავს, რომ მთავრობა თავის პოლიტიკაში პროფკავშირთა უფლებრივობის საკითხის გარშემო ხელმძღვანელობს პროფკავშირთა უფლების შეზღუდვის სურვილით.

მუშათა პარტიის დეპუტატმა **სლესერმა** განაცხადა, რომ მთავრობის კანონპროექტი უკანონოთ აცხადებს მუშაობის შეწყვეტას მუშების დიდი რაოდენობის მიერ.

„ამ კანონს, — ამბობს სლესერი,— შედეგათ ის მოჰყვება, რომ თუ გაფიცვაში უფრო მუშების დიდი რაოდენობა მიიღებს მონაწილეობას, ამით ის გახდება უკანონო და მისი მონაწილენი იძულებული გახდებიან დარჩენ სამუშაოზე".

გენერალური პროკურორი **ხოგგი**, რომელიც მთავრობის სახელით აძლევდა პასუხს, ბრალს სდებდა მუშათა პარტიას იმაში, რომ ის, მუშათა პარტია, ჰკიცხავს მთავრობის წინადადებებს მაშინ, როდესაც თვით არ იცის, თუ რაში მდგომარეობს ეს წინადადებები. ხოგმა მოიყვანა მუშათა მოძრაობის ზოგიერთი ლიდერების განცხადებანი და სთქვა:

„ეს განცხადებები გვიმტკიცებენ, რომ პროფკავშირების ლიდერების პასუხისმგებელი ნაწილი ამზადებს ახალ საყოველთაო გაფიცვას და მისკენ მოუწოდებს მუშებს. ყოველი მთავრობა უდიდეს და უმძიმეს შეცდომას ჩაიდენს, რომ არ მოემზადოს საყოველთაო გაფიცვის თავიდან აცდენის და მასთან ბრძოლისთვის".

თემთა პალატამ, 313 ხმის უმრავლესობით 135 წინააღმდეგ, უარჰყო მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის შესწორება პროფკავშირთა უფლებრივი მდგომარეობის მოწესრიგების საკითხზე. ამის შემდეგ პალატამ დაამტკიცა პალატის პასუხის ტექსტი მეფის სიტყვაზე (ადს).

პილსუდსკი დასცინის სეიმს

მხდალების საკრებულო

ვარშავა, 14 თებერვალი. პრესა გაცხოველებით იხილავს პილსუდსკის დასწრებას სეიმის 14 თებერვლის სხდომაზე, როცა ირჩეოდა ბიუჯეტის საკითხი. პრესა იმ აზრისაა, რომ **სეიმს ისე ეჭირა თავი, როგორც მოწაფეს სკოლაში დირექტორის შემოსვლის დროს.**

სანამ სეიმში იჯდა პილსუდსკი, იქ სამარისებური სიჩუმე სუფევდა. პილსუდსკის წასვლის შემდეგ ატყდა ერთი აურ-ზაური.

საყოველთაო ყურადღება მიიპყრო იმ გარემოებამ, რომ **პილსუდსკის ხელში ეჭირა ქაღალდი, რომელიც პრესის აზრით წარმოადგენდა პრეზიდენტის დეკრეტს სეიმის დათხოვნის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ უკანასკნელი მთავრობას უნდობლობას გამოუცხადებდა** (ადს).

რეფორმისტების დამარცხება

ბერლინი, 14 თებერვალი. შტუტგარტში ფეხსაცმელების მრეწველობის მუშათა კავშირის ადგილობრივ ორგანიზაციის გამგეობის არჩევნებში ოპოზიციამ გაიმარჯვა. გამგეობაში არჩეულ იქნა ექვსი კომუნისტი და ორი უპარტიო. რეფორმისტები გამგეობაში არ არიან წარმოდგენილი.

დიდი გამარჯვება ხვდა წილად ოპოზიციას აგრეთვე ნეისტერვიდში, სადაც მოხდა სრულიად გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანების ადგილობრივი კომიტეტის არჩევნები; პრეზიდიუმში შედის ერთი სოციალ - დემოკრატი და ერთი უპარტიო.

განაუში მუშა მელითონეების კრებამ მიიღო ოპოზიციის კანდიდატების სია, როგორც კავშირის ადგილობრივი განყოფილების გამგეობაში, ისე სრულიად გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანების ადგილობრივ კომიტეტში გასაყვანად.

შნეიბერგში მშენებელთა კავშირის ადგილობრივ ორგანიზაციის გამგეობაში, რომელიც დღემდე რეფორმისტების ხელში იყო, თითქმის სავსებით ოპოზიციის კანდიდატები გავიდენ. (ადს).

ინგლის-კანტონის მოლაპარაკება შეწყდა

ჩენისა და ო, მალის მოლაპარაკების შეწყვეტა

ლონდონი, 14 თებერვალი. რეიტერის სააგენტო ხანკოუდან იუწყება, რომ საბოლოოდ შესწყდა მოლაპარაკება ჩენსა და ო,მალს შორის (ადს).

„ხელები შორს ჩინეთისაგან"

ლონდონი, 14 თებერვალი. მუშათა მასებში იზრდება მოძრაობა ინგლისის პოლიტიკის წინააღმდეგ ჩინეთში. მიუხედავად მუშათა პარტიის რჩევისა, ადგილობრივი ორგანიზაციებისათვის თავი შეეკავებინათ „ხელები" შორს ჩინეთისაგან", კომიტეტის შექმნისაგან, ეს კომიტეტი მაინც 34 ადგილას დაარსდა (ადს).

ჩენმა უარჰყო კელოგის წინადადება

ნიუ-იორკი, 14 თებერვალი. „ასოშიეტედ პრესი" იუწყება, რომ ევგენი ჩენმა უარჰყო კელოგის წინადადება შანხაის ნეიტრალიზაციის შესახებ (ადს).

ინგლისის ჯარები შანხაიში

ნიუ-იორკი, 14 თებერვალი. „ასსოშიეტედ პრესს" იუწყება, რომ ინგლისის ჯარების ორი პოლკი დაბანაკდა შანხაის უცხოელთა უბანში (ადს).

„თუ საჭირო არ დარჩა"

ვაშინგტონი, 14 თებერვალი შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც კვლავ იმეორებს, რომ შეერთებული შტატები არ გადმოსხამენ ჯარებს შანხაიში, თუ ეს საჭიროებამ არ მოითხოვა. (ადს).

პასუხი ჩემბერლენის ნოტაზე

ბერლინი, 14 თებერვალი. ჩინეთის წარმომადგენელმა ერთა ლიგაში ჩჟაო-ცზიან-ჩიმ პრესის წარმომადგენლებს გადასცა წერილობითი განცხადება, რომელიც წარმოადგენს პასუხს ჩემბერლენის ნოტაზე ინგლისის პოლიტიკის შესახებ ჩინეთში. ჩჟაო-ცზიან-ჩიუ სასტიკად გმობს ინგლისის შეიარაღებული ძალების გაგზავნას ჩინეთში, რომელნიც თავდაცვის მიზნებს კი არ ემსახურებიან, არამედ შეიარაღებულ დემონსტრაციას წარმოადგენენ".

„აშკარად ვაცხადებ,—ნათქვამია შემდეგ ჩჟაო-ცზიან-ჩიუს წერილში,— რომ 400 მილიონი ჩინელი, რომელნიც იცავენ ჩინეთის სუვერენულ უფლებებს, არასოდეს არ წავა დათმობაზე იარაღის წინაშე. ჩინელები არასოდეს არ დაემორჩილებიან ინგლისის ნებისყოფას და სანამ ინგლისი არ შეცვლის თავის პოლიტიკას, ჩინეთი განაგრძობს ანტი-ინგლისურ ბოიკოტს" (ადს).

მეორე ინტერნაციონალის აღმასკომის სესია

პილსუდსკის მცველები

პარიზი, 14 თებერვალი. მეორე ინტერნაციონალის აღმასკომის სესიაზე, როცა იხილავდენ საკითხს შინაური მდგომარეობის შესახებ სხვადასხვა ქვეყნებში ფაშისტურ საფრთხესთან დაკავშირებით, სიტყვით გამოვიდა პეპეესოველი ნიდზიალკოვსკი (პოლონეთი), რომელიც ამტკიცებდა, რომ პილსუდსკის რეჟიმი „არ არის დემოკრატიული, მაგრამ ამავე დროს არ არის ფაშისტური". „პოლონეთი,—სთქვა ნიდზიალკოვსკიმ,—ეხლა სდგას დიქტატურისა და დემოკრატიის გზაჯვარედინზე". აღმასკომმა მიიღო დადგენილება მატეოტის სახელობის ფონდის გაძლიერებისა და 1 მაისში პატიმართა სასარგებლოდ ფულის შეგროვების მოწყობის შესახებ (ადს).

„ყუმბარების კამპანია"

პარიზი, 15 თებერვალი. 2 ინტერნაციონალის აღმასკომის სხდომაზე ოტტო ველსმა გააკეთა მოხსენება შეიდემანის „ყუმბარების" კამპანიაზე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მოხსენება ცნობად არის მიღებული (ადს).

გამარჯვებულთა შურისძიება

ფიზიკური დასჯა დასტოვეს

ამსტერდამი, 14 თებერვალი. მრავალრიცხოვან პროტესტების შემდეგ ინდონეზიის ციხეებში გააუქმეს ფიზიკური დასჯა მხოლოდ იმ პირთათვის, რომელთაც სასჯელი მოკლე ვადით აქვთ მისჯილი. ფიზიკური დასჯა დატოვებულ იქნა ძალაში იმ პირთათვის, რომელთაც ხანგრძლივი ვადით აქვთ მისჯილი სასჯელი (ადს).

შური იძიეს

ამსტერდამი, 14 თებერვალი. ბატავიის სასამართლომ კუნძულ იავაზე მომხდარ აჯანყების შვიდ მონაწილეს მიუსაჯა ციხე 12-დან 18 წლამდე (ადს).

საფრანგეთის პოლიტიკის წინააღმდეგ სირიაში

ლონდონი, 14 თებერვალი. პალესტინიდან იტყობინებიან, რომ არაბთა მოსახლეობა საფრანგეთის უმაღლეს კომისრის პენსოს ჩასვლას პალესტინაში ბოიკოტით შეხვდა. წარჩინებულმა არაბებმა და მოხელეებმა არ მიიღეს მონაწილეობა ოფიციალურ წვეულებაში, რომელიც გამართა ინგლისის უმაღლესმა კომისარმა პალესტინაში ლორდ პლუმერმა პენსოს პატივსაცემად. არაბული გაზეთები სამგლოვიარო არშიებით გამოვიდენ.

პენსოს აუარებელი საპროტესტო დეპეშები მოუვიდა ყველა ქალაქებიდან საფრანგეთის პოლიტიკის წინააღმდეგ სირიაში (ადს).

ბელადების სურვილის წინააღმდეგ

მუშები დამოუკიდებლად ახორციელებენ ერთიან ფრონტს

პარიზი, 14 თებერვალი. მაგალითად ვალანსიენის სოციალისტებისას, რომლებმაც გადაწყვიტეს კომუნისტებთან ერთად საერთო სიით გამოვიდენ საქალაქო არჩევნებში, მიჰბაძეს სოც. პარტიის ხენ-ლეერის, მარლის, ანზანისა და ტრიტის ორგანიზაციებმა.

ერთიანი მუშათა ფრონტის შექმნის ტენდენციების გაძლიერების გამო ბურჟუაზიულმა პარტიებმა ლილში გამართულ თათბირზე დაადგინეს შექმნან „ჩრდილოეთის ერთიანი რესპუბლიკანური პარტია" (ადს).

გერმანიის კომპარტიის ყრილობის წინ

მხარს უჭერენ ც. კ. ხაზს

ბერლინი, 14 თებერვალი. გერმანიის კომპარტიის მომავალ ყრილობასთან დაკავშირებით მთელ გერმანიაში მიმდინარეობს მოსამზადებელი კონფერენციები. კონფერენციამ ერცგებირგში დიდის უმრავლესობით მიიღო რეზოლიუცია, შემუშავებული კომინტერნის აღმასკომის უკანასკნელი პლენუმის საფუძველზე. დანარჩენი კონფერენციების შედეგები მოწმობენ, რომ ც. კ. ხაზს იზიარებენ ყველგან.

კონფერენციამ ლეიპციგში მოიწონა ც. კ. ხაზი. წინათ ლეიპციგის ორგანიზაციის უმრავლესობა ოპოზიციას უჭერდა მხარს (ადს).

ბრძოლა გერმანიის ლითონის მრეწველობაში

ბერლინი, 14 თებერვალი. ლეიპციგის ლითონის მრეწველობის ქარხნებში ჩამოვარდა კონფლიქტი მწარმოებლებსა და მუშებს შორის. ამ კონფლიქტის გამო სამედიატორო სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელიც ფაქტიურად აკანონებს 53 საათის სამუშაო კვირას. საქსონიის ლითონის მრეწველობის მწარმოებელთა კავშირის მიერ 13 თებერვლისათვის დანიშნული ლოკაუტი (ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ნიშნათ სოლიდარობისა ლეიპციგის მრეწველებთან), გადადებულია 19 თებერვლამდი. ლეიპციგში, სადაც ლოკაუტი უკვე შევიდა ძალაში, მრეწველები დასთანხმდენ სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებაზე. მუშებმა პასუხი უნდა მისცეს 16 თებერვლისათვის.

მელითონეები უარს ამბობენ

ბერლინი, 16 თებერვალი ლეიპციგელმა მელითონეებმა ერთხმად უარყვეს სამედიატორო სასამართლოს განაჩენი, რომელიც ფაქტიურად აკანონებს 58 საათის სამუშაო კვირას (ადს).

ამხ. იაგლომი

გამოემგზავრა ნორვეგიიდან

ოსლო, 14 თებერვალი. ამხ იაგლომი ოსლოდან ბერლინით გაემგზავრა საბჭოთა კავშირში (ადს).

16 საათი მიწის ქვეშ

ლონდონი, 14 თებერვალი. ინგლისის კომპარტიის ორგანოს „უორკერს ლაიფ"-ის მუშკორი იტყობინება, რომ სტერლინგშირში (შოტლანდია) ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებს, როცა მემაღაროებს აიძულებენ იმუშაონ ზედიზედ ორი და ზოგჯერ სამი წყება. მუშებს ძალიან ხშირად უხდებათ 16 საათ. განმავლობაში მიწის ქვეშ ყოფნა (ადს).

რა ელანდება

ამერიკელ ადმირალს

ვაშინგტონი, 14 თებერვალი. ერთ-ერთ კრებაზე შეერთებული შტატების საზღვაო მინისტრმა განაცხადა, რომ „კომინტერნი ემუქრება მშვიდობიანობას მცირე ერებს შორის".

თავისი აზრის დასამტკიცებლად ვილბურმა გაიმეორა ცნობილი ჭორები კომინტერნის მოღვაწეობის შესახებ ნიკარაგუაში და ჩინეთში. ვილბურმა განაცხადა, რომ საჭიროა ძლიერი არმიისა და ფლოტის შექმნა „მსოფლიო რევოლიუციის მოსასპობათ" (ადს).

ამხ. ბადაევის და ნიკოლაევას განცხადება

ცეკას პლენუმზე

მოსკოვი, 15 თებერვალი. ცეკას პლენუმზე გამოვიდა ნიკოლაევა, რომელმაც სხვათა შორის განაცხადა:

„ბუხარინმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ოპოზიცია ფასების დაკლების საკითხში იდგა პრეობრაჟენსკის, სმირნოვის და პიატაკოვის თვალსაზრისზე.

მე უნდა განვაცხადო, რომ ეს არ არის სავსებით სწორი. მაგალითად, მე არასოდეს არ ვიზიარებდი და არ ვიზიარებ პრეობრაჟენსკის, სმირნოვის და პიატაკოვის შეხედულებებს ეკონომიკის საკითხებში საერთოდ და ფასების საკითხში კერძოთ. პიატაკოვის შეხედულებები გამოთქმულ იქნა პარტიის ცენტრალურ კომიტეტის ივლისის პლენუმზე. მე მგონია, რომ პასუხი, რომელიც მაშინ გასცა კამენევმა, იყო სწორი პასუხი და მან მე, როგორც ოპოზიციის ერთ-ერთი წევრი, სავსებით დამაკმაყოფილა. ეხლა კი მე ვხედავ, რომ ეს არ არის საკმარისი. ცხოვრება მოითხოვს საკითხის უფრო გარკვევით დასმას და გარკვეულ შეხედულებას. მე კატეგორიულად ვიმიჯნები პიატაკოვის, პრეობრაჟენსკის და სმირნოვის და აგრეთვე იმათ შეხედულებებისაგან, ვინც არ იძლევა გარკვეულ პასუხს ამ კითხვაზე, და აფუჩეჩებს მას. მე ყურადღებით ვუსმენდი ზინოვიევის, ტროცკის და სმილგის გამოსვლებს და უნდა განვაცხადო, რომ მათ ვერ დამაკმაყოფილეს მე, მათ ვერ გასცეს გარკვეული პასუხი ამ კითხვაზე. მე ცეკას პლენუმის რეზოლიუციას ვღებულობ არა მარტო როგორც პლენუმის სავალდებულო გადაწყვეტილებას, არამედ აგრეთვე როგორც გადაწყვეტილებას, რომელსაც მთლიანად და სავსებით ვიზიარებ და ვსთვლი სწორად. ფასების დაკლების საკითხთან დაკავშირებულია მთელი რიგი საკითხებისა, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. ერთსულოვნად მიღებულმა გადაწყვეტილებამ უნდა გააერთიანოს ჩვენი პარტიის ყველა ძალები, ვინაიდან მხოლოდ გაერთიანებული ძალით შეიძლება ცხოვრებაში გატარებულ იქნეს როგორც ეს გადაწყვეტილება, ისე დანარჩენი გადაწყვეტილებები".

ამხ. ბადაევმა თავის განცხადებაში აღნიშნა:

„ყოველგვარი გაურკვევლობის და მითქმა - მოთქმის თავიდან ასაცილებლათ, მე ავიღე სიტყვა, რომ გამოვამჟღავნო თავის დამოკიდებულება ოპოზიციისადმი. ზაფხულში, როცა გამოირკვა ოპოზიციის მუშაობა ტყეში, ხოლო შემდეგ გამოსვლები მოსკოვის ფაბრიკა - ქარხნებში ჩემში საბოლოოდ ჩამოყალიბდა უარყოფითი შეხედულება ოპოზიციაზე. მე ვსთვლი, რომ ჩვენს პირობებში ყოვლათ დაუშვებელია ჯგუფური ფრაქციული მუშაობა. საგუბერნიო კომიტეტის ბიუროში ოპოზიციის გამოსვლის დროს ირჩეოდა ეს საკითხი და გამოტანილ იქნა სათანადო გადაწყვეტილება ოპოზიციის დაგმობის შესახებ. მე ურყევათ ხმა მივეცი ოპოზიციის ჯგუფური მუშაობის დაგმობის სასარგებლოთ. მეთოთხმეტე ყრილობის შემდეგ მე მონაწილეობას ვიღებდი ჩვენ ლენინგრადელ ხელმძღვანელ საბჭოთა და პარტიულ ორგანიზაციების მუშაობაში. ამ ხნის განმავლობაში მე არ მქონია უთანხმოება პარტიასთან და მთელი მუშაობა მიმდინარეობდა უმტკივნეულოდ".

ანტი-იმპერიალისტური კონგრესი

ბერლინი, 15 თებერვალი. კოლონიალურ ხალხთა ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლ ლიგის კონგრესის 13 თებერვლის სხდომაზე სრულიად ინდოეთის ნაციონალურ კონგრესის თავმჯდომარემ **ნერუმ** შეიტანა რეზოლიუცია ინდოეთის საკითხის შესახებ. რეზოლიუციაში ნათქვამია:

„კონგრესი იმედს გამოსთქვამს, რომ ნაციონალური მოძრაობა ინდოეთში თავის პროგრამას პრინციპად დაუდებს ინდოელ მუშების და გლეხების სრულ განთავისუფლებას".

ლენსბერის გამოსვლას კონგრესი მქუხარე ტაშით შეხვდა. ჩინელმა დელეგატმა **ლაუმ** მას ხელი გაუწოდა. ლენსბერიმ დაიძახა: „გაუმარჯოს ჩინეთის რევოლიუციას". ლენსბერის განცხადება მთელმა კონგრესმა მქუხარე ტაშით და ვაშას ძახილით დაფარა.

„ეს კონფერენცია—აცხადებს ლენსბერი—ყველა იმ კონფერენციებზე უფრო მნიშვნელოვანია, რომელზედაც მე მონაწილეობა მიმიღია. ჩინეთის რევოლიუცია მიზნათ ისახავს მთელი მსოფლიოს მუშების ერთიან ფრონტის შექმნას. განდევნეთ ინგლისელი ექსპლოატატორები ჩინეთიდან! მე ბედნიერი ვარ, რომ ჩინეთის რევოლიუციას მაღლა უჭირავს სოციალიზმის წითელი დროშა".

ლენსბერი და ჩინეთის ნაციონალური ჯარების გენერალი ლაუ ერთმანეთს გადაეხვიენ.

„ჩინეთის რევოლიუცია—აცხადებს ლაუ—მსოფლიო რევოლიუციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრია. სრული გამარჯვება შორს არ არის. გაუმარჯოს ჩინეთის რევოლიუციას, გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას".

ბროუნი, ამსტერდამის ინტერნაციონალის მდივანი, რომელიც ესწრება კონგრესს, როგორც სტუმარი, გამოდის მოკლე სიტყვით.

„კონგრესს,—აცხადებს ის—ისტორიული მნიშვნელობა აქვს. დრო, რომელიც მაზე დაიხარჯა, არ შეიძლება დაკარგულად ჩავთვალოთ".

ბროუნი ემხრობა პროფმოძრაობის მთლიანობას და უსურვებს კონგრესს წარმატებას.

მექსიკის წარმომადგენელი **მარტინეცი** სთხოვს კონგრესს ისეთივე დახმარება აღმოუჩინოს მექსიკის რევოლიუციას, როგორსაც ის უწევს ჩინეთის რევოლიუციას.

ტოლლერი (გერმანია) [illegible]: „ახალი ომი დააჩქარებს კაპიტალიზმის დაღუპვას. გერმანიის პროფკავშირებმა და ამსტერდამმა ვერ გაიგეს ამ კონგრესის მნიშვნელობა".

მისასალმებელ დეპეშების წაკითხვის დროს კონგრესი მქუხარე ტაშით შეხვდა სუნ-იატ-სენის ქვრივის დეპეშას. (ადს).

ბერლინი, 14 თებერვალი. 13 თებერვალს ბრიუსელში ანტიიმპერიალისტური კონგრესის დილის სხდომა დაიწყო მხურვალე ოვაციით ჩინეთის ნაციონალურ-რევოლიუციონური არმიის დავალებით ჩამოსულ ორი წარმომადგენლისადმი. კონგრესის სესიაზე ჩამოვიდა სირიელი რევოლიუციონერი ელმახრი. პროფესორ ლესინგმა გააკეთა მოხსენება კოლონიზაციის კულტურული მნიშვნელობისა და კოლონიალურ ერთა განმანთავისუფლებელი ბრძოლის შესახებ.

ინგლისის, ჩინეთის და ინდოეთის დელეგაციების რეზოლიუცია

შემდეგ ინგლისის, ინდოეთის და ჩინეთის დელეგაციებმა შემოიტანეს რეზოლიუცია, რომელშიც ნათქვამია:

„ინგლისის, ინდოეთის და ჩინეთის დელეგაციები აღიარებენ, რომ მუშათა კლასის ყველა ძალების ამოცანას იმპერიალისტურ სახელმწიფოებში უნდა წარმოადგენდეს: წინააღმდეგობის გაწევა კოლონიალურ ერთა ჩაგვრის ყოველგვარ ფორმებისათვის, იმპერიალიზმის საშინელებათა გამოაშკარავება სამოქალაქო მოსახლეობისა და სამხედრო მოსამსახურეების წინაშე. ჩინეთში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით, იმპერიალისტური პოლიტიკის გამომჟღავნება თავისუფლებისათვის მებრძოლი მუშათა კლასის წინაშე. ჩვენ მოვითხოვთ უცხოელთა შეიარაღებულ ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანას ჩინეთის ტერიტორიიდან და ჩინეთის [illegible]. ჩვენ მოვუწოდებთ პირდაპირი მოქმედებისაკენ, გაფიცვისაკენ, ინდოეთში სამხე- [illegible] იარაღებისა და ტრანსპორტის მომზადებისთვის ხელის შესაშლელად, ჩვენ მოვითხოვთ, რომ მუშათა პარტიებმა პარლამენტში გაილაშქრონ სამხედრო მომზადებასთან და ომის ხარჯებთან დაკავშირებულ ხარჯთაღრიცხვის წინააღმდეგ, ჩვენ ვაცხადებთ, რომ შეიარაღებული ინტერვენციისა ან და აშკარა ომის შემთხვევაში, მუშათა კლასისთვის დასაშვებია ბრძოლის ყოველგვარი საშუალების გამოყენება ომის საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, ჩვენ მოვითხოვთ ჩინეთის ეროვნული მთავრობის დაუყოვნებლივ ცნობას, ინგლისის, ინდოეთის და ჩინეთის მუშათა პროფესიონალური მოძრაობის ინტერესებში, ჩვენ აღვითქვამთ მუშაობას მათ შორის მჭიდრო აქტიური თანამშრომლობის დასამყარებლად".

რეზოლიუციას ინგლისის დელეგაციის სახელით ხელს აწერენ—ლენსბერი, პოლიტი, მაკ-მანუსი, ელენ ვილკინსონი და სხ., გომინდანის სახელით—ლიაო და სრულიად ინდოეთის ეროვნული კონგრესის სახელით—ნერუ. რეზოლიუცია ერთხმად იქნა მიღებული.

მისალმება განმათავისუფლებელ მოძრაობას

რეზოლიუცია, მისალმებასთან ერთად ბრიუსელის კონგრესის სახელით, გაეგზავნა ჩინეთის ეროვნულ მთავრობას ხანკოუში და სრულიად ინდოეთის ეროვნულ კონგრესს.

განათლების მუშაკთა ინტერ. წარმ. სიტყვა

კონგრესის 14 თებერვლის დილის სხდომაზე გამოვიდა განათლების მუშაკთა ინტერნაციონალის წარმომადგენელი ვერნოში, რომელმაც განაცხადა, რომ კაპიტალიზმი ეღობება განმანათლებელ მუშაობას კოლონიალურ ერთა მუშებს შორის, მაშინ, როდესაც საბჭოთა მთავრობამ ბოქსიორთა კონტრიბუციის რუსეთის წილი შესწირა ჩინეთის განათლების საჭიროებებს. ლონდონის პროფკავშირთა საბჭოს წარმომადგენელმა სტოკმა აცნობა კონგრესს, რომ ამჟამად მიმდინარეობს ლონდონის მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენელთა კონფერენცია.

56 პროფკავშირის 600 დელეგატმა განაცხადა პროტესტი ინტერვენციის წინააღმდეგ ჩინეთში. ელენა შტეკერმა, (გერმანია) რომელიც გამოვიდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოწინააღმდეგეთა და მშვიდობიანობის მომხრეთა ორგანიზაციის სახელით, განაცხადა, რომ მოკვდა ბურჟუაზიული პაციფიზმი და ახლა საჭიროა ბრძოლა კაპიტალიზმის წინააღმდეგ. (ადს).

ბროკვეის სიტყვა

ბერლინი, 14 თებერვალი. კოლონიალურ ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლი ლიგას კონგრესის სხდომაზე ბრიუსელში 14 თებერვალს განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ინგლისის დამოუკიდებელი მუშათა პარტიის წარმომადგენელის **ბროკვეის** განცხადებამ. „ჩემდა სამარცხვინოდ,—სთქვა ბროკვეიმ,—უნდა ვაღიარო, რომ მაკდონალდის მუშათა მთავრობამ, როცა იგი ძალაუფლების სათავეში იდგა, შეცდომა ჩაიდინა, რომ ინდოეთს არ მისცა თავის უფლებათა აღდგენის საშუალება. მე ვაღიარებ, რომ მუშათა მთავრობა ინდოეთს ელაპარაკებოდა იმავე ენით, როგორითაც კაპიტალისტური მთავრობა. მუშათა პარტიის ზოგიერთი ბელადები მოითხოვდენ, არა მარტო იმას, რომ ინგლისის ჯარები დარჩენილიყვენ ჩინეთში, არამედ იმასაც, რომ ინგლისის ბატონობა განემტკიცებია. და დამატებითი სამხედრო ძალები გაეგზავნა ჩინეთში. (ხმები ჩინეთის დელეგაციიდან: „სირცხვილი!"). მე ვაცხადებ, რომ ეს ბელადები არ წარმოადგენენ ინგლისის მუშებს". (ადს).

საბჭოთა კავშირში.

უკანასკნელი ცნობები

ანტიიმპერიალისტური კონგრესი დაიხურა

ბერლინი, 14 თებერვალი. 14 თებერვალს შესდგა კოლონიალურ ერთა ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლი ლიგის კონგრესის უკანასკნელი სხდომა. მიუცენბერგმა, რომელმაც მოხსენება გააკეთა საორგანიზაციო საკითხებზე, განაცხადა:

„კონგრესმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. უპირველესი ამოცანაა არის აქტიური დახმარების აღმოჩენა ჩინეთისათვის: იმ ქვეყნების წინააღმდეგ, რომელნიც თავს ესხმიან ჩინეთს, ჩვენ საერთაშორისო მასშტაბით მოვაწყობთ კრებების, დემონსტრაციების და ბოიკოტის კამპანიას. მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილებში მოეწყობა კონფერენციები; პირველი ასეთი კონფერენცია მოეწყობა ივლისში ხანკოუში".

შემდეგ ერთხმად იქნა მიღებული წინადადება იმპერიალიზმის, კოლონიალური ერების ჩაგვრის წინააღმდეგ და ეროვნული განთავისუფლებისათვის მებრძოლი მსოფლიო ლიგის დაარსების შესახებ.

როცა ფიმენმა სამჯერ შესძახა: „გაუმარჯოს პროფმოძრაობის მთლიანობას", მუშათა ორგანიზაციების ყველა წარმომადგენლებმა დაიწყეს „ინტერნაციონალის" სიმღერა.

მიღებულ იქნა მანიფესტი, რომელიც მოუწოდებს ყველა ჩაგრულ ერებს და მათ თანამგრძნობთ, რომ შეუერთდენ ლიგას. ლიგის ბიურო იარსებებს პარიზში. ლიგის მუდმივ აღმასკომში არჩეულ იქნა ლენსბერი, ფიმენი და სხვანი.

ჰოლანდიის მთავრობას გაეგზავნა დეპეშა, რომელშიაც მოითხოვენ ამნისტიას ინდონეზიაში. წაკითხულ იქნა სრ. ინდოეთის ნაციონალური კონგრესის მისასალმებელი დეპეშა, რომელიც აღუთქვამს, რომ „ყოველმხრივ შეუწყობს ხელს საერთაშორისო ბრძოლას იმპერიალისტების ტირანიის წინააღმდეგ".

საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა ფიმენმა. „ჩვენი ლიგის შექმნა,—სთქვა მან,—ისტორიული მოვლენაა. არც ერთ პარტიას არ აქვს ლიგაში უპირატესი გავლენა, მაგრამ კოლონიალური ერების გამოფხიზლება და მოვლენათა მსვლელობა, რომელმაც ამ კონგრესამდე მიგვიყვანა, გამოწვეულია რუსეთის რევოლიუციით. ამიტომ ჩვენ მადლობით ვიხსენიებთ იმ პირებს, რომლებმაც მოახდინეს რუსეთის რევოლიუცია და ხელმძღვანელობდენ მას.

კონგრესი დაიხურა „ინტერნაციონალის" სიმღერით. (ადს).

ფერმერების „ლამაზი" იმედების წინააღმდეგ

ვაშინგტონი, 14 თებერვალი. სენატმა დაამტკიცა კანონპროექტი ფერმერებისათვის დახმარების გაწევის შესახებ, რასაც მიზნად აქვს ფასების აწევა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე. კანონპროექტის მიხედვით, მთავრობას უფლება ეძლევა გაიღოს თანხები ზედმეტი სასოფლო სამეურნეო პროდუქციის შესაძენათ, რათა ამით თავიდან აიცილოს ფასების დაცემა პროდუქციის ზედმეტი გამომუშავების დროს. (ადს).

„ფორვერტსი" უკმაყოფილოა

ბერლინი, 14 თებერვალი. გერმანიის ბურჟუაზიული პრესა დიდ ყურადღებას აქცევს ბრიუსელის კონგრესს, ავსებს მთელ რიგ სვეტებს კონგრესის ანგარიშებით და აქვეყნებს წერილებს, რომლებშიც აღნიშნავს კონგრესის მნიშვნელოვან პოლიტიკურ მნიშვნელობას. „ფორვერტსი" „გამოსთქვამს მწუხარებას, რომ მუშების მრავალმა იდეალისტურად განწყობილმა ბელადმა და ინტელიგენციის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო „მოსკოვის მიერ მოწყობილ კომუნისტურ ინსცენიროვკაში". (ადს).

ო, მალს კიდევ აქვს იმედი

ლონდონი, 15 თებერვალი. რეიტერის სააგენტო იუწყება: „ო,მალის უკანასკნელ დეპეშაში აღნიშნულია, რომ შეთანხმება ახლო მომავალში იქნება ხელმოწერილი". (ადს).

საქართველოს
ეროვნული

საკავშირო ცაკის მესამე სესია

ბელორუსიის მთავრობის მუშაობა

ამხ. ადამოვიჩის მოხსენება

მოსკოვი, 15 თებერვალი. საკავშირო ცაკის სესიის პირველ სხდომაზე ბელორუსიის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **ადამოვიჩმა** მოხსენება გააკეთა ბელორუსიის მთავრობის მუშაობის შესახებ.

ამხ. ადამოვიჩმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მხოლოდ ოქტომბრის რევოლიუციამ გადასჭრა ნაციონალური საკითხი საბჭოთა კავშირში სადაც კავშირის შიგნით მცხოვრებ ეროვნებათა შორის სრული მეგობრობა და მშვიდობიანობა არის დამყარებული. ჩვენში არ არიან დიდი და პატარა ეროვნებანი. ბურჟუაზიულ სახელმწიფოში, სადაც დაჩაგრული ერები არსებობენ, შეუძლებელია მოხსენების გაკეთება რომელიმე ერის მდგომარეობის შესახებ, თუ ის გაბატონებულ ერს არ წარმოადგენს, ვინაიდან ბურჟუაზიულმა პარლამენტმა რომ მოისმინოს ასეთი მოხსენება, ეს უკანასკნელი მიიღებს ფართო დემონსტრაციის ხასიათს. ეს იქნებოდა დაჩაგრული ერის ამხედრება.

„ნაციონალური მტრობა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში—ლაპარაკობს ამხ. ადამოვიჩი—და ნაციონალური მშვიდობიანობა საბჭოთა კავშირში წარმოადგენს საუკეთესო საშუალებას ნაციონალური ჩაგვრის წინააღმდეგ საბრძოლველად ყველა ეროვნებათა განსათავისუფლებლად".

შემდეგ ადამოვიჩი დაწვრილებით ეხება ბელორუსიის რესპუბლიკის წარმოშობის ისტორიას.

„ბელორუსიის რესპუბლიკის მთავრობის ნაციონალური პოლიტიკა—ლაპარაკობს შემდეგ ამხ. ადამოვიჩი,—მდგომარეობს პირველყოვლისა იმაში, რომ ცხოვრებაში გაატაროს სრული ნაციონალური თანასწორობა და გარდა ამისა ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინოს ჩამორჩენილ და ნაკლებ კულტურულ ერებს მათი კულტურული და სამეურნეო ცხოვრების მოწყობაში".

ეხება რა სამეურნეო საკითხებს, ამხ. ადამოვიჩი აცხადებს, რომ უკანასკნელ წლებში ბელორუსიის მრეწველობას ემჩნევა უჩვეულო ზრდა. მაგალითად, თუ 1923-24 წლის მრეწველობის პროდუქციას ჩავთვლით ასად, 1924-25 წელში ის უდრის 134-ს, ხოლო გასულ წელს—207-ს. 1923-24 წელს მრეწველობაში დაბანდებული იყო 1.250.000 მანეთი, 1924-25 წელს—2.000.000 მანეთი, 1926-27 წლისათვის განზრახულია 8-9 მილ. მანეთის დაბანდება.

ბელორუსიისათვის ერთ-ერთ უდიდეს სამეურნეო პრობლემას წარმოადგენს რაიონული ელექტროსადგურის მოწყობა ორშის მახლობლად.

ბელორუსიის მთავრობამ უკანასკნელ დროს დიდი ყურადღება მიაქცია შინა-მრეწველობას.

ამხ. ადამოვიჩი სხვის ყურადღებას მიაქცევს იმ საგრძნობ დაბრკოლებებზე, რომლებიც წინ ეღობებოდენ ბელორუსიის მთავრობას თავის მუშაობაში. ერთ-ერთ დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს ის, რომ ბელორუსიას ჯერ კიდევ არ მოეპოვება საკმაო კულტურული ძალები, რომელთაც შეუძლიათ სამეურნეო და უმთავრესად კულტურული მუშაობის სათანადო ტემპით განვითარება. მეორე დაბრკოლება მდგომარეობს იმაში, რომ ბელორუსიის მეზობლად, დასავლეთით კაპიტალისტური ქვეყნები მდებარეობენ, ის თითქმის მხოლოდ ორ ნაწილად იყოფა: ის წარმოადგენს მიჯნას საბჭოთა კავშირსა და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის. ბელორუსიის რესპუბლიკის ასეთი მდგომარეობა უაღრესად აძნელებს სამეურნეო და კულტურულ მუშაობას. (ადს).

მოსკოვი, 15 თებერვალი. საკავშირო საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სადამოს სხდომაზე 14 თებერვალს გრძელდება ამხ. ადამოვიჩის მოხსენება ბელორუსიის რესპუბლიკის მთავრობის მუშაობის შესახებ.

ამჟამად ბელორუსიის რესპუბლიკაში დაქირავებულ შრომას ეწევა 500.000 კაცი. მათი სამუშაო ხელფასი უახლოვდება ომის წინადროინდელ ხელფასს, ხოლო მრეწველობის ზოგიერთ დარგებში სჭარბობს კიდეც ამ ნორმას. საშუალოდ ხელფასი, ბელორუსიის სიღარიბის გამო, ნაკლებია მთელ რიგ მოკავშირე რესპუბლიკების ხელფასზე. 1926-27 წლის ბიუჯეტი ცდილობს სამუშაო ხელფასი დაუახლოვოს და გაუთანასწოროს კიდეც სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში არსებულ ხელფასს.

შემდეგ მომხსენებელი გადადის ბელორუსიის სასოფლო მეურნეობის დახასიათებაზე და აღნიშნავს, რომ დღევანდელ მომენტამდე ძირითად ამოცანას წარმოადგენდა სასოფლო მეურნეობის აღდგენა და განმტკიცება. იმ მომენტიდან, რაც ომის წინადროინდელ ფარგლებამდე აყვანილ იქნა სასოფლო მეურნეობა და მესაქონლეობა, მთავრობის წინაშე წამოიჭრა მეორე ამოცანა: სასოფლო მეურნეობის გასასყიდი პროდუქციის გადიდება.

ბელორუსული სოფლის კლასიური შემადგენლობა ასეთია: ღარიბი გლეხობა—26 პროც., საშუალო გლეხობა—65 პროც. და კულაკობა—9 პროცენტი. შემდეგ მომხსენებელი ეხება მიწათმოწყობას და აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის განმავლობაში ბელორუსიაში მოწყობილია მოსახლეობის 20 პროც., მაშინ როდესაც მეფის მთავრობის დროს. მოწყობილი მოსახლეობის მხოლოდ და მხოლოდ 10 პროც. იყო.

ამ უკანასკნელ წლებში ბელორუსიის მთავრობამ გაატარა მთელი რიგი ზომები ვაჭრობის განვითარებისა და კოოპერაციის გაძლიერების დარგში.

ენერგიული ბრძოლა სწარმოებდა კერძო ვაჭრობასთან. ამასთან პარალელურად იზრდებოდა სავაჭრო ბრუნვა. ფასების დაკლების დარგში ბელორუსია თითქმის პირველ რიგში სდგას სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან შედარებით. მიუხედავათ ამისა, ბელორუსიის მთავრობა შემდეგ ამოცანად ისახავს ყოველმხრივ ხელის შეწყობას ფასების დაკლებისთვის პირველი საჭიროების საგნებზე, რომ ისინი უფრო მისაწვდომი გახდეს მომხმარებელთა ფართო მასებისთვის.

სასოფლო მეურნეობის შემდეგი განვითარება და საქონლის მიწოდების შემდეგი გაფართოება ბევრად არის დამოკიდებული, აგრეთვე, გზების მდგომარეობისაგან, ამასთან პარალელურად სდგას წყლის ტრანსპორტის გაუმჯობესების, მდინარეთა ნაპირების გამაგრების და მდინარეთა კალაპოტის გაღრმავების საკითხი.

სარკინიგზო ტრანსპორტი, აღნიშნავს მომხსენებელი, საკავშირო მთავრობის დახმარების შემწეობით, აღდგენილია, ხოლო თეთრგვარდიელ პოლონელების მიერ მიყენებული ჭრილობები—მოშუშებული.

შემდეგ მომხსენებელი გადადის ბელორუსიის ბიუჯეტის დახასიათებაზე, და აღნიშნავს ბიუჯეტის მნიშვნელოვან ზრდას, 1923-24 წელში ბელორუსიის შემოსავალი შეადგენდა 22 მილ. მანეთს, 1924-25 წ.—41 მილ. მან., 1925-26 წ.—65 მილ. მან. და 1926-27 წ.—71 მილ. მან. საშემოსავლო რესურსები იზრდება, უმთავრესად. ტყისა და მრეწველობის ხარჯზე.

არის დიდი მიღწევები კულტურულ დარგში. 1920 წელში დანგრეული სკოლები მთლიანად არის აღდგენილი. გარდა ამისა, ეს სასკოლო ქსელი, ომის წინადროინდელთან შედარებით, გაიზარდა ერთ ნახევარჯერ.

ბელორუსიის მიღწევები საბჭოთა მშენებლობის დარგში ხასიათდება თვით საბჭოების უკანასკნელ საარჩევნო შედეგებით. მიუხედავათ კულაკობის ენერგიული ბრძოლისა და იმ დაშინებისა, რომელსაც იყენებდა კულაკობა ღარიბი და საშუალო გლეხობის მიმართ, მიუხედავათ ყოველგვარ ცრუ ხმებისა პოლონეთის მომავალი ძლევამოსილი შემოსევის შესახებ, არჩევნებზე გამარჯვება მაინც ბელორუსიის გლეხობის ღარიბ და საშუალო ფენებს დარჩათ.

კამათი ამხ. ადამოვიჩის მოხსენების გარშემო

კამათში მონაწილე **ფელიქს კონმა** სთქვა: „ამას წინად მე დავესწარი ბელორუსიის პოლონელ გლეხთა ყრილობას და ვოლინის პოლონელ გლეხთა ყრილობას. ორივე ამ ყრილობაზე მე მოვისმინე ის, რაც ამ დელეგატებმა განაცხადეს ერთხმად: ჩვენი სამშობლო არის აქ, საბჭოთა კავშირში და საჭიროების შემთხვევაში, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცავთ მას.

ბელორუსიის ტერიტორიაზე მყოფ პოლონელ გლეხების ეს განცხადება საუკეთესოდ მოწმობს იმ პოლიტიკის სისწორეს, რომელსაც ატარებს საბჭოთა ხელისუფლება ეროვნულ საკითხის მიმართ.

საკავშირო საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს 15 თებერვლის გაერთიანებულ დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. ადამოვიჩის მოხსენების გარშემო.

კამათში გამოსულმა ამხ. **პეტროვსკიმ** გამოსთქვა რწმენა, რომ კომისია, რომელიც გამოყოფილი იქნება ბელორუსიის მთავრობის მოხსენების გარშემო რეზოლიუციის შესამუშავებლად გაითვალისწინებს ბელორუსიის მთავრობის მიერ ცაკის სესიაზე წარმოდგენილი მასალების უდიდეს ღირებულებას, სწორად შეაფასებს ბელორუსიის მიღწევებს კულტურულ და სამეურნეო ფრონტებზე და დასახავს გზებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ ბელორუსიას მიაღწიოს სოციალისტური წყობილების განხორციელებამდე მჭიდრო თანამშრომლობით მთელს საბჭოთა კავშირთან (ადს).

ა-კავკ. მშრომელთა მისალმება

მოსკოვი, 15 თებერვალი. ცაკის სესიის 15 თებერვლის დილის სხდომაზე ადამოვიჩის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში სიტყვა წარმოსთქვა ამხ. **სტურუამ**.

ამხ. სტურუა

ბელორუსიის მუშებსა და გლეხებს ესალმება ამიერ-კავკასიის მშრომელთა სახელით. ამხ. სტურუამ აღნიშნა რა ამხ. ადამოვიჩის მოხსენების ობიექტიური შინაარსი, გამოსთქვა რწმენა, რომ ბელორუსიის მთავრობის მოხსენების გამო არჩეული კომისია სწორ დასკვნას გამოიყვანს ამ მოხსენებიდან. კომისია იტყვის, რომ ბელორუსიაში ბევრი რამ არის გაკეთებული, მაგრამ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. მუშაობა მოწონების ღირსია და უნდა იქნას გამონახული საშუალებანი ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემდგომი აღმშენებლობისათვის.

ამხ. ბაგიროვი

(აზერბეიჯანი)

აღნიშნა ბელორუსიის მუშათა და გლეხთა მნიშვნელოვანი მიღწევანი რესპუბლიკის კულტურულ და სამეურნეო აღმშენებლობის ხაზით. ეს მით უფრო აუცილებელია აღნიშნოს, რომ ბელორუსიამ განიცადა სამოქალაქო ომი და ინტერვენცია, რომლებმაც დაანგრიეს რესპუბლიკა. ბელორუსიის ბედი, ბაგიროვის აზრით, ძალიან ჰგავს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალ რესპუბლიკების, განსაკუთრებით უკრაინის და ამიერ-კავკასიის ბედს. ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკა, ისე, როგორც ბელორუსია, ყოფილი რუსეთის განაპირა კუთხეს წარმოადგენს, რომელსაც ცარიზმი კოლონიის მსგავსად ეპყრობოდა. ამ რესპუბლიკების სხვა მსგავსება მდგომარეობს იმაში, რომ ორთავეს აქვთ მეტად ჭრელი ეროვნული შემადგენლობა, და დაბოლოს, ორთავე რესპუბლიკა ესაზღვრება ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს: „ამიტომ,—ამბობს ამხ. ბაგიროვი,—ბელორუსიის მუშათა და გლეხთა მუშაობის პირობები და მიღწევები, რომელნიც მათ აქვთ კულტურულ და ეკონომიურ აღმშენებლობის საქმეში, გასაგებია საბჭოთა კავშირის ყველა ეროვნებისათვის, განსაკუთრებით ამიერ-კავკასიის მოსახლე ეროვნებისათვის.

ჩვენი განაპირა რესპუბლიკები, რომელთაც მიზნად აქვთ შექმნან ხელსაყრელი პირობები ეკონომიური და პოლიტიკური განვითარებისათვის. ამავე დროს მაგალითი უნდა იყვენ მეზობელი ერებისათვის, რომელნიც საბჭოთა საზღვრების იქითა მხარეს იმყოფებიან. ამიტომ ბელორუსიას არ შეიძლება მიუდგეთ იმ ჩვეულებრივი საზომით, რომლითაც გამოსადეგია სხვა რესპუბლიკებისათვის".

ბაგიროვი სხვის ყურადღებას აქცევს მთელ რიგ მომენტებზე, რომელნიც ართულებენ ბელორუსიის მთავრობის მუშაობას. ის გარემოება, რომ არსებობენ მცირე მიწის მქონე გლეხები, უმიწაწყლონი და უმუშევარნი. ბელორუსიის მთავრობისაგან მოითხოვს დიდ ყურადღებას. ამიტომ კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს რეზოლიუცია ამხ. ადამოვიჩის მოხსენების გარშემო. ვალდებულია განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ამას და გამონახოს ის ღონისძიებანი, რომელნიც ბელორუსიის მთავრობას მისცემენ საშუალებას, რომ მოაგვაროს ეს საქმე.

ალი მამედოვი

(აზერბეიჯანი)

ფიქრობს, რომ ბელორუსიის დაბალი საფეხურის საბჭოთა ორგანოების ორგანიზაციული წყობა სავსებით სწორი არაა. სექციების მაგივრად, რომელნიც უნდა არსებობდენ ბელორუსიის საბჭოებთან, არსებობენ კომისიები. ამ გარემოებით აიხსნება ის, რომ ბელორუსიის მოსახლეობა საკმაო მონაწილეობას ვერ იღებს საბჭოთა არჩევნებში.

კომისიამ, რომელიც არჩეული იქნება სესიის მიერ ამხ. ადამოვიჩის მოხსენების შესახებ რეზოლიუციის შესამუშავებლად, სხვა საკითხებთან ერთად უნდა განიხილოს საკითხი იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელთაც ხელი უნდა შეუწყონ ბელორუსიის მშრომელთა მასების უფრო მეტად ჩაბმას საბჭოთა აღმშენებლობის საქმეში (ადს).

ბაქოს ბაზრობის წინ

აღმოსავლეთელი ვაჭრები ბაზრობაზე

ბაქო, 15 თებერვალი. ბაქოს ბაზრობაზე მოვიდა საბჭოთა ნაწარმოების 190 ვაგონი საქონელი და 130.000 ფ. მეტი სპარსული საქონელი. აღმოსავლელ ვაჭრების ერთმა ჯგუფმა საბაზრო კომიტეტს განუცხადა, რომ ისინი შეისყიდონ 1 მილ. მან. ღირებულ მატყლს და ტყავს, თუ ბაქოს საბაზრო კომიტეტი უზრუნველჰყოფს ნეტტო ბალანსს. ბაქოს საბჭომ აღძრა შუამდგომლობა საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის წინაშე, რათა ნებადართულ იქნას ბაქოს ტყავის მრეწველობისათვის საჭირო 20.000 ფ. მთრიმლავი მასალების შემოზიდვა ოსმალეთიდან. (ადს).

აფეთქება

აზერბ. კ. პ. ც. ს. კ. შენობაში

ბაქო, 15 თებ. დღეს გამოურკვეველი მიზეზის გამო აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) საკონტრ. კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის შენობაში დანთებულ ღუმელში მოხდა აფეთქება. აფეთქებამ იმსხვერპლა ღუმელთან ახლო მყოფი შიკრიკი და მსუბუქად დაშავა დამლაგებელი ქალი, რომელიც აფეთქების დროს მეზობელ ოთახში იმყოფებოდა. საქმის გამო სწარმოებს გამოძიება (ადს).

ნავთის შადრევანი

ბაქო, 14 თებერვალი. სურახანაში, ამოხეთქა ნავთის ახალმა შადრევანმა, რომლის დღიური დებეტი 12.000 ფუთ წმინდა ნავთს უდრის. (ადს).

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ამხ. არალოვი მოსკოვში

მოსკოვი, 15 თებერვალი. რიგიდან მოსკოვში დაბრუნდა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი არალოვი. (ადს).

ამხ. ლამბაროვის გამგზავრება

მოსკოვი, 15 თებერვალი. თეირანში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის სრულ უფლებიანი წარმომადგენლობის მრჩევლად სპარსეთში ახლად დანიშნული ლამბაროვი. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ყოფილი რწმუნებული. ლენინგრადში. (ადს).

გადარბენა მოსკოვი—ლენინგრადი—ვოლოგდა—მოსკოვი

ტვერი, 15 თებერვ. მოსკოვი—ლენინგრადი—ვოლოგდა—მოსკოვის გადარბენაში მონაწილე ჰაერო მარხილები 13 თებერვალს მოვიდნენ ტვერში, სადაც მათ მოსახლეობა დიდი ზეიმით შეხვდა. გზაში ყველა მოტორები კარგად მუშაობდენ.

14 თებერვალს ჰაერომარხილები მოვიდნენ ნოვგოროდში (ადს).

ჩუბაროველები—ჩიტაში

ჩიტა, 15 თებერვალი. სრიტენის ოლქის სოფელ სალნიკოვოში, 20 სოფლელი ხულიგანი, მათ რიცხვში 3 კომკავშირელი, თავს დაესხა სახალხო სახლში გამართულ წარმოდგენაზე, მეორე სოფლიდან მოსულ ქალს, და რიგრიგობით გააუპატიურეს ის. აღელვებული გლეხობა მოითხოვს საქმის სასწრაფოდ გარჩევას და დამნაშავეთა სასტიკად დასჯას (ადს).

საცალო ფასების შემცირებისათვის

მოსკოვი, 15 თებერვალი. საკავშირო ვაჭრობის სახ. კომისარიატმა დაადგინა, რომ ყველა სახელმწიფო და კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა, რომელნიც ცალობით ეწევიან ვაჭრობას, 1 მარტიდან უნდა გამოაცხადონ საცალო ფასების შემცირება ბამბის ნაწარმოებზე (ადს).

2 მილ. მან. მომჭირნეობა

მოსკოვი, 15 თებერვალი. სახელმწიფო ბანკმა თავის დაწესებულებათა შტატები შეამცირა 3.121 კაცით, რაიც 2 მილ. მან. მომჭირნეობას გამოიღებს ყოველ წლიურად (ადს).

კარცევის გამოგონებამ დაიჭირა გამოცდა

ლენინგრადი, 15 თებერვალი. გამოცდილ იქნება კარცევის მიერ გამოგონილი მოწყობილობა წყალზე სიარულოდ. გამოცდამ კარგი შედეგები გამოიღო. გამომგონებელი წყალზე ვერტიკალურად იდგა, დიდი ტალღებიც კი არ უშლიდენ წყალზე სიარულში (ადს).

შურის ძიება გლეხკორზე

ნიჟნი ნოვგოროდი, 15 თებერვალი. დაიწყო დიდი პროცესი ყოფილ პოლიციელ ჩებოტარსკის საქმეზე, რომელმაც შურისძიების ნიადაგზე მოახდინა თავდასხმა გლეხკორ იაშინზე. ჩებოტარსკის ჰქონდა გომური, სადაც ის ათრობდა ჩამოსულ გლეხებს და ეწეოდა მათზე ანტისაბჭოთა კამპანიის. ჩებოტარსკი, რომელიც გამოამჟღავნა გაზეთში მუშკორ იაშინმა, ეძებდა შემთხვევას, რომ შური ეძია მასზე, დაბოლოს ეს თავისი განზრახვა მან მოიყვანა სისრულეში—მხეცურად სცემა იაშინს, საზოგადოებრივ ბრალმდებელთა სახით სასამართლოში გამოვიდენ სამაზრო და საგუბერნიო გაზეთების წარმომადგენლები (ადს).

მებამბეობა შუა აზიაში

ტაშკენტი, 15 თებერვალი. მთელი შუა-აზია ემზადება ბამბის თესვის კამპანიისათვის, რომელიც დაიწყება 10 მარტს.

უზბეკისტანის მებამბეობის კომიტეტის ცნობით, ბამბის თესლი საკმაოდ მოიპოვება, კამპანიის ჩამტარებელი პერსონალი შერჩეულია, უზრუნველყოფილია ფულის თავის დროზე მიღება და ავანსების გაცემა მთესავებისათვის.

წელს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მოსავლიანობის გადიდებას. უზბეკისტანის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს მიღებული აქვს 456.000 მანეთი აგრიკულტურულ მუშაობის გასაძლიერებლად. შუა-აზიის ფარგლებში მოწყობილია ოთხი წარმოება სელიტრის დასამზადებლად. სწარმოებს პურის მარაგის დაგროვება. უკვე 1-ლი თებერვლიდან პურით მომარაგე ორგანიზაციების მარაგი უდრიდა 4.590.000 ფუთს. უზბეკისტანის მებამბეობის რაიონში გასაღებულ უნდა იქნეს ექვს მილიონ ფუთამდე პური. (ადს).

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ტალღამჭრელის პროექტი ლენქორანთან

ბაქო, 15 თებერვ. ჯერ კიდევ 1921 წელში ლენქორანის სამაზრო აღმასკომმა აღძრა საკითხი ტალღამჭრელის (ნავთსადგურის გარე ამშენობა, გემების სადგომ ან ნავთსადგურში შემავალ ადგილებს იცავს ტალღებისაგან) აგების შესახებ. მაგრამ ეს საკითხი მაშინ გადაუჭრელი დარჩა.

ამჟამად სამაზრო აღმასკომმა ხელმეორედ აღძრა საკითხი ლენქორანთან ტალღამჭრელის აგების შესახებ. სამაზრო აღმასკომის აზრით, დაბა კუმბაშში არსებული ილიჩის ნავთსადგური ვერ აკმაყოფილებს მაზრის ეკონომიურ მოთხოვნილებებს. ხელოვნური არხი, რომელიც ილიჩის ნავთსადგურს აერთიანებს ლენქორანთან, ყოველწლიურად მოითხოვს დიდ ხარჯს (60-70.000 მან.) მის გაწმენდაზე; ხოლო მომავალში ის მთლად გამოუსადეგარიც კი გახდება. ეს უკანასკნელი გარემოება აყენებს ახალი არხის გათხრის საკითხს, რასაც დასჭირდება 500.000 მან. მეტი. აგრეთვე, ვიწრო ლიანდაგიან რკინის გზის ხაზის გაყვანას ლენქორანიდან ილიჩის ნავთსადგურამდე დასჭირდება 500.000 მან.

სამაზრო აღმასკომი სთხოვს სახკომსაბჭოს, რომ დანიშნულ იქნას კომისია ტალღამჭრელის აგების პროექტის განსახილველად. ამნაირად ტალღამჭრელის აგება ჯდება 1 მილ. მანეთი (ადს).

მამონტის ჩონჩხი

ბაქო, 15 თებერვალი. ჩრდილოეთ დაღესტნის ჩირ-იურტის რაიონში 1926 წელს სარწყავი არხების გათხრის დროს იპოვეს მამონტის ჩონჩხი. დაღესტნის მუზეუმმა მამონტის ჩონჩხი გაუგზავნა აზერბეიჯანის პოლიტეხნიკუმს, რომელიც ამ დღეებში გამოსცემს დაღესტანში შეკრებილ საბუნებისმეტყველო ისტორიულ მასალებს, რომელშიც შევა, აგრეთვე, მამონტის აღმოჩენილი ჩონჩხის აღწერაც (ადს).

ტრაქტორისტების კურსები

ბაქო, 15 თებერვალი. შუველიანში (ბაქოს მაზრა) მოწყობილი ტრაქტორისტების კურსები უშვებს დღეს 100 ტრაქტორისტს, რომელთაგან 68 თურქია (ადს).

ტრაქტორების განაწილება გლეხებს შორის

ბაქო, 15 თებერვალი. „კიბერლიგი" შეუდგა ახლად შეძენილ „ფორძონის" სისტემის 90 ტრაქტორის განაწილებას აზერბეიჯანის გლეხებს შორის. „კიბერლიგსა" და „ზაკსელმაშს" შორის დადებულ ხელშეკრულებით, უკანასკნელს გადაეცა მონოპოლიური უფლება სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებით და სამკურნალო მასალებით ვაჭრობისა აზერბეიჯანში. მიმდინარე წელს განზრახულია ერთი მილიონი მანეთის სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების გასაღება (ადს).

აზერბეიჯანის შემსწავლელი საზოგადოება

ბაქო, 14 თებერვალი. აზერბეიჯანის შემსწავლელი საზოგადოება ამ დღეებში გამოუშვებს 8 წიგნს, რომლებიც ეხება აზერბეიჯანის ისტორიას. გამოცემულია თურქული სახალხო ანდაზების კრებულები მუშაობას გაზაფხულისა და ზაფხულის საექსპედიციო მუშაობისათვის. ამასთან დაკავშირებით ეწყობა მხარეთმცოდნეობის ორკვირეული კურსები. კურსებზე ლექციებს წაიკითხავენ საუკეთესო სპეციალისტი - პროფესორები. კურსები მუშაობას დაიწყებს 1 მარტიდან; სწავლა უფასოა. (ადს).

ნავთის გადასამუშავებელი ქარხანა ბათომში

ბაქო, 15 თებერვალი. ბათომში ნავთის გადასამუშავებელი ქარხნის აშენებამ ინჟინერმა ბოლდაკოვმა ამ.-კავკ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა;

„ნავთის გადასამუშავებელი ქარხანა, რომლის აგებასაც ეხლა იწყებს „აზნევტი" ბათომში, მოწყობილი იქნება ისე, რომ მას შეეძლება 2.500.000 ტონა ნავთის გადამუშავება. ქარხანა გადაამუშავებს ნავთს და აგრეთვე სპეციალურ პროდუქტებს. პირველ რიგში აიგება ნავთის ბატარეა, შემდეგ კი სამი ნავთ-ზეთის ბატარეა—თითო ზეთის, ასვალტის ქარხანა და სხ. ჩვენი პირველი ნავთის ბატარეა ყველაზე დიდი იქნება საბჭოთა კავშირში. ბატარეას ექნება ძლიერი მაცივარები, რომელთა საშუალებითაც მას შეეძლება 80 პროც. ბენზინის მიღება ნავთიდან (ნორმალური პროცენტი კი არის 40). ქარხნის წარმოების საქმე იქნება მეტად გამარტივებული და გაიაფებული. მთელი ბატარეის მუშაობის მართვის საქმე თავმოყრილი იქნება ერთ პუნქტში, სადაც დაიდგმება ყველა საკონტროლო და მოწესრიგებელი ხელსაწყოები, ქარხნის პროექტში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმას, რომ გამოყენებულ იქნეს ახალი მოწყობილობანი აბსოლიუტური სისუფთავისა და ჰიგიენის დასაცავად წარმოებაში (ადს).

ლენინის გამოუქვეყნებელი წერილები ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ *)

წაკითხული ამხ. ს. ორჯონიკიძის მიერ საკავ. კ. პ. ცენტრ. საკონტრ. კომისიის 5 თებერვლის პლენუმზე

ბრძოლა საქმეების გაჭიანურებასთან

I

ს. შ. უ. ს-თან არსებულ საწყობის ცენტრ. სამმართველოს უფროსს ამხ. ეჟოვს.

ამხ. ეჟოვო! მივიდე და გადავათვალიერე ქაღალდები საწყობის შესახებ.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსათვის გადაცემა ეხლა გადაწყვეტილია.

მოველი თქვენგან მოკლე, მაგრამ სწორ ცნობებს იმის შესახებ, აღწევთ თუ არა ნამდვილად რაიმე გაუმჯობესებას საწყობთა მეურნეობაში, როგორ მიმდინარეობს ბრძოლა ქონების და ტალების წინააღმდეგ, როგორც აღნიშნულ, ისე სხვა დანარჩენ საწყობებში.

საქმის გაჭიანურებაში მე შემიძლია თქვენც დაგდოთ ბრალი: „სამი წელია ვყვირით", „თითქმის 10 ჯერ, მეგონა, ბოლო მოუღე"—სწერთ თქვენ. მაგრამ საქმეც იმაშია, რომ არც ერთხელ საქმე ბოლომდე არ მიგიყვანიათ „მეგობა"-ს გარეშე.

რ. ს. ფ. ს. რ—ის კონსტიტუცია და რ. კ. პ.-ს წესდება თქვენ იცით. საქმის ბოლომდე მიყვანა ნიშნავს: სრულიად რუსეთის ცაკის სესიამდე (რა კი საბჭოთა ყრილობა არ შეიკრიბება). პარტიაში—ცეკას პლენუმამდე.

თქვენ არც ერთხელ ბოლომდე არ მიგიყვანიათ.

1) მოკლე, „დეპეშისებური", მაგრამ გარკვეული და სწორი განცხადება ცეკას წევრებს,—სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმის წევრებს.

2) წერილი პრესაში.

3) მუშათა და გლეხთა ინსპექციის ადგილობრივ ან მეზობელ უჯრედის პირველი ნაბიჯი, მისი გამომჟღავნება, მისი შეკითხვა მოსკოვის დეპუტატთა საბჭოში.

აი სამი ღონისძიება, სავალდებულო საქმის გაჭიანურებასთან ბრძოლაში.

ეს ბრძოლა ძნელია, რა თქმა უნდა, მაგრამ ძნელი შეუძლებელი როდია.

თქვენ ჩამოუშვით ხელები, კი არ იბრძოლეთ, და არ ამოსწურეთ ბრძოლის ყველა საშუალებები.

საწყობთა საქმე საჭიროებს გაცილებით უფრო გამწვავებულ ბრძოლას საქმის გაჭიანურების წინააღმდეგ, საჭიროებს შემოწმებას „ქვევიდან" და „ყველა ფენებიდან",—პრესაში გამოქვეყნებას,—კიდევ და კიდევ შემოწმებას და სხვ.

მინდა იმედი ვიქონიო, რომ ეხლა, როცა გაქვთ მძიმე და სამწუხარო, მაგრამ სასარგებლო გამოცდილება, თქვენ ამ ბრძოლას საქმის გაჭიანურების წინააღმდეგ მოჰკიდებთ ხელს ისე, რომ მართლაც ბოლომდე მიიყვანოთ ის".

დროგამოშვებით უნდა ვეცნობოდეთ ამ ბრძოლის შედეგებს.

კომსალამით **ლენინი**.

ხომ ვერ გამოგზავნით როგორმე მოკლე, ძალიან მოკლე ცნობებთან ერთად ბრძოლის (საქმის გაჭიანურებასთან) მდგომარეობის შესახებ, აგრეთვე მოკლე ცნობას თქვენი აპარატის შესახებ (ხალხის რაოდენობა მათ შორის კომუნისტების, კვალიფიკაცია: პასუხისმგებლები, შემსრულებლები, საკანცელარიო და სხვ.) და თქვენი მუშაობის მოკლე გეგმას.

დასწერეთ მოკლეთ, დეპეშის სტილით, თუ საჭიროა გამოჰყავით განსაკუთრებული წინადადებები: გრძელი თუ იქნა, ალბად სულაც არ წავიკითხავ.

თუ არის პრაქტიკული წინადადებები, გამოჰყავით ისინი ცალკე ფურცლებზე, ზედმიწევნით მოკლეთ, როგორც დეპეშა, ასლი მდივანს გაუგზავნეთ.

ლენინი.

28 სექტემბერი, 21 წ.

II

5 სექ. 21 წ. იუსტიციის სახალხო კომისარიატი

ამხ. კურსკის და მის მოადგილეს და აგრეთვე კოლეგიის ყველა წევრს

მე თქვენ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის ხელით გამოგიგზავნეთ პროფესორ გრაფტიოს განცხადება გამაცვიფრებელი დოკუმენტებით საქმის გაჭიანურების შესახებ.

საქმის გაჭიანურება—ეს განსაკუთრებით მოსკოვის და ცენტრალურ დაწესებულებებში ჩვეულებრივი მოვლენაა. მაგრამ მით უფრო მასთან ბრძოლას უნდა მიექცეს ყურადღება.

ჩემი შთაბეჭდილება ისეთია, რომ იუსტიციის სახალხო კომისარიატი ამ საქმეს ეკიდება სავსებით ფორმალურად, ე. ი. თავიდან ბოლომდე შემცდარათ.

საჭიროა:

1) ეს საქმე ირჩეოდეს სასამართლოში,

2) მიღწეულ იქნეს დამნაშავეთა გამათრახება პრესაში და სასტიკი დასჯა;

3) გამოვაფხიზლოთ მოსამართლეები ცენტრალურ კომიტეტის საშუალებით, რათა ისინი საქმის გაჭიანურებისათვის უფრო მკაცრ სასჯელს მიმართავდენ;

4) მოეწყოს მოსკოვის სახალხო მოსამართლეების, ტრიბუნალების და სხვ. წევრების თათბირი, რომელიც შეიმუშავებს საქმის გაჭიანურებასთან საბრძოლველად წარმატებითი ღონისძიებებს;

5) ამ 1921—22 წ. შემოდგომაზე და ზამთარში აუცილებლად გასარჩევად დასმული უნდა იქნეს მოსკოვში 4—6 საქმე მუშაობის გაჭიანურების შესახებ, შერჩეული უნდა იქნეს უფრო დამახასიათებელი შემთხვევა და თვითეული გასამართლება გადაქცეული უნდა იქნეს პოლიტიკურ საქმედ;

6) გამოძებნილ იქნეს თუნდაც ორი-სამი ჭკვიანი „ექსპერტი" ყველაზე უფრო შეურიგებელ და შეუპოვარ კომუნისტებიდან საქმის გაჭიანურებასთან საბრძოლველად (მოიწვიეთ სოსნოვსკი), რათა ვისწავლოთ საქმის გაჭიანურების დევნა;

7) გამოცემულ იქნეს კარგი, საფუძვლიანი, არაბიუროკრატიული წერილი (იუსტიციის სახალხო კომისარიატის ცირკულიარი) საქმის გაჭიანურებასთან ბრძოლის შესახებ.

ამ უმნიშვნელოვანეს ამოცანის შესრულებას ვაკისრებ საკუთარი პასუხისმგებლობით სახალხო კომისარს და მის მოადგილეს, გთხოვთ რეგულიარულად შემატყობინოთ შესრულების შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე

ლენინი.

ტექსტი ვ. ი. ლენინის ხელითაა დაწერილი.

III

იუსტიციის სახალხო კომისარიატი

ამხ. კურსკის

4 ნოემბერი 1921 წ.

ჩემს წერილში № 809 5 სექტემბრის თარიღით მე თქვენი პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ გაკისრებდით მთელ რიგ დავალებებს და გთხოვდით რეგულიარულად შეგეტყობინებიათ ჩემთვის შესრულების შესახებ.

გთხოვთ გვაცნობოთ, როგორ შეასრულეთ შემდეგი დავალებანი:

1) გამოვაფხიზლოთ მოსამართლეები ცენტრალურ კომიტეტის საშუალებით, რათა ისინი საქმის გაჭიანურებას უფრო მკაცრად სჯიდენ;

2) მოეწყოს მოსკოვის სახალხო მოსამართლეების, ტრიბუნალების და სხვ. წევრების თათბირი, რომელიც შეიმუშავებს საქმის გაჭიანურებასთან საბრძოლველად წარმატებითი ღონისძიებებს;

3) ამ 1921—22 წ. შემოდგომაზე და ზამთარში აუცილებლად გარჩეული უნდა იქნეს მოსკოვში 4—6 საქმე მუშაობის გაჭიანურების შესახებ, შერჩეულ იქნეს უფრო დამახასიათებელი შემთხვევა. და თვითეული გასამართლება უნდა იქცეს პოლიტიკურ საქმედ.

4) გამოძებნილ იქნეს თუნდაც ორი-სამი ჭკვიანი „ექსპერტი" ყველაზე უფრო შეურიგებელ და შეუპოვარ კომუნისტებიდან საქმის გაჭიანურებასთან საბრძოლველად (მოიწვიეთ სოსნოვსკი), რათა შევისწავლოთ საქმის გაჭიანურების დევნა;

5) გამოცემულ იქნეს კარგი, საფუძვლიანი, არაბიუროკრატიული წერილი (იუსტიციის სახალხო კომისარიატის ცირკულიარი) საქმის გაჭიანურებასთან ბრძოლის შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე.

ტექსტი დაბეჭდილია მანქანაზე საკანცელარიო შენიშვნები გაკეთებულია შავი ფანქრით.

შენიშვნა: როგორც სჩანს, ტექსტი შედგენილია ვ. ილიჩის დავალებით საქმეთა მმართველ ნ. პ. გორბუნოვის მიერ.

მუშაკთა შერჩევის და პასუხისმგებლობის შემოღების შესახებ

მცირე ბარათი ვ. ი. კრესტინსკის და კამენევს

საბჭოთა დაწესებულებებში მმართველობის ყველა საკითხების კოლეგიალურ განხილვას და გადაწყვეტას თან უნდა სდევდეს ყოველგვარ საბჭოთა თანამდებობაზე მყოფი **ყოველი** პირის უდიდესი სისწორით განსაზღვრული **პასუხისმგებლობის** დამყარება გარკვეულ, ნათლად და აშკარად დასახული ამოცანების და **პრაქტიკული** მუშაობის შესრულებაში.

ამ წესის შესრულება, ურომლისოდაც შეუძლებელია ნამდვილი კონტროლის გატარება და ყოველ თანამდებობისა და ყოველ მუშაობისათვის გამოსადეგ პირთა შერჩევა, ამიერიდან **აუცილებლად სავალდებულო** უნდა გახდეს.

ამიტომ ყოველი საბჭოთა კოლეგია და ყოველი საბჭოთა დაწესებულება, განურჩევლად, ვალდებულია დაუყოვნებლივ:

პირველი, მიიღოს დადგენილება მუშაობისა და პასუხისმგებლობის სისწორით განაწილების შესახებ კოლეგიის ყველა წევრთა ან თანამდებობის პირთა შორის,

მეორე, სრულის სისწორით იქნას გამორკვეული იმ პირთა პასუხისმგებლობა, რომელნიც ასრულებენ რაიმე ხასიათის ცალკე დავალებას, განსაკუთრებით ისეთ დავალებას, რომელიც ეხება მასალებისა და პროდუქტების სწრაფად და სწორად შეკრებას და განაწილებას.

ამ წესის შესრულება სავალდებულოა ყველა საბჭოთა დაწესებულებათათვის, განსაკუთრებით სავალდებულოა ადგილობრივ, სამაზრო, საქალაქო და სხ. აღმასკომების საბჭოთა მეურნეობის და სამეურნეო (ან ეკონომიურ) განყოფილებათათვის. ასეთი განყოფილებანი ან საბჭოთა მეურნეობანი ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ დააკისრონ განსაზღვრულ პირებს პასუხისმგებლობა მოსახლეობისათვის საჭირო **ყოველი** სახის ნედლი მასალებისა და პროდუქტების სწრაფად და სისწორით მიწოდების შესრულებაში.

ყველა ხელმძღვანელი საბჭოთა დაწესებულებანი, როგორც მაგ., აღმასკომები, საგუბერნიო და საერთო საქალაქო საბჭოთა დეპუტატები და სხ., ვალდებული არიან იმგვარათ მოაწყონ თავიანთი მუშაობა, რომ პირველ რიგში დადგეს ფაქტიური კონტროლის ცენტრალურ ხელისუფლებისა და ადგილობრივ დაწესებულებების დადგენილებათა ნამდვილად განხორციელებისათვის; მეორე გვარი ხასიათის მუშაობა კი მაქსიმალური შესაძლებლობის ფარგლებში გადაეცეს დამხმარე კომისიებს, რომელნიც ამა თუ იმ დაწესებულების წევრთა მცირე რიცხვისაგან უნდა შესდგებოდენ.

საქმის გაჭიანურებასთან ბრძოლისა და ბოროტმოქმედებათა უფრო წარმატებით აღმოსაჩენად და აგრეთვე თანამდებობის იმ არაკეთილსინდისიერ პირთა მხილებისა და გადაყენებისათვის, რომელნიც საბჭოთა დაწესებულებებში შეიჭრენ, შემოღებული უნდა იქნას შემდეგი წესები:

ყველა საბჭოთა დაწესებულებებში, არა მარტო შენობის შიგნით, არამედ გარეთაც, თვალსაჩინო ადგილას უნდა იქნას გამოკრული წესები ხალხის მიღების დღეებისა და საათების შესახებ. შენობა აუცილებლად ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ იქ შესვლა იყოს თავისუფალი, უნებართვოდ.

ყოველ საბჭოთა დაწესებულებაში უნდა იქნას შემოღებული წიგნი, რომელშიაც მეტად მოკლე ფორმით უნდა ჩაიწეროს მთხოვნელის გვარი, მისი განცხადების შინაარსი და საქმის მიმართულება.

კვირა და უქმე დღეებში უნდა დაინიშნოს მიღების დღეები.

თანამდებობის პირთ სახელმწიფო კონტროლიდან ეძლევა უფლება დაესწროს ყველა მიღებებს და ევალება დრო გამოშვებით დაესწროს მიღებებს, შეამოწმოს ზემოხსენებული წიგნები და შეადგინოს ხალხის მისვლის, წიგნის შემოწმების და ხალხის დაკითხვის ოქმები.

შრომის, სახელმწიფო კონტროლისა და იუსტიციის კომისარიატები ვალდებული არიან მოაწყონ ყველგან ცნობათა ბიუროები; ამასთანავე მოსახლეობას უნდა აცნობონ, თუ რომელ დღეებში და რომელ საათებში შეუძლებათ ცნობების მიღება ამ ბიუროებიდან; ბიუროს შენობაში შესვლა უნდა იყოს თავისუფალი და ცნობის მიღება უფასო; ბიურო უნდა მუშაობდეს კვირა დღეობითაც. ეს ცნობათა ბიუროები ვალდებული არიან მისცენ არა მარტო ყველა საჭირო ცნობები, როგორც ზეპირობით, ისე წერილობითი, არამედ უფასოდ შეადგინონ წერილობითი განცხადებანი წერა-კითხვის უცოდინართათვის და იმ პირთათვის, რომელთაც არ შეუძლიათ განცხადების შედგენა, მონაწილეობა ამ ცნობათა ბიუროში უნდა მიიღონ როგორც **ყველა** პარტიების წარმომადგენლებმა, რომელნიც დაშვებული არიან საბჭოებში, აგრეთვე იმ პარტიებმაც, რომელნიც მთავრობაში არ მონაწილეობენ, ისე, უპარტიო, პროფესიონალური კავშირებისა და უპარტიო ინტელიგენციის კავშირების წარმომადგენლებმაც.

საბჭოთა რესპუბლიკის თავდაცვის საქმე აუცილებლად მოითხოვს ძალების უდიდეს ეკონომიას და სახალხო შრომის უაღრესად ნაყოფიერად გამოყენებას.

ამ მიზნით დადგენილ იქნას,—პირველ რიგში ყველა საბჭოთა დაწესებულებათა მიმართ, შემდეგში იგი უნდა გავრცელდეს ყველა და ყოველგვარ წარმოებებზე და კოლეგიებზე,—ქვემოხსენებული:

1. საბჭოთა ყოველი დაწესებულების ყველა რამდენადმე მაინც დამოუკიდებელმა განყოფილებამ სამი დღის ვადის განმავლობაში უნდა წარუდგინოს ადგილობრივ აღმასკომს (მოსკოვში კი, გარდა ამისა, იუსტიციის სახალხო კომისარიატს) მოკლე ცნობები შემდეგი პროგრამით: ა) უწყება, ბ) განყოფილების სახელწოდება, გ) მისი მუშაობის შინაარსი, მეტად მოკლედ აღწერილი, დ) ქვეგანყოფილებათა, საქმის წარმოებათა, ან სხვა დანაწილებათა რიცხვი, მათი აღნუსხვით, დანაწილება სქესის მიხედვით ე) მოსამსახურეთა რიცხვის ვ) საქმის წარმოების მატულობა, რამდენადაც იგი შეიძლება გამოიხატოს, მაგალითად, საქმეთა რიცხვით, მიმოწერის რაოდენობით და სხ. ნიშნების მიხედვით.

ადგილობრივი აღმასკომები (მოსკოვში საბჭოთა დეპუტატების აღმასკომები იუსტიციის სახ. კომისარიატთან შეთანხმებით) ვალდებული არიან დაუყოვნებლივ (1) მიიღონ ზომები ზემოყვანილი წესის სისწორით და თავის დროზე შესრულების შემოწმებისათვის, (2) ამ ცნობათა წარდგენის დღიდან ერთი კვირის განმავლობაში შეიმუშაონ იმ განყოფილებათა შეთანხმების, გაერთიანების და **შეერთების** გეგმა, რომელნიც ერთგვარ საქმეებს განაგებენ.

კომისიებმა, რომელთაც ზემოხსენებული დაწესებულებანი დაავალებენ ამის განხორციელებას, თავის შემადგენლობაში უნდა შეიყვანონ შემდეგი უწყებათა წარმომადგენელნი: შინაგან საქმეთა, იუსტიციის, სახელმწიფო კონტროლის, შრომის და ცაკის პრეზიდიუმის; საჭიროებისდაგვარად უნდა შეიყვანონ სხვა უწყებათა წარმომადგენელნიც; ამასთანავე ამ კომისიებს უნდა დაევალოს, რომ სახალხო კომისართა საბჭოში და ცაკის პრეზიდიუმში **ყოველკვირეულად** წარმოადგინონ მოკლე ანგარიში იმის შესახებ, თუ რა გაკეთდა ერთგვარ განყოფილებათა შეერთებისა და შრომის ეკონომიისათვის.

2) ყოველ ქალაქში, სადაც არიან ერთგვარი განყოფილებანი ან უწყებანი ცენტრალური, საოლქო, საგუბერნიო, სამაზრო, ადგილობრივ დაწესებულებასთან უნდა შეიქმნან კომისიები ყველა ასეთ დაწესებულებათა შეთანხმებისა და გაერთიანებისათვის, ძალთა მაქსიმალური ეკონომიის მიზნით; ამასთანავე ეს კომისიები მუშაობენ წესების მიხედვით და პირველ მუხლში აღნიშნული წესების დაცვით.

---

*) დასასრული იხ. „კომუნისტი" № 36.

საბჭოთა არჩევნები

„შავი სიების" შესახებ

საბჭოთა საარჩევნო კამპანიის ერთ ძირითად პირობას წარმოადგენს ღარიბი და საშუალო გლეხკაცობის ერთად დარაზმვა და კულაკობის სოფლის მართვა-გამგეობის საქმეებიდან განცალკევება. ეს პირობა მტკიცედ ტარდება მიმდინარე არჩევნებში. ამას მოწმობს საარჩევნო უფლება მოკლებულ პირთა რიცხვის დიდი ზრდა, რომელიც წელს საყოველთაო მოვლენას წარმოადგენს.

ეს, სხვათა შორის, იმის მაჩვენებელია, თუ რამდენად მტკიცეთ ატარებს ჩვენი ადგილობრივი ორგანოები პარტიის და ხელისუფლების მითითებებს საარჩევნო კამპანიის ჩატარების შესახებ. მაგრამ ისიც უდავოა, რომ ამ მუშაობაში ზოგჯერ ადგილი აქვს შეცდომებს. აქ უმთავრესად მისაღებია მხედველობაში საარჩევნო უფლების ჩამორთმევის საკითხი.

კულაკობის პოლიტიკურად გარიყვა, სხვა ანტი-საბჭოთა ელემენტების არჩევნებისაგან ჩამოშორება, არ უნდა ხდებოდეს ისე, რომ მათთან ერთად გაირიყოს საშუალო შეძლების გლეხობის ნაწილიც, რასაც კი სამწუხაროდ აქა-იქ აქვს დღეს ადგილი.

როგორც ვიცით, საარჩევნო კომისიები ადგილობრივ დიდი ნდობითა და უფლებით არიან აღჭურვილნი. ეს მდგომარეობა მათ ავალებს, რომ ამდენადვე დიდად ფრთხილი და წინდახედული იყვნენ ისინი საარჩევნო სიების შედგენის დროს. არ კმარა სიების შედგენისას ვისიმე ზეპირ განცხადებაზე დაყრდნობა. თუ საარჩევნო კომისიას რომელიმე პიროვნებაში ეჭვი ეპარება მის საბჭოთა მოქალაქეობრივობის სრულუფლებიანობის მხრივ, ის უნდა შეეცადოს პირადათ გაეცნოს საქმის ვითარებას, გაიგოს ამ პიროვნების შესახებ მთელი ორგანიზაციის და არა ცალკე პირის აზრი და სხვა.

ხშირად ხდება, რომ დაბეზღების ნიადაგზე სიის გარეთ რჩებიან საშუალო შეძლების გლეხები, რომელთაც არას შემთხვევაში ხმის უფლება არ უნდა ერთმეოდეს. ან წინააღმდეგ მოვლენასაც აქვს ადგილი:—საარჩევნო ხმის მქონეთა სიაში ნათლიმამობით და ძმაბიჭობით შეაქვთ ანტი-საბჭოთა ელემენტები.

მშრომელთა მასების პოლიტიკური შეგნება დღეს იმდენად გაიზარდა, რომ საბჭოთა მოქალაქეობას ისინი დიდ მნიშვნელობას აკუთვნებენ. ამიტომ საარჩევნო კომისიების ვალია, რაც შეიძლება ფრთხილათ მიუდგენ ისინი ევრეთ წოდებულ „შავი სიების" შედგენას, და რაც შეიძლება ახლო გაეცნონ ისინი თვითეულ საეჭვო კანდიდატს ამ სიაში შეტანის დროს.

ბ. რ—ლი.

ხვალ არჩევნები ჩატარდება

მე-2-ე რაიონში

1) „გრუზგოსტორგი"-ს მუშა მოსამსახურეებში, სად. 7 საათზე.

2) ცენტრალურ ელექტრო-სადგურზე, ნაშუადღევის 2 საათზე.

3) „მუშკოოპი"-ს ტრანსპორტი, სად. 6 საათზე.

4) ჯანსახკომი და ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტი, 3 საათზე.

5) მეეზოვეთა მე-4 და 5 ადგილკომებში—დილის 10 საათზე, საკუთარ კლუბში.

6) განმუშაკთა კავშირის პირველი პუნქტი, დღის პირველ საათზე.

7) ფსიქიატრიულ საავადმყოფოს, თვალის საავადმყოფოს, საბჭოთა აფთიაქების, ტროპიკული ინსტიტუტის, ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტის, სახმედვაჭრობის, მთავარ საავადმყოფოს, გინეკოლოგიურ ინსტიტუტის, კამოს საავადმყოფოს, და ფიზიკო თერაპევტიულ ინსტიტუტის, მე-2 [illegible] საავადმყოფოს მუშა მოსამსახურეთა ოჯახის წევრების ცენტრალურ მუშათა კლუბში საღამოს 6 საათზე.

მე-3-ე რაიონში

1) აღმასკომის, ქალაქის საავადმყოფოს, [illegible] ზამგესის და ქალაქის ლომბარდის თანამშრომლებისათვის—რუსთაველის საკონცერტო დარბაზში დღის 2 ნახევარ საათზე.

2) ფოსტა-ტელეგრაფის თანამშრომლებისათვის—ამხ. ცხაკაიას სახ. კლუბში დღის 2 ნახ. საათ.

3) სამხატვრო აკადემიის სახელმწ. კონსერვატორიის ადგილკომის, სახ. მუსიკის ტეხნიკუმისათვის—დღის 2 ნახ. საათზე.

4) ამხ. ლენინის სახ. პოლიტ. ინსტიტუტის თანამშრომლებისათვის—კლუბი „კატორ"-ში დღის 2 ნახ. საათზე.

5) შაქრის ტრესტის, ლითონის სინდიკატის, „აზთევზი"-ს, „ამერკოვი"-ს, „სოფლის კავშირის", ა. კ. ხორცის ვაჭრობის, ბორჯომის მინერალურ წყლის სამმართველოს, რ. ს. ფ. ს. რ. სახელგამის განყოფილების, „ხლებოპროდუქტის", საქონლის ბირჟის, წერითი დამხმარე ბიუროს, სახალ. ბანკის, სავაჭრო ბანკის, „კოოპ. ბანკის", ქალაქის ბანკის, ა. კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის თანამშრომელთა ოჯახის წევრებისათვის—აღმასკომის დარბაზში საღამოს 6 საათზე.

6) მილიციის თანამშრომელთა ოჯახის წევრებისათვის—ახალ მუშათა კლუბში საღამოს 5 საათზე.

მგლები ცხვრის ქურქში

(ნუკრიანის თემი, სიღნაღის მაზრა)

ჩვენი თემის ერთ სოფელს სახელდობრ ნუკრიანის კალოებს არ ჰქონდა წყალი, ამიტომ თემის საზოგადო ყრილობამ 1924 წელში გადასწყვიტა გაეყვანათ ამ სოფლისათვის წყალი და ამისათვის გლეხებზე გაეწერათ ფული. ფულიც შეკრეს. აირჩიეს საამშენებლო კომისია. კომისიამ დაიწყო წყლის გაყვანა. მოიწვიეს ტეხნიკი, ჩააწყვეს მილები და გაიყვანეს კიდეც წყალი. რამდენიმე ხნის შემდეგ წყალი ისევ შეწყდა, იმიტომ, რომ, წყლის სათავეში ჩაემტვრიათ მილები, ჩაეყარათ შიგ ქვები, ხეები და სხვა.

რა მოხდა? ის, რომ, ადგილობრივმა ბნელმა პირებმა განზრახ ჩაიდინეს. შემდეგ დაიწყეს ხალხში ძრომა და ლაპარაკი, რომ „რაც გაიტანეთ ფული, სულ შეჭამეს და წყალი როგორ უნდა გაეკეთებინათ"-ო.

მოსთხოვეს ანგარიშები საამშენებლო კომისიას. გამოყვეს ცალკე პირები რევიზიისათვის გაუკეთეს რევიზია, მაგრამ ვერაფერი ცუდი ვერ იპოვნეს და ხალხს მოხსენდა, რომ საამშენებლო კომისიის მუშაობა დამაკმაყოფილებელია. ამის შემდეგ კრებამ დაადგინა, რომ გაფუჭებული მიწები ისევ გაკეთდეს და გაწერილი გადასახადის აკრეფაც მოხდეს.

ფულის შეჭმა რომ ვერ დაამტკიცეს ბნელმა პირებმა სხვა ხერხს მიმართეს. დაიწყეს ხალხში ლაპარაკი, „არ გაიტანოთ გადასახადი, რადგან ვერაფერს გააკეთებენო. რაც გავიტანეთ იმისი რა გააკეთეს"-ო. ე. ი. ჯერ თვითონ გააფუჭებინეს გაკეთებული წყალსადენი, მერე იგი გადააბრალეს კომისიას და ამით შეეცადენ მისი სახელის გატეხას.

წელს საზოგადო ყრილობაზე ამ ელემენტებმა სცადეს რომ წყლის გაფუჭება დაებრალებინათ წყალსადენზე მომუშავე მუშებისათვის, რომელნიც ღარიბი გლეხობა იყო. ერთი საშუალო გლეხი ლაპარაკობდა კიდეც ყრილობაზე ამის შესახებ. მაშასადამე მათ სცადეს საშუალო გლეხობის თავის მხარეზე გადაბირებაც და მათი ღარიბთა წინააღმდეგ გამოყენება. მაგრამ პარტ-უჯრედმა მათ ღირსეული პასუხი გასცა.

რა დასკვნა შეგვიძლიან გამოვიტანოთ ზემოთ თქმულიდან. ბნელი ელემენტები ცდილობენ სახელი გაუტეხონ პარტიას და ღარიბ გლეხთა ჯგუფებს ხალხის თვალში.

ვინაა ეს ვაჟბატონები? ესენი არიან: ყოფილი პრისტავი, ყოფილი ნაცვალი „სბორჩიკი" და სხვები, რომელნიც ნიკოლოზის დროს ხალხს ზურგზე ასხდენ, ტყავს აძრობდენ, და ჰყლაპავდენ ნუკრიანის გლეხების ქონებას.

დღეს ისინი ეხვევიან ცხვრის ქურქში და სურთ მშრომელთა მოკეთეებად გამოვიდენ. მაგრამ მშრომელი გლეხობა უღარიბესი ნაწილი და პატიოსანი საშუალო გლეხობა არ აყვება მათ ჭორებს და აყალმაყალს.

კორდიშელი.

თავმჯდომარეები „შავ სიაში"

(ქუთაისის მ.)

ქუთაისის მაზრაში არის ისეთი შემთხვევები, რომ თემ-საბჭოს 7—8 წევრს და ზოგან აღმასკომის თავმჯდომარესაც წაერთვათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება. უფლებები წაერთვათ არა ახალი საარჩევნო ინსტრუქციის მიხედვით, არამედ წინა საარჩევნო ინსტრუქციითაც ხმის უფლება არ უნდა მისცემოდა მათ, მაგრამ ადგილობრივ ორგანიზაციების მიერ აშკარა შეცდომა ყოფილა დაშვებული, რაც თავის თავად ცხადია წელს უნდა გამოსწორებულიყო.

თვით ქალაქი. ქუთაისი დაყოფილია 9 საარჩევნო უბნად ყველა უბნებში გაკეთებულ იქნა მოხსენებები ქალაქის საბჭოსა და აღმასკომის საქმიანობაზე. არჩევნები თემებში დაიწყო 10 თებერვლიდან. ქალაქში კი 20 თებერვლიდან. უნდა მიუდგომლად აღინიშნოს, რომ არჩევნების წინასწარი სამზადისის ჩატარების დროს ყველგან დიდი აქტივობა იყო.

მუშა ვალიკო.

ქალებმა არაჩვეულებრივი აქტივობა გამოიჩინეს

(ს. სიონი, ბორჩ. მაზრა)

ს. სიონში ახალი საბჭოთა არჩევნები უკვე მოთავდა.

საარჩევნო უფლებას მოკლებულთა სია 20 დღით ადრე იყო გამოკრული, სანამ არჩევნები მოხდებოდა.

არჩევნებს კომკავშირელები ძალიან ცოცხლად უთვალთვალებდენ, ხალხმა საკმაოდ აქტივობა გამოიჩინა, კრებას დაესწრო ამომრჩევლების 74 პროც.

აქ უფრო საყურადღებო ისაა, რომ აქაური ჩამორჩენილი ქალები, თითქმის მოულოდნელ აქტიურად და შეგნებულად შეხვდა საბჭოთა არჩევნებს.

საარჩევნო კრებას დაესწრო 80 პროცენტი ამომრჩეველი ქალებისა. საბჭოში დეპუტატების საერთო რიცხვის ერთ მესამედს ქალები შეადგენენ.

საარჩევნო კომისიას ხელმძღვანელობდა ამხ. პეტროსიანი, რომელიც სწორად უდგებოდა საქმეს.

შალვა ქავზანაძე.

ახალციხის მაზრაში

ახალციხე, 15 თებერ. დასრულდა საბჭოების გადარჩევა ნიალისა და ვალის თემში.

ნიალის თემში 1.402 ამომრჩევლიდან არჩევნებზე გამოცხადდა 675 კაცი, მათ რიცხვში 207 ქალი. საბჭოში არჩეულია 35 კაცი, მათგან 8 კომუნისტი, 2 კომკავშირელი და 7 ქალი.

— ვალის თემში 4.167 ამომრჩევლიდან არჩევნებზე გამოცხადდა, საბჭოში არჩეულია 105 დეპუტატი, მათგან წევრი და პარტიის კანდიდატი 20, კომკავშირელი 16. დანარჩენი უპარტიოები. საბჭოში არჩეულთა შორის 4 ქალია.

ცუდი ამინდი და დიდი თოვლი ხელს უშლის ამომრჩეველთა გამოცხადებას საარჩევნო კრებებზე.

ქალ. ახალციხის ძველ ნაწილში უცნობმა პირებმა ჩამოხიეს საარჩევნო უფლება მოკლებულთა პირების სია. სწარმოებს გამოძიება.

როგორ მიმდინარეობს არჩევნები თბილისში

გუშინ არჩევნები ჩატარდა

სახ. პოლიტეხნიკუმში

საინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტთა კრებაზე თბილისის საბჭოს დეპუტატებათ აირჩიეს: ამხ. ი. ტიროშინი (მემანქანე, კომ), ბერია (სახ. პოლიტ. სამმართველოს უფროსი), კოჩიევი (კომ), კვინიხიძე (კომკავშ.), აპრესოვი (უპარტიო).

ქართულ მუშაკში

ქართულ მუშაკის მშენებლებმა დეპუტატებათ თბილისის საბჭოში გაგზავნეს: ამხ. სალუქვაძე (კომკავშ. თბ. კომ. მდივანი), ლორთქიფანიძე, მარო ფიჩხაძე, (კომკ.), ნ. ხატიაშვილი, ზაქრო მჭედლიძე, შალვა მეშუაშვილი, ანთიძე, კაპანაძე.

მესამე რაიონის თურქ-ქალთა კრება

ასეთი კრება არ ახსოვს თბილისს. ამხ. ნარიმანოვის სახელობის კლუბში თავი მოიყარეს მესამე რაიონის თურქმა მშრომელმა ქალებმა. [illegible] უხადროთ. გაცხოველებით [illegible] არჩევნებში. ამხ. ჯაფარლი ხსნის კრებას, ნაკაზის წაკითხვის შემდეგ შეაქვთ შესწორებები.

— მეტი საბავშვო სახლები ჩვენს რაიონში.

— საჭიროა რაიონული თეატრი.

— უნდა გაიხსნას თვალისა და ყურის სამკურნალო.

საბჭოში ერთხმად აირჩიეს ამხ. ზოხრა ბაგიროვა (უპარტიო დიასახლისი) და ს. ალიევა (უპარტიო მუშა-ქალი).

საბრეშუმო ფაბრიკაში

იქ, სადაც რევოლიუციამდე „წმინდა მამების" ღაღადი ისმოდა, სულ სხვა სურათს ვხედავთ. ძველი სასულიერო სასწავლებლის ოთახები გაივსო მუშებით და დიდ საეკლესიო დარბაზებში მანქანების გრიალი ისმის.

მუშები საბჭოში დეპუტატების ასარჩევად ემზადებიან. დროებით შეწყდა ხმაური, ფუსფუსი და ყველამ თავი მოიყარა სასადილო ოთახში (უწინ იქ კარცერი იყო). მუშები და მუშა-ქალები ლაპარაკობენ თავის ჭირ-ვარამზე. აგერ ერთი მუშა-ქალი მოუწოდებს კრებას და მომავალ დეპუტატებს—მიაქციონ ყურადღება საბინაო საკითხს, ტრამვაის, განაპირა უბნების და სხ.

იწყება არჩევნები, რომელიც მუშა - ქალების აქტიური მონაწილეობით მიმდინარეობს. საბჭოს დეპუტატებად ერთხმად აირჩიეს ანა ლომაძე (უპარ. მუშა - ქალი) და კანდიდატად ანასტასია მელნიკოვა (კომ., მუშა-ქალი).

„სახმედვაჭრობა"-ში.

„სახმედვაჭრობის" მუშა-მოსამსახურეთა კრებაზე, რომელსაც 150 ამრჩეველი დაესწრო, თბილისის საბჭოს დეპუტატებად აირჩიეს: გუდიაშვილი (კ. კ. წევრი, მუშა), ურუშანოვი (პარტიის წევრი, მუშა), კავკა (უპარტიო, ხე[illegible]შა), ხოლო კანდიდატათ—ამხ. შერაზიძე (კ. კ. წევრი, მუშა). „ნაკაზი" მიღებულ იქნა ზოგიერთი ცვლილებებით.

სპილენძის სატკეც ქარხანაში.

სპილენძის სატკეცი ქარხნების მუშათა კრებამ ამხ. რონზანის თავმჯდომარეობით თბილისის საბჭოს დეპუტატად არჩეულ იქნა ამხ პავლე სავილიევი (პარტ. წევრი, მუშა).

ლუდის ქარხანაში.

ქარხნის პატარა საკლუბო დარბაზი სავსეა ლუდის სახდელ ქარხნის მუშებით. საბჭოს დეპუტატად არჩეულ იქნა ტარასი ლებანიძე (კომუნისტი, მუშა) და ასატურ არუთინოვი (უპარტიო, მუშა).

საქ. ფინ. სახ. კომისარიატში.

გუშინ, დღის 3 საათზე, ფინანსთა სახალხო კომისარიატში შესდგა ადგილობრივ მუშა-მოსამსახურეთა საარჩევნო კრება.

თბილისის საბჭოს დეპუტატებად არჩეულნი იქნენ. ნასიპოვი (მუშა, შოფერი, უპარტიო), ჭიაშვილი (კომუნისტი) და კანდიდატად ხოშტარია (მოსამსახურე ქალი).

ავირჩიეთ დეპუტატები.

14 თებერვალს, დღის 4 საათზე, ნავთლუღში ამხ. მ. ორახელაშვილის სახელობის რკინისგზის კლუბში გაიმართა ნავთლუღის მუშა-მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრების კრება, რომელსაც დაახლოვებით 800 კაცი დაესწრო. დღის წესრიგში იყო დასმული: დელეგატების არჩევა თბილისის საბჭოში. კრება გახსნა რაიკომის მდივანმა ამხ. ტერ-ვართანოვმა.

ქართულ და რუსულ ენაზე ნაკაზის წაკითხვის შემდეგ, მუშა-მოსამსახურეებმა მასში შეიტანეს მრავალი დამატება, რომელიც უმთავრესად ქალაქის განაპირა კუთხეების, კერძოდ, ნავთლუღის კეთილმოწყობას შეეხებოდა.

თბილისის საბჭოში კრებამ აირჩია შემდეგი ამხანაგები: **ტერ-ვართანოვი, ვანო სტურუა, ბ. ომაროვი, ყურულაშვილი, ს. ლომთათიძე, ანთიძე, გ. სულაქველიძე** (კომპარტიის წევრები), **ქსოვრელი** (კომკავშ.), **გვინეტაძე, ბასიაშვილი** (უპარტიონი) და **ჯელრია მარიამ** (დიასახლისი)

კანდიდატებად არჩეულ იქნენ: ამხ. ალ. ჯიოევი, კ. ირემაშვილი (პარტიის წევრნი) და თხილაიშვილი (უპარტიო).

საბჭოს საპატიო დეპუტატებად კრებამ ერთხმად აირჩია: ამხ. რუძუტაკი, კალინინი, ორჯონიკიძე, ორახელაშვილი, კლარა ცეტკინ და ბუდიონოვი.

შინამრეწველებში.

14 თებერვალს რუსთაველის თეატრში თავი მოიყარეს 1, 2, 3 და მეოთხე სამილიციო უბნებში მომუშავე შინამრეწველებმა, რიცხვით, 1788 კაცმა. კრებაზე მოსმენილ იქნა „ნაკაზი", რომელიც მიიღეს ზოგიერთი შესწორებებით და დამატებებით.

საბჭოს დეპუტატებად აირჩიეს: ავაქოვა-ტურიაშვილისა (კომ.), ბერძენიშვილი (კომ.), ჯანიკაიანცი, ხოჯაპარუხოვი, კახიძე, პაილაძე, აივაზოვი, ოგანეზოვი (უპარტიო ხელოსნები) და მ. გავაშელი (კომ.).

კანდიდატებად—პაპიაშვილი, დოლარბეგოვი, ასიანი და ცივი (უპარტიო ხელოსნები).

არჩევნები წითელ ჯარში

მესანგრე და საკავშირო ასეულებში.

გუშინ, საღამოს 6 საათზე, მესანგრეთა კლუბში შესდგა საკავშირო და მესანგრე ასეულების გაერთიანებული საარჩევნო კრება.

კრებას ხელმძღვანელობდა საარჩევნო კომისიის რწმუნებული ამხ. მ. პატარაია.

საარჩევნო კრებას დაესწრო წითელარმიელები, მეთაურნი და პოლიტშემადგენლობის პირნი ოჯახის წევრებით.

ამხ. პატარაიამ არჩევნების დაწყებამდე გამოაქვეყნა არჩევნების დებულება.

კრებამ თბილისის საბჭოს დეპუტატად აირჩია საკავშირო ასეულის სამხედრო კომისარი ამხ. ჩხიკვიშვილი (კომუნისტი).

შემდეგ განხილულ და მიღებულ იქნა კრების მიერ „ნაკაზი".

მე-2-ე საარტილერიო ლეგიონში.

ამავე დღეს საარჩევნო კრება შესდგა მე-2-ე ქართულ საარტილერიო ლეგიონში.

ყველა ამომრჩეველნი გამოცხადდენ უკლებლივ.

საარჩევნო კრებას ხელმძღვანელობდა პოლიტგანყოფილების წარმომადგენელი ამხ. ხომინტულოვი.

დეპუტატად კრებამ აირჩია ამხ. ს. ბერიძე (ლეგიონის სამხედრო კომისარი, კომუნისტი).

კრებამ შემდეგ ზოგიერთი დამატებით მიიღო „ნაკაზი".

თბილისის სამაზრო საბჭოთა ყრილობა

თბილისის სამაზრო-საქალაქო საბჭოთა ყრილობა მოწვეული არის 25 თებერვლისათვის. ყრილობაზე დასასწრებლათ დელეგატებს ირჩევენ მაზრის სათემო საბჭოთა ყრილობები.

მისალმებები საქართველოს ცაკს

ასურეთიდან

ზოგვის თემის საბჭოთა პირველი ყრილობა გიძღვნის მხურვალე სალამს. საბჭო თქვენი ხელმძღვანელობით მზათაა ხელი შეუწყოს ჩვენი თემის ეკონომიურ და კულტურულ აღორძინებას, გაუმარჯოს საბჭოებს და მათ ხელმძღვანელს—მუშათა კლასის ავანგარდს—კომპარტიას.

ყრილობის პრეზიდიუმი.

ალპანიდან

საქ. ცაკის თავმჯდომარეს ამხ. ფ. მახარაძეს

ალპანის თემის ახლად არჩეული საბჭო მხურვალე სალამს უძღვნის თქვენის სახით ხელისუფლების უზენაეს ორგანოს და გამოსთქვამს იმედს, რომ მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ მიმართული ღონისძიებანი მიგვიყვანს ჩვენს საბოლოო მიზნების განხორციელებამდე.

პრეზიდიუმი.

ბეშტაშენიდან

საქართველოს ცაკმა სოფ. ბეშტაშენიდან, ქვემო-წალკის სათემო ყრილობისაგან მიიღო შემდეგი მისალმება:

„ქვემო-წალკის სათემო ყრილობა მიესალმება საქართველოს ცაკს და თბილისის აღმასკომს, როგორც მუშებისა და გლეხების ორგანოებს, და აღნიშნავს მთელი ჩვენი მეურნეობისა და მრეწველობის ზრდას.

გაუმარჯოს საბჭოების მომავალ ყრილობას!

გაუმარჯოს საბჭოების ორგანოს—საქართველოს ცაკს და თბილისის აღმასკომს!

პრეზიდიუმი.

ადგილებზე

ამხ. მიხა ცხაკაია—თემსაბჭოების საპატიო წევრი

— ცაიშის თემში (ზუგდიდის მაზრა) საარჩევნო კრებაზე ამ.-კავ. ცაკის თავმჯდომარე ამხ. მიხა ცხაკაია არჩეულ იქნა თემის საბჭოს საპატიო წევრად.

— ხეთის თემის (ზუგდიდის მაზრა) საარჩევნო კრებამ ამხ. მიხა ცხაკაია ერთხმად აირჩია საპატიო წევრად.

— პატრიკეთის თემის საარჩევნო კრებაზე თემსაბჭოს საპატიო წევრად არჩეულ იქნა ამხ. მიხა ცხაკაია.

საანგარიშო პერიოდი დასრულდა

(სენაკის მაზრა)

მაზრის ფარგლებში 33 სათემო საბჭო იქნება არჩეული. ყველა თემების საბჭოების დეპუტატების რიცხვი 1.243 იქნება, კანდიდატების—410, ხოლო სამაზრო საბჭოთა ყრილობაზე 125 დელეგატი იქნება არჩეული.

სამაზრო საბჭოთა ყრილობა 10 მარტს შესდგება. სამაზრო აღმასკომმა უკვე გამოჰყო სპეციალური კომისია ყრილობის მოსაწყობად. კომისია უკვე შეუდგა მუშაობას.

როდის დაიწყება თვით არჩევნები? 5 თებერვალს არჩევნები დაიწყო 2 თემში: სუჯუნის და ძვ. სენაკის. შემდეგ დღეებში კი არჩევნები მოედება სხვა თემებსაც და დასრულდება 1 მარტისათვის.

ღარიბ-ლატაკთა მონაწილეობა საარჩევნო სამზადისში დიდია.

ვის აეყარა უფლება არჩევნებში? კულაკებს, მევახშეებს, ვაჭრებს, გაუსწორებელ საბჭოთა მოწინააღმდეგე ელემენტს. მაგრამ ამასვე მოყვენ ისეთი პირები, რომელნიც ერთ დროს მღვდლები იყვნენ, ეხლა მასწავლებლობენ და გასულ წელს საბჭოს წევრადაც კი მუშაობდნენ. ბევრ ასეთმა მოქალაქემ შუამდგომლობა აღძრა სამაზრო საარჩევნო კომისიის წინაშე უფლებაში აღდგენის შესახებ. სამაზრო საარჩევნო კომისიამ თავის მხრივ ც. ა. კ. წინაშე აღძრა შუამდგომლობა მათი უფლებაში აღდგენის შესახებ.

ა. უჩანეიშვილი.

მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ცხრა წლის თავისათვის

ლოზუნგები

1. წითელი არმიის ცხრა წლის თავი—საბჭოთა კავშირის სამხედრო სიძლიერის და თავდაცვის უნარიანობის შემოწმებაა.

2. იმპერიალისტების სამხედრო ზრახვების საპასუხოდ წითელი არმია ააშკარავებს საბრძოლველად მზად ყოფნას და მჭიდრო კავშირს საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელებთან.

3. ჩვენი მთავრობის, პროლეტარული დიქტატურის მთავრობის პოლიტიკა იყო და არის მშვიდობიანობის პოლიტიკა.

4. წითელო არმიავ, ყოველ წუთში მზად იყავი დაუძლეველ ძალათ აღიმართო საბჭოთა კავშირის საზღვრებზე.

5. ფაშისტური გადატრიალება ლიტვაში—სიგნალია ფაშისტური გადატრიალების მოსახდენად ბალტიის მხარის სხვა სახელმწიფოებშიაც. წითელო არმიავ, ფხიზლად იდექი საბჭოთა კავშირის დასავლეთ საზღვრებზე.

6. საკავშირო კომუნისტური პარტია (ბ) წითელი არმიის ბელადი და ორგანიზატორია. უფრო მტკიცედ შევამჭიდროვოთ მებრძოლი რიგები საკავშირო კომპარტიის (ბ) გარშემო.

7. წითელი არმია—მუშების და გლეხების ოქტომბრის მონაპოვართა ერთგული დარაჯია.

8. ჩვენი სოციალისტური მრეწველობა მტკიცდება. განამტკიცეთ წითელი არმიის ტეხნიკური სიძლიერე!

9. წითელარმიელო, წითელი არმიის სახელოვანი ბრძოლის ტრადიციების ერთგული იყავი ყოველთვის!

10. „ჩვენ ყოველ წუთში მზად ვართ დავიცვათ საბჭოთა კავშირის საზღვრები". (ვოროშილოვი).

11. სამხედრო სიძლიერის განმტკიცება, დისციპლინის და პოლიტიკური შეგნების გაძლიერება,—ასეთია წითელარმიელების პასუხი საბჭოთა კავშირის მტრების ზრახვებზე.

12. განამტკიცეთ მუშების და სოფლის ღარიბი გლეხობის კავშირი საშუალო შეძლების გლეხთან,—ამ კავშირშია ჩვენი გამარჯვების საწინდარი.

13. წითელი არმია—ყველა ეროვნებათა მშრომელების შეიარაღებული რაზმია.

14. ჩვენი თავდაცვის უნარიანობის გაძლიერება—საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელების საქმეა. მუშა და გლეხო, შეისწავლე სამხედრო საქმე!

15. წითელი არმიის მეგობრებია—მთელი მსოფლიოს მშრომელები და დაჩაგრულები.

16. თავდაცვის ხელის შემწყობი საზოგადოება—ავიაქიმი—საბჭოთა საზოგადოებრიობის ორმილიონიანი რაზმია, რომელიც ხელს უწყობს საბჭოთა კავშირის თავდაცვის გაძლიერებას. მუშა და გლეხო, განამტკიცე თავდაცვის ხელის შემწყობი საზოგადოება—ავიაქიმის რიგები!

17. არა ორი მილიონი, არამედ თავდაცვის ხელის შემწყობ საზოგადოების—ავიაქიმის ათეული მილიონი წევრები.—ასეთი იქნება საბჭოთა კავშირის მუშების და გლეხების პასუხი მტრების ზრახვებზე.

18. საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაცია—მისი თავდაცვის უნარიანობის საწინდარია. პროლეტარო, გააძლიერე შრომის ნაყოფიერება, განამტკიცე შენი სახელმწიფოს თავდაცვა!

19. ჩვენი ძმური, ცხოველი სალამი ჩინეთის მშრომელებს, რომლებმაც იარაღი აღმართეს იმპერიალისტების წინააღმდეგ.

20. იმპერიალიზმთან ბრძოლაში ჩვენ მარტონი არა ვართ: ჩვენთან ერთად ლენინის დროშის ქვეშ თავს იყრიან დასავლეთის და აღმოსავლეთის მშრომელთა ახალი რაზმები.

21. იმპერიალისტები ომს ამზადებენ ჩვენს წინააღმდეგ. ჩვენ ომი არ გვინდა. წითელი არმია იცავს საბჭოების ხელისუფლებას ჩვენი მტრების თავდასხმისაგან.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცეკას სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

თეზისები მოხსენებისათვის

1. წითელი არმიის ცხრა წლის თავის დღესასწაულზე ჩვენ ვიგონებთ მის გმირულ გამარჯვებებს და უდიდეს დამსახურებას ოქტომბრის რევოლიუციისა და საერთაშორისო პროლეტარიატის წინაშე. ყოველ წლეულს წითელი არმიის დღესასწაულში მშრომელი მოსახლეობის თანდათან მეტი ფენები ებმება და თანდათან მეტი ადგილი ეთმობა სამოქალაქო მოსახლეობის როლს საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცების საქმეში. წითელი არმიის ცხრა წლის თავზე, როდესაც საერთაშორისო ძალთა განწყობილება ისეთია, რომ ომი მზადდება საბჭ. რესპუბლ. კავშირის წინააღმდეგ, წითელი არმიის დღესასწაული უნდა გახდეს მისი სამხედრო სიძლიერის შემოწმებათ, და ყველა მშრომელებმა, რომლებმაც კიდევ უფრო მჭიდრო კავშირი უნდა დაამყარონ წითელ არმიასთან, მასთან ერთად უნდა გამოამჟღავნონ თავისი მზად ყოფნა დაიცვან საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი აღმშენებლობა. წითელი არმიის არსებობის მეათე წელში მშრომელებმა კიდევ უფრო ფართე და აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ქვეყნის თავდაცვის გაძლიერებაში, უნდა გააძლიერონ სამხედრო ცოდნის გავრცელების საქმე, რომელიც ნაკარნახევია არა მარტო ეხლანდელი დროის პირობებით, არამედ საბჭოთა კავშირის სამხედრო აღმშენებლობის თავისებურობითაც.

2. წითელი არმიის ცხრა წლის თავზე ჩვენ მოწმენი ვართ იმის, რომ საბჭოთა კავშირის სამეურნეო და პოლიტიკური სიძლიერე, სწრაფად იზრდება; ამავე დროს ჩვენ დიდ შედეგებს მივაღწიეთ სოციალიზმის აღმშენებლობის საქმეში. ჩვენი მეურნეობა აღდგენილია სოციალისტურ საფუძველზე ომის წინა ხანების ფარგლებში; შენდება ახალი ფაბრიკები და ქარხნები, ახალი ელექტრო-სადგურები, ახალი რკინის გზები, გაიზარდა მუშების და გლეხების პოლიტიკური შეგნება, აქტივობა და საერთო ცოდნა. მაგრამ საერთაშორისო ბურჟუაზია ვერ ურიგდება სოციალისტური ქვეყნის არსებობას, რომელიც თანდათან იზრდება და მტკიცდება. ამიტომ საბჭოთა კავშირზე შეიარაღებული თავდასხმის საშიშროება ძლიერდება დღითი-დღე.

3. ეხლანდელი საერთაშორისო მდგომარეობა ხასიათდება წინააღმდეგობათა გამწვავებით არა მარტო ბურჟუაზიული ქვეყნების საბჭოთა რესპუბლიკების კავშირთან დამოკიდებულებაში, არამედ იმპერიალისტური სახელმწიფოების ცალკე ჯგუფების ურთიერთშორის დამოკიდებულებაშიც. ამასთანავე მწვავდება კლასიური წინააღმდეგობა კაპიტალისტური სახელმწიფოების შიგნით. იზრდება განმათავისუფლებელი მოძრაობა კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებში (ჩინეთი, ინდონეზია), საგრძნობლად მარცხნივ გადიხარენ მუშათა მასსები (ინგლისის მემაღაროეთა გაფიცვა, რეფერენდუმი გერმანიაში და სხვა.) და იზრდება საბჭოთა კავშირის ავტორიტეტი და მთელი მსოფლიოს მშრომელების სიმპატიები მისდამი.

4. აღნიშნულ წინააღმდეგობათა ზრდა და გამწვავება იწვევს შეიარაღების სწრაფ ზრდას კაპიტალისტურ ქვეყნებში და სამხედრო ტეხნიკის განვითარებას. მსხვილი კაპიტალისტური ქვეყნების სამხედრო ბიუჯეტი გაიზარდა 86 პროცენტით 1913 წელთან შედარებით, მათი ძირითადი არმიების რიცხვი გაიზარდა თითქმის ორასი ათასი კაცით, და თუ მხედველობაში მივიღებთ ყველა ფარულ შეიარაღებულ ძალებს, მაშინ არმიების რიცხვი თითქმის ორჯერაა გადიდებული. ეს ფაქტები სრულებით არ შეესაბამება იმპერიალისტების განცხადებებს განიარაღების შესახებ, და მოწმობენ იმას, რომ ერთა ლიგის ყველა თათბირები და სხვადასხვა სპეციალური კონფერენციები განიარაღების საკითხზე „არსებითად ნიშნავს ძალთა გადაჯგუფებას ახალი ომისათვის" (პარტიის მე-14-ე ყრილობა).

5. საბჭოთა კავშირის და მთელი მსოფლიოს მშრომელების განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ინგლისის პოლიტიკას საბჭოთა კავშირის მიმართ. ინგლისის იმპერიალიზმი, რომელიც საგრძნობლად შეარყია სამთა-მადნის მუშების გაფიცვამ და ძლიერმა ეროვნულ-რევოლიუციონურმა მოძრაობამ ჩინეთში, ყველა თავის ძალებს მიმართავს საბჭოთა კავშირში ინტერვენციის მოსამზადებლად; საბჭოთა კავშირი მას მიაჩნია ძირითად დამბაშავეთ რევოლიუციონური მოძრაობის გავრცელებაში. დაბეჯითებით და მტკიცეთ ტარდება საბჭოთა კავშირის მტრული სახელმწიფოებით გარემოცვის გეგმა. პილსუდსკის გადატრიალება პოლონეთში მოხდა ინგლისის კარნახით; ლიტვაში მომხდარ ფაშისტურ გადატრიალებაში წილი მიუძღვის აგრეთვე ინგლისს. ფაშიზმის გამარჯვება ლიტვაში ხელს უწყობს ფაშისტური გადატრიალების მოხდენას ბალტიის მხარის სხვა სახელმწიფოებში. (ფაშისტური გადატრიალების მოხდენის ცდა ლატვიაში). ინგლისის და სხვა მსხვილ კაპიტალისტურ სახელმწიფოების აქტიური დახმარებით ჩვენმა მოსაზღვრე მეზობლებმა უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში თავისი სამხედრო ბიუჯეტი გაძლიერეს 16 პროცენტით, ძირითადი არმიის რიცხვი—11,8 პროცენტით, და შექმნეს მნიშვნელოვანი ფარული შეიარაღებული ძალები. გაცხოველდა აგრეთვე ყველა ჯურის თეთრგვარდიელთა მუშაობა.

6. აქედან გამომდინარეობს აუცილებლობა ხერხიანულად შეუდგეთ საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობის გაძლიერებას. მუშათა და გლეხთა მთავრობა ყველა ღონისძიებებს ხმარობს დაიცვას მშვიდობიანობა. საკავშირო კომპარტიამ (ბ)—წითელი არმიის და ყველა მშრომელების ბელადმა, თავის მე-14-ე ყრილობაზე წამოაყენა ძირითადი დირექტივა მშვიდობიანობის პოლიტიკის გატარების შესახებ; ამ პოლიტიკის ნაყოფია მთელი რიგი ხელშეკრულებების დადება ცალკე სახელმწიფოებთან (გერმანია, ოსმალეთი, ლიტვა) და ჩვენი მთავრობის წინადადება დადებული იქნეს ხელშეკრულებები სხვა სახელმწიფოებთან (პოლონეთი, ფინეთი და სხ.). მაგრამ, ვიცით რა ჩვენი მტრების შეურიგებლობა, ჩვენ იძულებულნი ვართ „მივიღოთ ყველა ზომები ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის გასაძლიერებლად და წითელი არმიის და როგორც საზღვაო, ისე საჰაერო წითელი ფლოტის სიძლიერის განსამტკიცებლად". (პარტიის მე-14-ე ყრილობა).

7. საბჭოთა კავშირის საბჭოების მესამე ყრილობამ სისწორით ჩამოაყალიბა ის ამოცანები, რომლებიც გადაწყვეტილი უნდა იქნეს ქვეყნის თავდაცვისათვის მზადებასთან დაკავშირებით. ეს ამოცანები მდგომარეობს იმაში, რომ განმტკიცებული იქნეს წითელი არმია, გაფართოებული იქნეს სამხედრო მრეწველობა და მომზადებული იქნეს სამოქალაქო მრეწველობა სამხედრო დროის საჭიროებებისათვის, განვითარებული იქნეს სამხედრო ტეხნიკა, უმთავრესად, ავიაცია და ქიმია და მომზადებული იქნეს სამხედრო საქმისათვის მთელი მშრომელი მოსახლეობა, რომელიც აუცილებლად ომის მონაწილე გახდება.

8. ვანხორციელებთ რა მშვიდობიანობის პოლიტიკას და ვამცირებთ რა მოსახლეობის სამხედრო სიმძიმეს, ჩვენ მუდმივი წითელი არმია შევამცირეთ 562.000-კაცამდი. შინაგანი რეორგანიზაციის გზით შექმნილია უფრო გრძნობიარე და მტკიცე საორგანიზაციო ფორმები, გაუმჯობესდა სწავლების საქმე, გაიზარდა წითელ არმიელთა პოლიტიკური შეგნება, განმტკიცდა დისციპლინა, გაუმჯობესდა წითელარმიელთა და მეთაურთა შემადგენლობის მატერიალური მდგომარეობა და საგრძნობლად გაძლიერდა წით. არმ. მომარაგება ბრძოლის ტეხნ. საშუალებებით. ამრიგად, რიცხვის შემცირებამ გავლენა არ მოახდინა წითელი არმიის ბრძოლის უნარიანობაზე. პირიქით, მისი სიძლიერე შესამჩნევად გაიზარდა. წითელი არმიის წინამძღოლმა ამხ. ვოროშილოვმა მოსკოვის უკანასკნელ პარტიულ კონფერენციაზე სრული უფლება ჰქონდა განეცხადებინა: „ჩვენი შეიარაღებული ძალების განმტკიცება უკან არ რჩებოდნენ მთელი ჩვენი ქვეყნის ზრდას". „ჩვენ ყოველ წუთში მზად ვართ დავიცვათ საბჭოთა კავშირის საზღვრები".

9. საბჭოთა კავშირის სამხედრო ძალები არ შესდგება მარტო ძირითადი არმიისაგან. მუდმივი არმიის შემცირებასთან ერთად შექმნილია ქვეყნის შეიარაღებულ ძალების თავმოყრის ტერიტორიალურ—სამილიციო სისტემა. მცირე საკადრო შემადგენლობის გარშემო რაიონების (ტერიტორიის) მიხედვით თავს იყრიან მშრომელთაგან შემდგარი ნაწილები იმ ანგარიშით, რომ „განსაზღვრული სამეურნეო რაიონების ცოცხალი ადამიანური ძალა იმავე დროს გახდეს განსაზღვრულ სამხედრო ნაწილის ცოცხალ ადამიანურ ძალათ". (პარტიის მეცხრე ყრილობა). მშრომელები ცოტა ხნით სტოვებენ თავის ნაყოფიერ შრომას, რომ შეისწავლონ სამხედრო საქმე. პირველი მობილიზაციისთანავე ასეთი მოქალაქეებისაგან შესდგება ორგანიზაციულად ჩამოყალიბებული სამხედრო ნაწილი, რომლის ბრძოლის უნარიანობა ისეთივეა, როგორც საკადრო ნაწილების.

10. ტერიტორიალურ-სამილიციო სისტემას სწავლების მოკლე ვადის დროს, (2—12 თ. 5 წლის განმავლობაში) შეუძლია მოგვცეს კარგათ მომზადებული მებრძოლი იმ პირობით, თუ შეკრებათა გატარებას, აქტიურათ ხელს შეუწყობს მთელი სამოქალაქო მოსახლეობა და აგრეთვე თუ ფართე ნიადაგზე იქნება დაყენებული სამოქალაქო პოლიტ-საგანმანათლებლო ორგანიზაციების სათანადო მუშაობა ცვალებად შემადგენლობის შორის (სამხედრო და პოლიტიკური აღზრდელობა).

11. საზოგადოებრივი აზრი უკვე შექმნილია, მუშების და გლეხების ფართე წრეები თანდათან რწმუნდებიან იმაში, რომ აუცილებელია სამხედრო სწავლის მიღება და მჭიდრო კავშირის შექმნა. წითელ არმიასთან იზრდება სამხედრო კუთხეების და სამხედრო ცოდნის წრეების ქსელი სამოქალაქო კლუბებში და ქოხ-სამკითხველოებში. ეს პირველი მიღწევები ყველასათვის აშკარაა და მომავალში საჭიროა კიდევ მეტი აქტივობა, მშრომელთა მთელი მოსახლეობის ჩაბმა ქვეყნის თავდაცვის საქმეში (მონაწილეობა თავდაცვის დამხმარე და საავიაციო-ქიმიურ მრეწველობის საზოგადოებაში — „ოსო-ავიაქიმ"-ი, მუშაობა სამხედრო კუთხეებში, სამხედრო ცოდნის წრეებში და სხვ.). მუშების და გლეხების აქტიური და შეგნებული მონაწილეობა საბჭოთა კავშირის თავდაცვის საქმეში—თავდებია იმის, რომ ომის შემთხვევაში პარტიისა და წითელი არმიის ირგვლივ გაერთიანდება მთელი შეიარაღებული ხალხი, რომელიც დაიცავს თავის მშვიდობიან შრომას.

12. ცოცხალ ძალებთან ერთად საჭიროა უზრუნველყოფილ იქნეს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის მატერიალური ბაზისიც. საბჭოების მესამე ყრილობამ აუცილებლათ სცნო „სამხედრო მრეწველობის სათანადოთ გაფართოება და მთელი დანარჩენი სახელმწიფო მრეწველობის იმგვარათ მოწყობა, რომ ჯერ კიდევ მშვიდობიან პერიოდში გათვალისწინებულ იქნეს საომარ პერიოდის მოთხოვნილებები", ვინაიდან გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა მარტო სამხედრო მრეწველობის განვითარებას, არამედ ქვეყნის ყველა საწარმოო ძალების სათანადო განვითარებასაც. საჭიროა, რათა მთელს სახელმწიფო მრეწველობას ომის შემთხვევაში უმტკივნეულოდ შეეძლოს მშვიდობიანი აღმშენებლობიდან სამხედრო მუშაობაზე გადასვლა. ამჟამად წითელი არმია, ითვალისწინებს რა იმპერიალისტური არმიების სიძლიერეს, მთელ თავის ძალ-ღონეს მიმართავს თავისი ტეხნიკური მომზადების და ძლიერების გადიდებისაკენ და თავდაცვის მატერიალური ბაზისის განმტკიცებისაკენ. ჩვენი მეურნეობის აღდგენა და ახალ ძლიერი ფაბრიკების და ქარხნების შექმნა თანდათან აძლიერებს, საბჭოთა კავშირის ტეხნიკურ თავდაცვის უნარიანობას. კაპიტალისტურ არმიების ზარბაზნებს, ტანკებს, ჰაეროპლანებს და ქიმიურ ყუმბარებს წითელი არმია და საბჭოთა კავშირის მშრომელნი დაუპირდაპირებენ თავის ტეხნიკას.

13. ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცების სერიოზული და ძნელი ამოცანა არ შეიძლება გადაჭრილ იქნეს მარტო სამხედრო უწყების მიერ, არამედ ის მოითხოვს ყველა სამოქალაქო და პარტიულ, პროფესიონალურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების მონაწილეობას.

ამჟამად „ზურგის" მომზადება თავდაცვისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ღებულობს, ეს უნდა ესმოდეს თვითეულ მუშას და გლეხს.

თავდასხმის პირველ ცდისთანავე წითელ არმიის ირგვლივ უნდა დაირაზმოს მთელი მშრომელი მოსახლეობა, გაერთიანებული საბჭოთა ხელისუფლების და ლენინურ პარტიის უსაზღვრო ერთგულებით.

საკავშირო კომპარტიის ცეკას აგიტპროპ განყოფილება.

პარტიული ცხოვრება

კომკავშირი და ჯარში მუშაობა

ყველა მაზრკომებს, თემკომებს და თბილისის ორგანიზაციის რაიკომებს

მოკლე ხანში დამთავრდება 1905 წელში დაბადებულთა წვევამდე მზადება, ამიტომ ცეკა წინადადებას გაძლევთ მზადების დამთავრების წინ პრეზიდიუმის სხდომაზე დასვით მოხსენება წერტის უფროს პოლიტ-ხელის და კ. კ. კოლექტივის მდივნის ჩატარებულ მზადების შედეგებზე, სადაც შეჯამებული უნდა იქნას ყოველივე ნაკლი და მიღწევები, რომლიც გამოყენებული უნდა იქნეს მორიგ მზადებისათვის, რომელიც ჩატარებული იქნება 27 თებერვლიდან.

ასევე უნდა მოიქცეთ 1906 წელში დაბადებულთა მზადების დამთავრების შემდეგაც.

არა უგვიანეს 28 თებერვალს გამოყავით უმცროსი პოლიტ-ხელები თანახმად ცეკას დირექტივა № 116 მიხედვით.

წვევამდე მზადების დარგში ყოველივე მუშაობის დამთავრების შემდეგ ინფორმაციული მოხსენება გადმოგზავნილი უნდა იქნეს ცეკაში არა უგვიანეს 10 აპრილისა.

ს. ა. ლ. კ. კ. ც. კ. მდივანი ჯ. [illegible].

საბჭოთა საქართველოს ექვსი წლის თავისათვის

ს. ა. ლ. კ. კ. თ. კ. ყველა რაიკომებს და თემკომებს

საქართველოს გასაბჭოების მე-6 და წითელი არმიის მე-9 წლის თავის მოახლოებასთან დაკავშირებით—პარტია ატარებს ფართო ახსნა-განმარტებითი კამპანიას წითელი არმიისა და ქვეყნის თავდაცვის საქმისადმი მეტი ყურადღების გაძლიერების მიზნით. აგრეთვე უნდა იქნეს გაშუქებული საქართველოს გასაბჭოების წლის თავზე კულტურულ-პოლიტიკური და სამეურნეო დარგში როგორც მიღწევები, ისე მისი პერსპექტივები. კომკავშირი სპეციალურ კამპანიას თავის ხაზით არ ატარებს, ჩვენ მივიღებთ მონაწილეობას პარტიის მიერ გატარებულ კამპანიებში.

ამიტომ ს. ა. ლ. კ. კ. თ. კ. წინადადებას გაძლევთ რაიკომებს და თემკომებს მიაქციოთ ყურადღება შემდეგს:

1. გამოყოთ წარმომადგენლები რაიპარტკომებთან და თემში (თემადმასკომის) მოწვეულ კომისიებში.

2. რაიკომებმა უნდა მიაქციონ ყურადღება გასატარებელ ფართო კამპანიებს სასწავლებლებში, მათ უნდა შეადგინონ სპეციალური გეგმა სკოლებში, კრებების მოსაწვევად, რომლებიც უზრუნველყოფილი უნდა იქნენ პარტიული მოხსენებლებით. ამ კამპანიაში გათვალისწინებული და აღნუსხული უნდა იქნეს მოსწავლეთა სულისკვეთებაც.

3. უჯრედებმა უნდა მიიღონ სათანადო მონაწილეობა მუშებისა და მოსამსახურეების კრებებში, მათ თავის წარმომადგენლები უნდა გაგზავნონ აგრეთვე მუშებთან ერთად ყაზარმებში წითელი არმიის ყოფა-ცხოვრების საკითხების გასაცნობათ.

4. აუცილებლივ უნდა გამოყენებული იქნენ საშეფო საზოგადოებაში კომკავშირლები, საშეფო სოფლებში გასაგზავნათ.

ყოველი ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიეცით მითითებები ადგილებს და გატარების შედეგები შეატყობინეთ თბ. კომიტეტს.

ს. ა. ლ. კ. კ. თ. კ. მდივანი სალუქვაძე.

ხშირად ასეთი გასამართლება.

(სურამი)

ამას წინად სურამის ადგილობრივი პარტორგანიზაციის მიერ მოწყობილი იქნა საჩვენებელი (პროპაგანდისტული) გასამართლება რელიგიური ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ. გასამართლებულ იქნა მღვდელი ათანასე ტაბლიაშვილი. გასამართლება ფრიად საინტერესო იყო და გლეხობაც ბლომათ დაესწრო.

უნდა ითქვას, რომ ასეთი გასამართლების მოწყობა ფრიად მიზანშეწონილია.

დ. გ—ძე.

როგორ ჩატარდა პარტაღწერა

(შორაპნის მაზრა)

პარტაღწერა, რომელიც 10 იანვარს დაიწყო, შორაპნის მაზრაში ინტენსიურად მიმდინარეობდა, და 25 იანვრისათვის მთლიანათ დასრულდა. თითქმის ყველა ამწერელი წარმატებით აწარმოებდა მუშაობას. აღწერილი იქნა სულ 1.778 წევრი და კანდიდატი, ე. ი. ორგანიზაციის შემადგენლობის 98 პროცენტი დანარჩენი ორი პროცენტი ვერ გატარდა აღწერაზე, ავადმყოფობის, შვებულების, მივლინებისა, და სხვა მიზეზების გამო.

აღწერის ცნობები და ყოველგვარი ქაღალდები უკვე გადაიგზავნა დანიშნულებისამებრ.

მაღაროს მუშა.

სამაზრკომის ყურადღებას საჭირო

(ზუგდიდი, ახუთი, ლესიჭინე)

როგორც ახუთში, ისე ლესიჭინის თემში პარტიული მუშაობა სუსტია.

კრებები რამოდენიმე თვეობით არ ხდება. ახუთში თითქმის სამი თვეა კრება არ მომხდარა. წევრებმა არც იციან თუ როდის მოხდება კრება, ვინაიდან კრება წინასწარ არ ინიშნება და არც განსაზღვრული დღეა გამოყოფილი.

ამაზე ცუდი მდგომარეობაა ლესიჭინის თემში. ერთიანი პარტიული დღე დანიშნული არაა; კრებები შემთხვევითი ხასიათს ატარებენ.

კვირა დღეს შეიკრიბებიან თემის აღმასკომთან პარტიული ამხანაგები, უნდა კრება მოაწყონ, მაგრამ მდივანი აცხადებს: „მე ბევრი ვიმუშავე, თქვენ მადლობასაც არ მეუბნებით, მე არ მცალია, მივდივარ და კრება თქვენ გამართეთო"; ასეთ შემთხვევას ადგილი ჰქონდა 9 იანვარს. წევრები ცოტა ხანს საუბრობენ და იშლებიან, არ იციან როგორ მოიქცენ.

ასეთი პირობები წევრებში იწვევს უდისციპლინობას, დაუდევრობას და სხვა. მნიშვნელოვანი საკითხები კრებაზე არ ისმება და არ ირჩევა.

წევრები პოლიტიკურად მეტად ჩამორჩენილი არიან — პარტიის მიმდინარე საკითხებს გაცნობილი არ არიან; აქედან — მათი ხელმძღვანელობა თემის სხვადასხვა ორგანიზაციებზე სუსტია.

ახუთის თემის კომკავშირის ორგანიზაცია ფაქტიურად ხელმძღვანელობს პარტიის უჯრედს.

ასეთი მდგომარეობის გაგრძელება შეუძლებელია. სამაზრო კომიტეტმა უნდა მიიღოს ყველა მისგან დამოკიდებული ზომები აღნიშნულ თემებში პარტ-მუშაობის გამოსაცოცხლებლად.

ბ—რ—ი.

მუშათა ცხოვრება

დღეს, საღამოს 5 საათზე, რედაქციის ბინაზე შესდგება „კომუნისტის" მუშაკთა მორიგი საერთო კრება. გაკეთებულ იქნება მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე.

დასწრება ყველა მუშკორთათვის დაუგვიანებლად სავალდებულოა.

როზა ლიუქსემბურგის სახ. თამბაქოს ფაბრიკაში

ქარხანას საკმაოდ მოზრდილი ადგილი უჭირავს.

ეზოში შესვლისთანავე შეამჩნევთ კედლის გაზეთს „წითელ თავსაფარს".

— რას ემსახურება ეს კედლის გაზეთი? შევეკითხე იქვე მდგომ სარედაქციო კოლეგიის წევრს.

— ჩვენი კედლის გაზეთი უმთავრესად წარმოების საჭიროებოროტო და მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხებს ეხება. ამასთანავე ამ ნომერში მოთავსებულ წერილების უმრავლესობა საარჩევნო კამპანიის შეეხება.

— რას აკეთებთ კულტურულ მუშაობის დარგში?

— მოწყობილი გვაქვს წითელი კუთხე, სამკითხველო, ჩვენი მუშების უმრავლესობა ჩაბმულია საკლუბო მუშაობაში. ამჟამად მუშაუა ცენტრალურ კლუბში 150-მდე კლუბის წევრია ჩაწერილი. კომისიებში ჩაბმულია 110 კაცი. ქარხ. არსებობს შემდეგი კომის.: კულტკომისია, შრომის დაცვის, შემთასებელი-საკონფლიქტო, მომპირნეობის, სარევიზიო კომისია და სხვ.

კულტკომისიამ თავის მუშაობის პერიოდში მრავალი საქმე გააკეთა მუშა-მოსამსახურეთა გასათვითცნობიერებლად.

სისტემატიურად ეწყობა ექსკურსიები სხვადასხვა ადგილებში, როგორიც არის: „ზაჰესში", სარევოლიუციო მუზეუმში და სხვა... გამოწერილი აქვთ მუშებს სხვადასხვა გაზეთები.

— რძე თუ ეძლევათ მუშებს, შევეკითხე ერთ მუშას, რომელიც მანქანასთან იდგა და დამზადებულ პაპიროსს ყუთებში აწყობდა.

— რძე იმ მუშებს ეძლევათ, რომელთაც მძიმე პირობებში უხდებათ მუშაობა.

საუკეთესო სურათს ნახავს ადამიანი, როდესაც დაათვალიერებს ცალკე მოწყობილებებს.

თუთუნის სარჩევ განყოფილებაში მრავალი მუშა ქალი და კაცი მუშაობს. ისინი დაუზარებლად არჩევენ თუთუნს და აგზავნიან დასასველებლად. საჭრელი მანქანა სწრაფად კუწავს სველ თუთუნს და აგზავნის სხვა განყოფილებაში.

საცრის საშუალებით თუთუნი იცრება და გამოდის გაცრილი.

საშრობ განყოფილებაში სხვადასხვა სურათია. აქ ხელოვნურ სიცხის ბული ტრიალებს, ამთაგორებული სველი თუთუნი სულ მცირე დროს განმავლობაში შრება.

ზოგიერთი მუშები ხელით აწყობენ კოლოფებში პაპიროსებს, ზოგს კი მანქანა აწყობს.

გილზის მანქანები რამოდენიმე წუთის განმავლობაში რამოდენიმე 1000 ცალ გილზს ამზადებენ.

უთვალავ მეტრებით დახვეული „ბანდეროლი" ეხვევა პაპიროსის კოლოფებს, შემდეგ კი იკვრება „პაჩკა".

ქარხანაში აუტანელი თუთუნის სუნი ტრიალებს.

ზოგიერთ განყოფილებებში სუნთქვა ერთობ ჭირს, ამიტომაცაა, რომ მუშებს ეძლევათ რძე და დამატებითი შვებულება.

უკანასკნელ 3 თვის განმავლობაში თუთუნის დამზადებამ საგრძნობლად იმატა. დეკემბრის თვეში ქარხანაში 40 პროც. მეტი თუთუნი დამზადდა, ვიდრე წინა თვეებში.

ტ.

კერძო პირი ამჯობინეს

საქართველოს ფინსახკომმა მიმართა თბილისის ელსმენის ქსელის გამგეს, რომ დაედგათ ელსმენი ელისაბედის ქ. № 152 მე-6-კ. უბნის არაპ. გად. ინსპექტორის კანცელარიაში. შემდეგი მიმართვებისა იყო დაპირება, პირველ რიგში დაგიდგამთ ელსმენსო, მაგრამ დაპირება დაპირებათ დარჩა. ამავე დროს იმავე ეზოში (სახლი № 152), ელსმენი დაუდგეს № 11-44—კერძო მრეწველს. რა დაიშავა სახელმწიფო დაწესებულებამ?

ი. ნადირაია.

მადლობა მუყაით მუშებს

14 იანვარს სადგურ თაუზში მორიგეს მესამე ლიანდაგზე მიეღო მატარებელი № 305 და. ამავე ლიანდაგზე გაღებულ ნიშანსვეტით ღებულობდა სახალხო მატარებელს № 13. მემანქანე დენისენკომ და მის ფანზელ თანაშემწემ შეამჩნიეს ეს, უცებ შეაჩერეს სახალხო მატარებელი და მარცხი ააშორეს რკინის გზას. ასეთი მუყაითი მუშები ღირსი არიან მადლობის. სადგურის მორიგე კი დაუდევრობისთვის უნდა დაისაჯოს.

მუშკორი შავხოფლელი.

ლოცმანი ხეჩინოვი

50 წელიწადია ბათომის ნავთსადგურის ლოცმანი კ. ი. ხეჩინოვი მსახურობს საზღვაო ტრანსპორტში. ამიერ-კავკასიის ნავთსადგურების სამმართველომ შუამდგომლობა აღძრა საზღვაო ტრანსპორტის ცენტრალურ სამმართველოს წინაშე, რომ კ. ი. ხეჩინოვს გამოეცხადოს მადლობა.

ქარიშხალში მოხვედრილი მრავალი გემი გადარჩენას უნდა უმადლოდეს ამხ. ხეჩინოვს!.

საზღვაო ტრანსპორტში კეთილსინდისიერ და პატიოსან მუშაობის გარდა, ამხ. ხეჩინოვი მონაწილეობას იღებდა რევოლიუციონურ მოძრაობაში.

უკვე 1902 წლიდან ხეჩინოვი მჭიდრო კავშირშია რევოლიუციონერებთან და მაშინ ამიერ-კავკასიაში მომუშავე ამხ. ენუქიძის ხელმძღვანელობით მრავალი დახმარება აღმოუჩინა ბოლშევიკურ პარტიას. 1905 წელში, ერთ-ერთი გემის კაპიტანად ყოფნის დროს, მან ფოთის ქალაქის კომენდანტისაგან მიიღო ბრძანება, გასულიყო ზღვაში და დაეჭირა გემი, რომელსაც რევოლიუციონერებისთვის მოჰქონდა იარაღი და სამხედრო მასალა. ეს ბრძანება ხეჩინოვმა არ შეასრულა.

რეაქციის წლებში ხეჩინოვი გემზე მალავდა რევოლიუციონერებს, მათ რიცხვში თუმანოვს, რომელსაც სიკვდილის დასჯა ჰქონდა გადაწყვეტილი, და რომელიც შემდეგ საზღვარგარეთ გაიყვანა.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ამხ. ხეჩინოვი განუწყვეტლივ მუშაობს ლოცმანად ბათომის ნავთსადგურში.

ზ.

ბინების დამრიგებელ კომისიის საყურადღებოდ

აღმასკომმა საბჭოთა ქუჩაზე აგებული დიდი შენობა გადასცა რკინის გზის ორგანიზაციებს მუშების ჩასასახლებლად. შესდგა კომისიები, რომელნიც ირკვევენ, თუ ვის უფრო სჭირია ბინა. ბინით დაინტერესებულნი მრავალ ხრიკებს იგონებენ, დგებიან დროებით პადვლებში, ზოგი ეხიზნება სხვას, რომ შეახედონ კომისიას თავისი გაჭირვება უბინაობით და ასე მიიღონ ბინა.

უსამართლობის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ახალ ბინაზე ჩასახლებამდის ერთი კვირით ადრე გამოცხადდეს იმ პირთა სია მისამართის აღნიშვნით, რომელთაც ახალი ბინები მიეცათ. დაე სხვები თავიანთი თვალით დარწმუნდნენ, რომ ახალი ბინის მიმღებნი მართლაც საჭიროებდნენ ბინას. მხოლოდ ასეთი გზით შეიძლება აშორება იმ უკმაყოფილების, რომელიც არსებობს მრავალ უბინაოთა შორის.

მუშკორი ძია-ლევან.

მუშათა ქრონიკა

— **წრე.** თუთუნის ქარხნის წითელ კუთხესთან დაარსდა კლუბის მეგობართა საზოგადოების წრე.

— **იურიდიული ბიურო.** ამავე ქარხნის ქარხკომმა დაადგინა გააძლიეროს იურიდიულ ბიუროს მუშაობა და შემოიღოს მორიგეობა ცნობების გასაცემად.

— **საღამო.** კულტკომისიამ დაადგინა ყოველ თვიურად მოაწყოს კითხვა-პასუხის საღამოები.

— **თუთუნის მოწევა.** ქარხკომმა სთხოვა ადმინისტრაციას, რათა მოისპოს ქარხანაში თუთუნის მოწევა.

— **მზადება.** რკ. გზის კლუბები უკვე შეუდგენ მზადებას საქართვ. გასაბჭ. 6 წ. თავის აღსანიშნავად.

— **გადარჩევა.** ახლო მომავალში მოხდება რკ. გზ. კლუბების გამგეობის გადარჩევა.

— **წიგნების შესაძენად.** რკ. გზ. პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის პროფსექციამ სთხოვა უბაკავშირს გაიღოს საჭირო თანხა წიგნების შესაძენად.

— **რეგისტრაცია.** ამჟამად რკინის გზებზე ხდება კავშირის საწევრო წიგნაკების რეგისტრაცია. ახალ წიგნაკებს დასარიგებლად.

— **კომისია.** რკ. გზ. წარმოება-დაწესებულებების მუშაობის გამომკვლევი სპეციალური კომისია ამჟამად გამოკვლევას ახდენს დასავლეთის ხაზზე.

— **სამხედრო კუთხე.** სად. გორის ადგილკომმა დაადგინა კლუბთან მოაწყოს სამხედრო კუთხე.

— **კედლის გაზეთი.** რკ. გზ. საავადმყოფოს კულტკომისიამ გამოუშვა კედლის გაზეთი „მზვერავი".

— **წარმოდგენა.** ამხ. ს. ორჯონიკიძის სახ. კლუბის დრამწრე ამჟამად ამზადებს პიესს „ვინ არის დამნაშავე".

ავიაქიმის აქტივის კრება

გუშინ, საღამოს 7 საათზე, წითელ არმიის და ფლოტის კლუბში შესდგა თბილისის ავიაქიმის და თავდაცვის საზოგადოების აქტივის გაერთიანებული კრება, რომელზედაც საკავშირო ავიაქიმის ყრილობის შედეგების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ეგიკოვმა.

თავის მოხსენებაში ამხ. ეგიკოვი შეეხო ყრილობის მუშაობის სამ უმთავრეს მომენტს.

პირველი მომენტი შეადგენს ქვეყნის თავდაცვის საქმეს. ამჟამად შემჩნეულია ანტი-საბჭოთა კამპანიის გაძლიერება ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში. ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მშვიდობიანი შრომა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს. ამისათვის საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი სამხედრო ავიაციის განმტკიცება. მეორეს მხრივ მომავალ ქიმიურ ომს ჩვენი მოსახლეობა მომზადებული უნდა შეხვდეს. იმპერიალისტურ სახელმწიფოებს ამჟამად არ ძალუძთ ომის დაწყება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რადგან მათ ურთიერთშორის მრავალი მოუგვარებელი სადაო საკითხები აქვთ. ამასთანავე მათ ანტისაბჭოთა იერიშებს ეწინააღმდეგება მუშათა კლასი.

მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელები მზად არ უნდა იყვნენ ყოველი შემთხვევისათვის. ამიტომ პირველ ხარისხოვან ამოცანად უნდა იქნეს მიჩნეული ქვეყნის თავდაცვის გაძლიერება. ამ მუშაობაში ყრილობის დადგენილებით იქნება ჩაბმული მოსახლეობის ფართო მასსები.

მეორე რიგში ყრილობამ გამოიმუშავა ფრიად მნიშვნელოვანი წინადადებანი ავიაქიმის ორგანიზაციის საქმეში. ყრილობამ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ავიაქიმების უჯრედები [illegible] მუშაობას აწარმოებენ. ავიაქიმის საზოგადოებაში ჩაბმულია ორი მილიონამდე მშრომელი. მათ შორის მეტ წილს უპარტიო მასსა შეადგენს. (70 პროც.) მასსის დაინტერესებლად ტარდება მრავალი კამპანიები. მათ შორის აღსანიშნავია 7 დიდი გადაფრენის კამპანია, რომელიც ჩატარებულა გასულ წელში. ამას გარდა მოსკოვში მოწყობილია ავიაქიმის მუზეუმი, საზოგადოების მიერ შეძენილია 150 თვითმფრინავი. დიდი ყურადღება ექცევა აგრეთვე მეცნიერულ მუშაობას ქიმიის დარგში.

ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც გადაწყდა ყრილობაზე არის თავდაცვის და ავიაქიმის საზოგადოებათა გაერთიანება. ეს გაერთიანება უნდა ჩატარდეს ცალკე რესპუბლიკებში და შემდეგ ადგილებზე. ამ გაერთიანებულ მუშაობას ამიერ-კავკასიაში დასჭირდება 2—3 თვე. დასასრულ, მომხსენებელმა აღნიშნა ყრილობის დადგენილებების, საწევრო გადასახადების წლიურად აკრეფის და მისი ახალი ნორმების დაწესების შესახებ. ამჟამად წლიური გადასახადი ნორმა არ აღემატება 1 მან. 20 კაპ. მინიმუმი კი შეადგენს (წითელ არმიელთათვის) 10 კაპ.

შემცირდა აგრეთვე ანარიცხების ნორმები (ცენტრში გადასაგზავნად. მომავალში შეგროვილი საწევრო გადასახადების მხოლოდ 25 პროცენტი გადაიგზავნება ცენტრში. დანარჩენი კი მოხმარდება ადგილობრივ კულტურულ და მასსიურ მუშაობის წარმოებას.

დასასრულ მომხსენებელმა აღნიშნა ყრილობის დიდი მნიშვნელობა და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მასიური მუშაობის წესიერად წარმოებისათვის ავიაქიმი შეძლებს კულტურულ და ეკონომიური მშენებლობის უზრუნველყოფას საფრთხისაგან.

მომხსენებელს მისცეს მრავალი შეკითხვები, რომლებზედაც ამხ. ეგიკოვმა ამომწურავი პასუხი გასცა.

კრება დაიხურა საღამოს 9 საათზე.

დამსწრე.

მზადება

ქართული წიგნის 300 წლის თავისათვის

შესდგა ს. კ. პ. ცეკას აგიტპროპთან არსებულ ქართული წიგნის სამასი წლის აღსანიშნავ კომისიის პირველი სხდომა, რომელსაც დაესწრენ ამხ. ამხ. პავლე საკვარელიძე, დ. კანდელაკი, ვუკ. ბერიძე, ბ. ბიბინეიშვილი, ნ. ნ. მიწიშვილი, არჩილ მიქაძე, დ. გვაზავა და მაჭავარიანი, კომისიამ თავის პირველ სხდომაზე დაადგინა: შეუდგეს მოსამზადებელ მუშაობას ქართული სტამბის სამასი წლის თავის აღსანიშნავად.

ქართული სტამბის სამასი წლის იუბილე გამართება 1929 წელს. ჯერჯერობით გამოურკვეველი არის იუბილეის საზეიმო დღის თარიღი. ამ თარიღის საბოლოო გამორკვევა გადაცემულია კომისიის 1-ლი მარტის სხდომისათვის.

კომისიამ გამოიმუშავა მოსამზადებელი მუშაობის შემდეგი გეგმა: უნდა შედგეს ქართული სტამბის ისტორია; სათანადო მასალების დაგროვება და აგრეთვე საკითხის დეტალური დამუშავება მიენდო ამხ. ვუკ. ბერიძეს; შედგენილ იქნება სამასი წლის განმავლობაში გამოცემული ქართული წიგნების სრული კატალოგი. ამ მუშაობის ხელმძღვანელობა დაეკისრა ამხ. ბერიძეს; დამზადდება სამასი წლის განმავლობაში დასტამბულ ქართულ ჟურნალ-გაზეთების სრული ბიბლიოგრაფია. ამ საქმის მოგვარება მიენდო ამხ. არჩილ მიქაძეს; მოეწყობა ქართულ ბეჭდვით ნაწარმოებთა ისტორიული გამოფენა, რომლის ხელმძღვანელობა ევალება ამხ. ს. თალაკვაძეს და მ. ბერძნიშვილს. ამ დროისათვის სავსებით გაფართოებული იქნება საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა, რომლის მოგვარებაც დაეკისრა ამხ. ვ. კანდელაკს.

კომისიამ აუცილებელ საჭიროებად სცნო საიუბილეო დღისათვის „ვეფხვის ტყაოსნის" აკადემიური გამოცემა აკადემიკოს მარის მონაწილეობით. ამ საქმის ხელმძღვანელობა დაევალა ამხ. კანდელაკს; კომისიამ მიზანშეწონილად სცნო აგრეთვე „ქართული აზროვნების ისტორიის" გამოცემა. ამ გამოცემის პროექტის დამუშავება მიენდო ამხ. მიწიშვილს. გარდა ამ წიგნებისა გამოცემული იქნება საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, გამოცემის პროექტის გამოცემა დაევალა ამხ. ბერიძეს; დასასრულ კომისიამ მიზანშეწონილად სცნო ქართული წიგნის სამასი წლის თავის აღსანიშნავად რუსთაველის ძეგლის დადგმა. ამ საკითხის შესახებ პრაქტიკულ ღონისძიებათა დამუშავება მიენდო ამხ. დ. კანდელაკს.

ნათესების მდგომარეობა

ამინდთან დაკავშირებით

1 თებერვალს ახალციხის მაზრაში თოვლი იდგა 1 არშინის სიმაღლეზე. ნათესი თოვლით იყო დაფარული. ამინდის გავლენა სოფლის მეურნეობაზე საშუალოა. მოსახლეობა უზრუნველყოფილია პურით.

ახალქალაქის მაზრაში თოვლი დევს 4 ვერშოკის სიმაღლეზე. ჰქრის ძლიერი ქარი. ამინდის გავლენა სასოფლო მეურნეობაზე საშუალოზე დაბალია.

თბილისის მაზრაში მიმდინარე თებერვლის 1-მდე და დამლევს ცივი და მშრალი ამინდი იდგა, ხოლო ხან კი ძლიერი ქარი ჰქროდა. ანეული საშუალო მდგომარეობაშია (ბალი—3) ამინდის გავლენა სასოფლო მეურნეობაზე საშუალოა (ბალი—3).

ლეჩხუმის მაზრაში თოვლი დევს 10 ვერშოკის სიმაღლეზე. ანეული პური და ქერი საშუალო მდგომარეობაშია (ბალი—3). ამინდის გავლენა სასოფლო მეურნეობაზე საშუალოა.

დუშეთის მაზრაში—თებერვლის პირველი რიცხვებიდან თოვლი დევს. დგას ცივი და მშრალი ამინდი. ანეული ნათესობის მდგომარეობა ცუდია (ბალი—1). ამინდის გავლენა სოფლის მეურნეობაზე—საშუალოზე დაბალია.

სენაკის მაზრაში იანვრის გასულს და თებერვლის დამდეგს მშრალი ამინდი იდგა; ანეული ნათესობის მდგომარეობა საშუალოა (ბალი—3).

სიღნაღის მაზრაში წარსული იანვრის 18-დან 1 თებერვლამდე თოვლი დევს და ჰქრის ძლიერი ქარი. ანეულის არე შემცირდა 1—3-ით. ნათესები ცუდ მდგომარეობაშია (ბალი—1) ყინვისა და მინდვრის თაგვების წყალობით. თაგვების გასაწყვეტად მიღებულია ენერგიული ზომები; მოწამლულია 8.000 თაგვი.

ქუთაისის მაზრაში ანეული ნათესების მდგომარეობა და ამინდის გავლენა სოფლის მეურნეობაზე საშუალოა.

რაჭის მაზრაში თოვლი დევს ერთი არშინის სიმაღლეზე. ანეული ნათესობის და ამინდის გავლენა სასოფლო მეურნეობაზე საშუალოა.

ცნობები სხვა მაზრების შესახებ ჯერ არაა მიღებული.

სასოფლო-სამეურნეო ძირითად საკრედიტო ქსელის

წარმომადგენელთა თათბირი

20 თებერვლისათვის ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკთან გაიხსნება ა.-კ. ძირითად სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ქსელის მუშაკთა პირველი თათბირი.

თათბირის დღის წესრიგში სდგას მეტად საყურადღებო საკითხები, როგორიც მაგალითად, სას.-სამ. კრედიტის სისტემა და მისი მდგომარეობა ამიერ-კავკასიაში, სას.-სამ. კრედიტის მოსავალი ამოცანები, საკრედიტო პოლიტიკის მიზნები და როლი სას.-სამეურნეო კრედიტის საერთო სისტემაში არსებულ ეკონომიურ და ფინანსიურ კონიუნქტურასთან შეფარდებით.

თათბირი გაარჩევს აგრეთვე შემდეგ საკითხებს: სასოფლო მეურნეობის საჭიროებისათვის კრედიტების გაცემის ფორმები და მეთოდები და საბანკო ოპერაციების წესი სას.-სამ. კრედიტის სისტემაში; დაბალი საფეხურის სას.-სამ. კრედიტის ორგანოთა საორგანიზაციო საკითხები; დაბალ ორგანოებში სამუშაოთ შესაფერი მუშაკების მომზადება და ინფორმაციის სათანადო ნიადაგზე დაყენება.

თათბირის დღის წესრიგში სდგას აგრეთვე მეტად საყურადღებო საკითხი—მებაღეობისა მეთამბაქოობისა და მელიორაციისათვის კრედიტების გაცემის შესახებ. ამასთან დაკავშირებით თათბირი განიხილავს აგრეთვე კოლექტიურ და ღარიბ მეურნეობათათვის დახმარების გაწევის საკითხს.

აგრო-პროპაგანდა

მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის განყოფილებები და სამმართველოები შეუდგენ მუშაობას სხვადასხვა სას.-სამეურნეო ორგანიზაციების აგრიკულტურულ მუშაობა-საქმიანობის ერთი მეორესთან შესათანხმებლათ. ამჟამად აგრიკულტურის პროპაგანდაზე დამოუკიდებლათ მუშაობს რამოდენიმე ორგანიზაცია, რაც იწვევს მრავალ უხერხულობას და არევ-დარევას.

ამ მიზნით გამომუშავებულ იქნება ერთიანი სამუშაო გეგმა ყველა ორგანიზაციებისათვის, როგორც მაგალითად, საზ-ბა „აბრეშუმისთვის", „საქართველოს ჩაისთვის", სახალხო მამულების ტრესტისთვის და სხვა. ყველა ამ ორგანიზაციების მუშაობა შეთანხმებული იქნება მიწ.-მოქ. სახ. კომისარიატის მუშაობასთან ამ დარგში.

შაბიამანის მიღება

ამ დღეებში „ზაკსელმაში" საზღვარგარეთიდან მიიღებს 86.036 ფუთ შაბიამანს და 100.000 ფუთ გოგირდს. „ზაკსელმაშს" განზრახვა აქვს მიღებული ვენახის საწამლი მასალის მთელი რაოდენობა გადასცეს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატს, რომელიც თავის მხრივ მას გაანაწილებს მევენახეობა-მეღვინეობის ამხანაგობებს შორის.

მევენახე—გლეხები შაბიამანს და გოგირდს მიიღებენ აღნიშნულ ამხანაგობებიდან, ხოლო სადაც ასეთი არაა—კოოპერატივებიდან. სახალხო მამულებს საწამლი მასალა დაურიგდებათ პირველ რიგში.

შრომის მუზეუმი

საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატი გასული წლის სექტემბრიდან შეუდგა შრომის და სოცდაზღვევის მუზეუმის მოწყობას. ეს პირველი მუზეუმია ამიერ-კავკასიაში. მუზეუმი შესდგება ორი განყოფილებიდან: 1) საერთო და 2) საწარმოო.

თვითეული განყოფილება თავის მხრივ შესდგება რამდენიმე ქვე-განყოფილებიდან. ახლო ხანში მუზეუმში მოეწყობა ლექციების კითხვა მუშებისათვის შრომის და რაციონალიზაციისა და სოცდაზღვევის საკითხებზე.

მუზეუმთან მოწყობილია სპეციალური ლაბორატორია, სადაც შრომის სანიტარულ და ტეხნიკურ ინსპექტორებს საშუალება აქვთ გამოიკვლიონ ამა თუ იმ წარმოების მავნებლობა და მუშათა დაავადმყოფების მიზეზები. შრომის დაცვის განყოფილებამ დააკისრა სანიტარულ და ტეხნიკურ ინსპექტორებს მოახდინონ ფაბრიკა-ქარხნებში სასუნთქი ჰაერის შემადგენლობის მეცნიერული გამოკვლევა.

ამჟამად ლაბორატორია აწარმოებს გილზების სატენ მექანიკური მანქანის გამოცდას და ჰაერის მტვერის შემადგენლობის გამოკვლევას თამბაქოს ქარხნებში. შესწავლილი იქნება აგრეთვე ნიკოტინის პროცენტული რაოდენობა ჰაერში.

ლაბორატორია აწარმოებს აგრეთვე გოგირდის წყლის ქიმიურ გამოკვლევას ტყავის ფაბრიკაში.

ლაბორატორიამ დაამთავრა პოლიგრაფტრესტის ლითოგრაფიაში სასუნთქ ჰაერის შემადგენლობისა და მასში აზოტის სიმჟავის რაოდენობის გამოკვლევა.

ამას გარდა, სწარმოებს გოგირდ-წყალბადის რაოდენობის გამოკვლევა ტალახის სამკურნალოებში, ხოლო ახლო ხანში ლაბორატორია შეუდგება ღვინის სარდაფებში ჰაერის შემადგენლობის მეცნიერულ გამოკვლევას.

ეკონომიურ საბჭოში

ნავთის გადასამუშავებელი ქარხნის აგება ბათომში

ეკონომიურმა საბჭომ მოისმინა ამხ. ხ. ჯუღელის მოხსენება ქ. ბათომში ნავთსახდელი ქარხნების ასაშენებელი ადგილის ამორჩევის შესახებ. საბჭომ მიიღო რა მხედველობაში ის გარემოება, რომ ქარხნების აგება კახაბერის რაიონში, ქოროლის-წყალის ვარიანტთან შედარებით, იწვევს ერთდროულად ზედმეტ ხარჯების მიღებას, ნავთსადენისა, რკინის გზისა და წყალსადენის ხაზების გაგრძელებასთან დაკავშირებით, რაც უდრის 4.500.000 მან. და აგრეთვე ქარხნების ექსპლოატაციისათვის ყოველწლიური გადანახარჯი (ერთ ფუთ ზეთზე ზედნადები ხარჯების 1,5 კაპ. გადიდებასთან დაკავშირებით) 2.250.000 მან. რაოდენობით და გარდა ამისა ის, რომ ზოგიერთ სპეციალისტ-აგრონომების აზრით ნავთის გაზს არ შეუძლია უარყოფითი გავლენა მოახდინოს სუბტროპიკულ კულტურებზე, დაადგინა—სპეციალური კომისიის დასკვნების თანახმად „აზნევთის" ნავთსახდელი ქარხნის ასაშენებელი ადგილად მიღებულ იქნეს ქოროლის—წყალის რაიონი.

ზედნადებ ხარჯების

შემცირება

მუშკოოპის გამგეობამ გადასწყვიტა შეუდგეს მუშაობას ზედნადები ხარჯების შესამცირებლად 14,5 პროცენტიდან 10,5 პროცენტამდე. ამ მიზნით გადაწყვეტილი არის ყველა სავაჭრო მაღაზიების ნოქრებისათვის გამომუშავებულ იქნეს განსაზღვრული ნორმა, რომელიც უნდა ივაჭროს მან ერთი თვის განმავლობაში. მაგალითად, საბაყლო მაღაზიაში ნოქრისათვის დაწესდება 8.000 მანეთის გადატრიალების ნორმა თვეში, ხოლო ეს ნორმა შეიძლება გადიდებულ ან დაკლებულ იქნეს მაღაზიის მდებარეობასთან დაკავშირებით.

ზედნადები ხარჯების შემცირების მიზნით მოხდება აგრეთვე ყველა მოსამსახურის მაქსიმალური დატვირთვა და მივლინებების შემცირება.

ზედნადები ხარჯების შესამცირებლათ მიღებული ღონისძიებანი სასწრაფოდ ტარდება ცხოვრებაში.

ფასების დაკლება

მუშკოოპში

8 თებერვლიდან მუშკოოპის სავაჭრო მაღაზიებში გატარებულია ფასების დაკლება ყველა საქონელზე. მანუფაქტურაზე დაკლებულია—1 პროცენტი, მზა ტანსაცმელზე—16 პროც., სილიკატებზე და მურშლეულობაზე 10 პროც., მექანიკურათ დამზადებულ ფეხსაცმელებზე—8 პროც., ხელით დამზადებულ ფეხსაცმელებზე—5 პროც. და გალანტერეიაზე—7 პროცენტი.

ფასების დაკლება პირველ რიგში ჩატარდა სანოვაგეზე და პირველი მოხმარების საგნებზე: კილო შაქარზე დაკლებულია—8 კაპ., ფქვილზე 5 კაპ., თაფლზე 62 კაპ. და სხვ., როგორც მაგალითად ჩაი, ბრინჯი, ტილოები, ასანთი, ნავთი, საპონი, შეშა და სხ.

ამგვარათ საკავშირო შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილება ფასების დაკლების შესახებ, მუშკოოპის მიერ უკვე შესრულებულია და საბიუჯეტო შენაკრები დაკლებულია 10,4 პროცენტით.

ქრონიკა

საქართველოს გასაბჭოების დღისათვის

ქალაქის აღმასკომი შეუდგა სამზადისს საქართველოს გასაბჭოების ექვსი წლის თავის დღესასწაულის ჩასატარებლად თბილისში.

ა. კ. პროფსაბჭოს პლენუმი.

ა. კ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა ა. კ. პროფსაბჭოს მორიგი პლენუმი, რომელიც დანიშნული იყო 17 თებერვლისთვის, აზერბეიჯანის და საქართველოს პროფსაბჭოების თხოვნით, მოიწვიოს მარტის პირველ რიცხვებში.

ახალი დანიშვნები

სისხლის სამართლის მილიციის სამძებრო ნაწილის უფროსად დაინიშნა ამხ. თოფურია. სამძებრო ნაწილის ყოფ. უფროსი ამხ. წერეთელი დაინიშნა საუწყებო მილიციის უფროსად.

ცირკის იჯარით გადაცემა

თბილისის აღმასკომმა დაადგინა დააკმაყოფილოს ძმ. ტანტების შუამდგომლობა ცირკის შენობის მათთვის იჯარით გადაცემის შესახებ. იჯარით გადაცემის პირობები შემდეგია: მოიჯარადრეებმა წლიურათ უნდა გადაიხადონ 2.000 მანეთი. ცირკის შენობა დაზღვეულ უნდა იქნეს თანახმად არსებული წესებისა და შენობის მოვლა-პატრონობა საიჯარო პერიოდის განმავლობაში ევალება მოიჯარადრეებს.

იჯარის ვადა განსაზღვრულია 2 წლით.

2.000 მ. ავტოკლუბს

ავტოკლუბმა ამას წინეთ შუამდგომლობა აღძრა თბილისის აღმასკომის წინაშე, კლუბის შესაკეთებლათ შესაფერი თანხის გაცემის შესახებ.

თბილისის აღმასკომმა დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა და გადასწყვიტა გადასცეს კლუბის შესაკეთებლათ 2.000 მანეთი მოულოდნელი ხარჯების ფონდიდან.

საკურორტო ადგილების დაზღვევა

თბილისის მაზრაში მდებარე ყველა საკურორტო ადგილები გადაწყვეტილია ვადაირიცხოს სოციალურ დაზღვევაზე. კურორტების სოციალურ დაზღვევაზე გადასვლის წესები გამომუშავებულ იქნება მომავალი გაზაფხულიდან.

საგზაო ყრილობის მოწვევა

ა.-კ. რკ.-გზელთა პროფკავშირის დადგენილებით ა.-წ. 27 თებერვლისათვის თბილისში მოწვეულია რკინისგზის ინჟინერთა და ტეხნიკოსთა სექციის მესამე ყრილობა. ყრილობას მასსიური ხასიათი ექნება და მასზე წარმოდგენილი იქნება რკ. გზ. ტეხნიკური ძალების 10 პროცენტი. ყრილობის დღის წესრიგი შემდეგია: 1) მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე, 2) ინჟენერ - ტეხნიკოსთა სექციის საგზაო ბიუროს საანგარიშო მოხსენება, 3) მოხსენება რკინისგზის ტეხნიკური მდგომარეობის შესახებ, 4) საგზაო ბიუროს არჩევნები, 5) მიმდინარე საკითხები.

სახელმწიფო მუზეუმში

◆ **სახ-წიფო მუზეუმის დირექტორის მოადგილედ** დაინიშნა სახ-წიფო უნივერსიტეტის დოცენტი ნიკოლოზ იოსელიანი.

◆ **„მუზეუმის მოამბე".** იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა „სახ. მუზეუმის მოამბე"-ს მორიგი ნომერი. (№ 3).

◆ **მუზეუმის შენობის დამთავრება.** საკავშირო ცენტრალურ კომუნალურ ბანკის წინაშე აღძრულია შუამდგომლობა მუზეუმის შენობის (რუსთაველის პრ. სასახლის პირდაპირ) დასამთავრებლად 400.000 მანეთის სესხის მიცემის შესახებ.

◆ **ზოოლოგიური განყოფილება** ამ დღეებში დაამთავრებს გარეული ხარის (ზუბრი) ნიმუშის დამზადებას, რის შემდეგ ხარი აღდგენილი სახით მოთავსებული იქნება განყოფილების დარბაზში.

◆ **თეთრი შაშვი.** ზოოლოგიურმა გან-ბამ შეიძინა ხონის რაიონში მოკლული თეთრი შაშვი, რომელიც წარმოადგენს ბუნების საკვირველებას. თეთრი შაშვი დღემდე არ ყოფილა აღმოჩენილი არც ერთ ქვეყანაში. შაშვი ამ დღეებში მოთავსებული იქნება გან-ბის დარბაზში.

◆ **თეთრი მგელი.** ზოოლოგიურმა განყოფილებამ შეიძინა რამოდენიმე ძვირფასი ჯიშის გარეული ნადირის ეგზემპლიარი, მათ შორის იშვიათი თეთრი მგელი.

შრომის კომისარიატში

◆ **სახლები მუშებისათვის.** შრომის სახალხო კომისარიატი მარელისის ვრცხილ - ავეჯეულობის ქარხნის მუშებისათვის ადგილობრივ აგებს ორ დიდ სახლს.

განათლების კომისარიატში

◆ **რუსული ენის მასწავლებელთა კონფერენცია.** 20 თებერვალს, დილის 12 საათ. [illegible] სამმართველობა იწვევს რუსული ენის მასწავლებელთა კონფერენციას.

◆ **მისალმება.** განათლების კომისარიატმა მიიღო წინანდლის რაიონის მასწავლებელთა კონფერენციისაგან მისასალმებელი დეპეშა, რომლითაც მასწავლებლები კომისარიატის სახით ხელისუფლებას აღუთქვამენ ენერგიულ მუშაობას განათლების დარგში.

◆ **უცხო ენათა კურსები ქუთაისში.** ქუთაისის მაზრის განათლების განყოფილებას ნება დართო ქუთაისში გახსნას უცხო ენათა კურსები, რომლის მოსაწყობად ქუთაისში მივლინებული იქნა თბ. უცხო ენათა კურსების გამგე ნ. ამირეჯიბი.

◆ **წიგნის პალატების დირექტორთა თათბირზე** ქ. ხარკოვში იგზავნება საქართველოდან საქ. წიგნის პალატის დირექტორი ამხ. ს. თალაკვაძე.

◆ **სწავლის ფული.** განათლების კომისარიატის უკანასკნელი დადგენილებით სწავლის ფულის გადასახადისაგან თავისუფლდებიან ყველა ის ბავშვები, რომელთა დედა ან მამა ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას, მიუხედავათ იმისა, ვის კმაყოფაზე იმყოფება ბავშვი.

◆ **ინსტრუქტორთა კონფერენცია.** 18 თებერვალს შესდგება განათლების ინსტრუქტორთა კონფერენცია.

◆ **სკოლების დამხმარე საბჭოები.** განათლების კომისარიატმა დაამტკიცა დებულება ყველა ტიპის სკოლებთან დამხმარე საბჭოების დაარსების შესახებ.

◆ **პედაგოგიური ტეხნიკუმების საქმის** გასაცნობათ განათლების კომისარიატი რუსეთში აგზავნის ქუთაისის პედაგოგიურ ტეხნიკუმის გამგეს ნ. მესაბლიშვილს, ოზურგ. პედაგოგ. ტეხ. გამგეს ქრ. კვანტრეს და თელავის პედაგ. ტეხ. გამგეს კ. გეგელიძეს.

სოცუზრუნველყოფა

◆ **გლეხკომების გადარჩევა.** საბჭოების არჩევნების დამთავრების შემდეგ აჭარისტანში დაიწყება გლეხკომების გადარჩევა.

◆ **პენსიის და ერთდროული დახმარების** სახით ქუთაისის სამაზრო გლეხკომმა გასულ თვეში ინვალიდებს და რევოლიუციის წინაშე დამსახურებულ პირებს დაურიგა 5.442 მანეთი.

◆ **ახალგაზრდობის სკოლა.** ქვემო ქალადიდის (გორის მაზრა) ახალგაზრდობის სკოლას სოცუზრუნველყოფის კომისარიატმა თავის ხარჯით შეუძინა მუშა - საქონელი და საჭირო სასწავლო ნივთები.

◆ **ინვალიდების თავშესაფარი.** ქუთაისის ინვალიდთა თავშესაფარში ამჟამად მოთავსებულია 11 შრომის და ომის ინვალიდი.

◆ **გამოკვლევა.** სოცუზრუნველყოფის კომისარიატმა შორაპნის და სიღნაღის მაზრებში გლეხკომების და სოცუზრუნველყოფის მდგომარეობის გამოსაკვლევად მიავლინა ინსტრუქტორები.

სამეურნეო დაწესებულებებში

◆ **კონკურსი.** ახლო მომავალში მოეწყობა საკრედიტო ამხანაგობათა საკავშირო კონკურსი პირველობაზე.

◆ **ბიულეტენი.** ამ.-კავ. სასოფლო - სამეურნეო ბანკმა გადასწყვიტა გამოუშვას ყოველკვირეული ბიულეტენი რუსულ, ქართულ, სომხურ და თურქულ ენებზე.

◆ **აბრეშუმის თესლის დასამზადებლად** სომხეთის სას.-სამ. ბანკს გადაეცა 25.000 მანეთი.

◆ **რაიონული კარტოგრამები.** ა.-კ. ეკონომიურ რაიონებათ დაყოფის გამო, ა.-კ. სასოფლო - სამეურნეო ბანკი, სტატისტიკურ სამმართველოსთან ერთად ადგენს რაიონულ კარტოგრამებს.

ჩაუბარებელი დეპეშები

ართვინიდან — მარალიუკს, ბაქოდან — ბიროუკოვს, მოსკოვიდან — მანასიანცს. ლენინგრადიდან — ანდრეის, ტრაპეზუნდიდან — კლოპოტოვსკისას, ელციდან — გურეს.

ვინ იბარებიან სამუშაოზე

დღეს, თბილისის ბირჟაში სამუშაოზე გასაგზავნად უნდა გამოცხადდნენ შემდეგი პირები:

კვალიფიციურ მუშაკთა სექციაში. — ლაზარიშვილი ვასილი, შმილოვი პეტრე, სევოიანი ზურაბი, არჩვაძე ვარლამი.

მესამე სექციაში: ზურაბიძე ერმ., ვერნერი ეკატერინე და ერთი ქალი ბუფეტის ვამგის თანამდებობაზე ზაქათალაში წასასვლელად.

სასამართლო

3.000 მანეთის გაფლანგვა

დღეს აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში გაირჩევა პეტრე ვიატკინის საქმე.

ვიატკინს ბრალდება 3.000 მანეთის მითვისება და გაფლანგვა ამიერ-კავკასიის სამომხმარებლო კოოპერატივის მეორე მაღაზიის პასუხისმგებელ ნოქრად ყოფნის დროს.

განაჩენი ბარცოვის საქმეზე

სასამართლომ ბრალდებული ბარცოვი დამნაშავედ სცნო გარყვნილების ბუდის შენახვაში, რისთვისაც მიუსაჯა მას ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა ქონების ერთი მესამედის კონფისკაციით.

განაჩენი ბუდრიაშვილის და სხვათა საქმეზე

სასამართლომ პავლე ხუნდაძე, გრიგოლ მანჯგალაძე და გიორგი ბადრიაშვილი უდანაშაულოდ სცნო და გაამართლა.

დახვრეტა ყაჩაღობისათვის

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ ამხ. პ. ჯაჯანიძის თავმჯდომარეობით და პროკურორ აბაკელიას მონაწილეობით გორში გაარჩია სერგო ტრანკაძის, არჩილ ლაჩხალაშვილის, ნიკოლოზ მელანაშვილის, იოსებ გოგნიაშვილის, ალექსი მიქიაშვილის, ვოლოვის, ფარუშ კარაპეტიანის, სეფიაშვილის და ჯავახიშვილის საქმე.

ყველა ბრალდებულები ცნობილი ქურდი რეციდივისტებია. ზოგიერთი მათგანი დაპატიმრებული იყვნენ ყაჩაღობისათვის. იოსებ გოგნიაშვილს წინედ ორჯერ ჰქონდა დახვრეტა მისჯილი ყაჩაღობისათვის, მაგრამ ორთავე შემთხვევაში შეუცვალეს.

აღნიშნულმა პირებმა 1926 წ. მარტში გორის ვამსახლის უფროსს დანით ამოუთხარეს თვალი და გაიქცნენ ვამსახლიდან. მცველებს წაართვეს 4 შაშხანა თოფი. რამოდენიმე ხნის შემდეგ, ყველა ბოროტმოქმედი დააპატიმრეს.

სასამართლომ სერგო ტრანკაძეს, არჩილ ლაჩხალაშვილს, ნიკოლოზ მელანაშვილს, იოსებ გოგნიაშვილს და ალექსი მიქიაშვილს მიუსაჯა უმაღლესი სასჯელი დახვრეტა.

ბრალდებულ ვოლოვს მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასტიკი იზოლიაციით, ბრალდებულ კარაპეტიანს მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო სეფიაშვილს კი 2 წლით.

ბრალდებული ჯავახიშვილი სასამართლომ უდანაშაულოდ სცნო და გაამართლა.

ამინდი

თოვლი ფოთში

ფოთი, 15 თებერვალი. მესამე დღეა, რაც თოვლი მოდის. ქალაქში შესწყდა სატელეფონო კავშირი. ზღვაზე ძლიერი ღელვაა (ადს).

სამხედრო გზაზე

12 თებერვალს თბილისიდან ფასანაურში გაემგზავრა ავტომობილით სამხედრო გზის დისტანციის უფროსი ინჟ. ჯაში. დილის 7 საათზე გასულმა მანქანამ საღამოსთვის ძლივს მიაღწია ფასანაურამდე. თოვლის სიღრმე თბილისიდან წილკანის მინდვრის ბოლომდე (45 კილომ.) უდრის 70 სანტ. ზაზალეთის მინდორზე, დუშეთსა და ანანურს შუა და ქერანის გადასავალზე თოვლის სიღრმე აღწევს 1 მეტრს, ფასანაურში კი 1.20 მეტრს.

ასევე დღეს ამოვარდა ქარბუქი, რომელმაც თოვლით დაფარა თბილის-მცხეთის რაიონი —13 კილომეტრის მანძილზე, ალაგ-ალაგ თოვლის სიღრმე უდრის 3 ნახევარ მეტრს, მცხეთა-წილკანის მინდორი და ზაზალეთის მინდორი, სადაც თოვლის სიღრმე აღწევს 3 მეტრს; მიმოსვლა გაძნელებულია.

დუშეთიდან კაკკავამდე მიმოსვლა სწარმოებს მარხილებით.

დღეს დილის 12 საათიდან გაიხსნება ავტომობილების მიმოსვლა თბილისიდან დუშეთის აღმართამდე. გზის გაწმენდაზე მუშაობს 100 კაცი. გზაზე მრავალი ურემი და რამოდენიმე ავტომობილი ჩაფლული თოვლში.

ლუდის ქარხანა

თბილისის აღმასკომმა დაადგინა შეუდგეს ლუდის ახალი ქარხნის აგებას. ახალი ქარხნის შენობა აგებულ იქნება ყოფ. ლუიზა მადერის ქარხნის ადგილზე.

ქარხნის ასაგები პროექტი შემუშავებულ იქნება სამ ვარიანტათ. ახალი ქარხნისათვის გამოიყენებენ ყოფ. მადერის ქარხნის სარდაფებს.

აღმასკომის საგეგმო კომისიას დაევალა სასწრაფოდ შეუდგეს შესაფერი პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შემუშავებას.

შემთხვევები

◆ **ავტომობილის დაჯახება.** 14 თებ. საღამოს ციციანოვის აღმართზე მიმავალ საბარგო ავტომობილს გაუტყდა ღერძი რის გამო დაექანა უკან და დაეჯახა მიმავალ ტრამვაის რონოდას. მსხვერპლი არ ყოფილა. ტრამვაის მოძრაობა შეჩერებული იქნა 3 საათით.

◆ **ცეცხლი.** 14 თებ. დილის 11 საათზე თვითმადუღებლის გამოყვარდნის გამო ცეცხლი გაუჩნდა ნინა ჰაირაპეტოვის ბინას (მუხრანის ქ. 17).

მოქ. ხაინაცკის თვითმკვლელობა

საჭადრაკო ცენტრალურ კლუბის გამგე ე. ხაინაცკი 13 თებერვლიდან არ გამოცხადებულა სამსახურში. დაუწყეს ძებნა, მაგრამ მისი კვალი არსად სჩანდა.

გუშინ მისი მეგობრები შევიდენ ხაინაცკის ბინაში, სადაც იპოვნეს მისი გვამი.

გამოირკვა, რომ ხაინაცკის თვითმკვლელობის მიზნით თოკით ჩამოუხრჩვია თავი.

თვითმკვლელობის მიზეზი ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია.

მძარცველების დაპატიმრება

ამ რამოდენიმე ხნის წინედ, არსენალის მახლობლად, რკინის გზის ლიანდაგთან სომეხთა ყოფილ სემინარიის დარაჯს პეტრე ბაუკოვს თავს დაესხა 4 შეიარაღებული ბოროტმოქმედი, რომლებმაც ბაუკოვს წაართვეს 1 მანეთი, გახადეს ტანისამოსი და მიიმალნენ.

გუშინ სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ორი ბოროტმოქმედი. ისინი აღმოჩნდნენ: იოსებ მაისურაძე და ანატოლი ბუხინი.

თვითმკვლელობა

გუშინ, დილის 11 საათზე თბილისის მაზრის სატყეო განყოფილების გამგის თანაშემწე აბესალომ წივწივაძემ თავის ბინაზე მოიკლა თავი სამხაზიანი შაშხანა-თოფით. თვითმკვლელობის მიზეზი გამოურკვეველია.

წივწივაძე იწვა თავის ლოგინზე გაუხდელი, ხოლო თოფი იქვე ახლოს იატაკზე ეგდო და თოფის სასხლეტ ნაწილში გაყრილი იყო მოკლე ჩხირი.

ხანძარი

გუშინ, საღამოს, საკვამლე მილის გაუწმენდაობის გამო ხანძარი გაუჩნდა მოქ. თემურზოვის სახლს (უდელნის ქუჩა № 8).

პირველ ცეცხლის მქრობელმა რაზმმა ხანძარი ჩააქრო 3 საათის მუშაობის შემდეგ. ზარალი დაახლოვებით 400 მანეთს უდრის.

გუშინვე ხანძარი გაუჩნდა აგრეთვე გლეხთა ცენტრალურ სახლს. ხანძარი ჩააქრეს. ზარალი გამოურკვეველია.

მგლები დიღომის რაიონში

გუშინ დიღომის რაიონში ღამით მოხეტიალე მილიციელს თავს დაესხნენ მგლები. მილიციელმა მოკლა ერთი მგელი.

ბოროტმოქმედება

მიწადმოქ. სახ. კომისარიატში

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატთან არსებული გეოდეზიურ ინსტრუმენტების საწყობის მიღების დროს მიმღებმა კომისიამ საწყობის საქმის წარმოებაში აღმოაჩინა მთელი რიგი ბოროტმოქმედებანი; საწყობის მთავარი წიგნი დამალული აღმოჩნდა, მასში კი ჩაწერილი იყო ქონება, მიღებული ყოფილ მიწათმოქმედების სამინისტროსაგან; აღმოჩნდა აგრეთვე სახელმწიფო ქონების მითვისებაც. ამის გამო სისხლის სამართლის კოდექსის 116 მუხლის ძალით საწყობის ყოფილი გამგის თ. პეჩკას საქმე გადაეცა რესპუბლიკის პროკურორს.

რკინისგზებზე

შემთხვევებთან მებრძოლ კომისიაში

შემთხვევებთან მებრძოლ საგზაო კომისიის უკანასკნელ სხდომაზე განხილულ იქნა ცხრა საქმე. ამ ცხრა შემთხვევას გზისთვის მიუყენებია—25.704 მან. ზარალი.

მთელი რიგი აგენტებისა, რომელთაც ბრალი მიუძღვისთ ამ შემთხვევებში დასჯილი არიან ადმინისტრატიულად. ზოგიერთები სრულიად მოხსნილი არიან სამსახურიდან.

მფლანგველობა და ძარცვა

მფლანგველობისა და ძარცვისაგან ა.-კ. რკ. გზებს, 1926 წ. 1 მაისიდან—1 დეკემბრამდე უზარალია—128.148 მან. ამ თანხიდან—12.025 მანეთი გზას უკვე ამოუღია და დარჩენილია ამოსაღები 116.123 მან.

მფლანგველები და მძარცველები პასუხისგებაში არიან მიცემული სისხლის სამ. წესით და მათ წაყენებული აქვთ სამოქალაქო სარჩელი.

ხელოვნება

ქართველ მხატვრების გამოფენის ირგვლივ

(დისპუტი ხელოვანთა სასახლეში)

15 თებერვალს საღამოს ვ. კოტეტიშვილმა ხელოვანთა სასახლეში წაიკითხა მოხსენება ქართველ მხატვართა გამოფენის შესახებ.

ქართველი მხატვრობის გამოფენის განხილვის დროს მომხსენებელი დაემყარა იპ. ტენის ცნობილ მეთოდს, რომლის გამოსავალი წერტილი ასეთია: ხელოვნების ესა თუ ის ნაწარმოები არ არის რაიმე განცალკევებული—განმარტოებული მოვლენა ხელოვნების ამა თუ იმ ნაწარმოების, მწერლისა და მხატვრის, ხელოვანთა მთელი სკოლის გასაგებად, საჭიროა დაწვრილებით გათვალისწინებულ იქნეს იმ დროის მატერიალური, გონებრივი და ზნეობრივი განვითარების საერთო მდგომარეობა, რომელსაც ეკუთვნის ნაწარმოები, მწერალი თუ მხატვარი. შემდეგ მომხსენებელი გადადის ქართველ მხატვართა გამოფენაზე, ეხება გამოფენაზე წარმოდგენილ ნიმუშებს და, აღნიშნავს რა გამოფენაში მონაწილე მხატვართა ღირსება-ნაკლოვანებებს, იძლევა მათ ცალკე დახასიათებას. მომხსენებელს გამოაქვს დასკვნა, რომ საქართველოს დღევანდელი მხატვრობა გამოხატავს თანამედროობას იმდენად, რამდენადაც მასში მოცემულია ქართული ტიპები. რაც შეეხება მიმდინარე რევოლიუციონურ პერიოდს, იგი ქართულ მხატვრობაში გადმოცემული არ არის. მიუხედავად ყოველგვარ ცდისა, მომხსენებელმა ვერ შესძლო გამოფენის ამ დიდი ნაკლის საპატიო მიზეზების დასახელება.

საერთოდ, მომხსენებლის აზრით, გამოფენაზე წარმოდგენილი ნიმუშები არ წარმოადგენენ სავსებით დამთავრებულ მხატვრულ ნაწარმოებს, მაგრამ შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ქართული მხატვრობა მიუხედავად ცუდი ნივთიერი პირობებისა, მაინც თანდათან ვითარდება და იძლევა იმედს დიდი მიღწევებისას.

მოხსენების გარშემო გაიმართა დისპუტი, რომელშიდაც მონაწილეობა მიიღეს ლ. ესაკიამ, ტიც. ტაბიძემ, პროფ. შ. თოიძემ, ბ. ულენტმა და სხ.

ამხ. ესაკიას თქმით, გამოფენაზე წარმოდგენილ მხატვრების დახასიათება და შეფასება მომხსენებლის მიერ, არ იყო ობიექტიური, რადგან მას არ გააჩნდა მხატვრულ ნაწარმოებთა კლასიფიკაციით საჭირო მეთოდი. ამიტომ მისი ანალიზი ემყარებოდა პირად მოწონება—არმოწონებას. პროფ. შ. თოიძე არ დაეთანხმა მომხსენებელს ზოგიერთ მხატვრის ნაწარმოებთა შეფასებაში. ბესო ულენტის განცხადებით, ქართული მხატვრების დიდი ნაწილი ჩამორჩა თანამედროობას არა იმიტომ, რომ იგი ვერ ჰპოულობს თემას თანამედროვე ცხოვრებიდან. არამედ უფრო მეტად იმიტომ, რომ იგი ახრჩობა აკადემიზმში და გაურბის ფორმალურ ძიებას. შემდეგ გამოვიდა კიდევ რამდენიმე ორატორი.

დისპუტს ხალხი ბლომად დაესწრო.

რ. დ.

ხელოვნების ქრონიკა

სახელგამის ახალი გამოცემანი

სახელმწიფო გამომცემლობის რედკოლეგიამ მიიღო გამოსაცემად და ისტამბება შემდეგი წიგნები (მხატვრული ლიტერატურა): ნ. ლომოური—მოთხრობები, დ. კლდიაშვილი ტ. 2 (მოთხრობები), ა. წერეთელი ტ. 3 (დრამები), ვაჟა-ფშაველა ტ. 1 (ლექსები), შ. ნავთლუღელი—ლექსები, კ. ლორთქიფანიძე—„ღიმილი“ (ლექსები), კ. ლორთქიფანიძე—„ხავსი“ (რომანი), კ. კალაძე—ლექსები, პ. სამსონიძე, ლექსები, ი. ლისაშვილი—ლექსები, დ. ფურმანოვი—„წითელი დესანტი“, პ. იაშვილი—„ფერადი ბუშტები“ (მოთხრობა), გოეთე—„ფაუსტი“, გ. წერეთელი—თხზულებანი, სვენ გედინი—„დაღუპვის პირად“, ე. გაბლიანი—„თავისუფალი სვანეთი“, ჯალილ - მაჰედ - კული - ზადე — „მიცვალებულნი“, შ. არაგვისპირელი—რჩეული ნაწერები, ტარასოვ-როდიონოვი —„შეკოლადი“ (რომანი), ი. ლიბედინსკი—„შვიდი დღე“ (მოთხრობა), ტ. რამიშვილი—„პიესები“, ე. ბოლუმორდვინოვი—მოთხრობები, ნ. ასლამაზაშვილი—მოთხრობები, სევ. თალაკვაძე—„ბრძოლის დიდ გზაზე“ (რომანი), გალ. ტაბიძე—ლექსები.

◆ „დედოფლის შეთქმულება“. მუშათა თეატრში დღეს რუსული დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება „დედოფლის შეთქმულება“.

◆ „მასკარადი“. დღეს რუსთაველის თეატრში სომხურ ენაზე წარმოდგენილი იქნება პიესა: „მასკარადი“.

კინო

„ბ ე ლ ა“ (ლერმონტოვის მოთხრობის მიხედვით)

რეჟისორი — ვ. ბარსკი. ოპერატორები—პოლიკევიჩი და გეგელი

„ბელა“ ერთი ეპიზოდთაგანია ლერმონტოვის მოთხრობათა იმ სერიიდან, რომელიც ცნობილია „ჩვენი დროის გმირი“-ს სახელწოდებით. მთავარი გმირი ამ მოთხრობებში მოცემულია თავისი ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში. ასევე დანარჩენი მომქმედი პირები, მაგ. მაქსიმ მაქსიმიჩი და სხვ., საერთოა რამოდენიმე მოთხრობისათვის. ამიტომ ერთ ერთ სურათში შეიძლება მოცემულ იქნას მხოლოდ რამოდენიმე შტრიხი, ესკიზი მომქმედ პირების, და მთავარი გმირის ცხოვრებრივი დრამის მხოლოდ ერთი ასპექტი რომელიც დასრულებული სურათის სახეს იღებს მთელი ციკლის გაწყვეტით.

ასეთი პარცელიარული გაშუქება ძნელი საქმეა, მაგრამ აქ რეჟისორს ეშველება ის გარემოება, რომ მოთხრობათა ეს სერია საკმაოდ პოპულიარულია და სიუჟეტის და ტიპების განვითარება მაყურებლისათვის საკმაოდ ცნობილი. ეს ერთის მხრივ ხელშემწყობი გარემოება მეორეს მხრივ ჰბოჭავს რეჟისორის შემოქმედებას. მაყურებელი, რომელიც დაწვრილებით იცნობს მოთხრობას და რომელსაც თავისი საკუთარი სახეები გამოუმუშავებია მის შინაარსზე, თეატრში მოდის როგორც რევიზორი, კონტროლიორი რეჟისორის მუშაობის. მისი გადარწმუნება მოითხოვს არა ჩვეულებრივად მხატვრულად დასრულებულ დადგმას. რეჟისორი არც ცდილა გასცილებოდა მოთხრობის ფარგლებს და მისივე ფარგლებში, მისივე ენით, სტილით და ტემპით სცდილობს გადმოგვცეს ლერმონტოვის ნაამბობი. მას აქ ბევრი არადერი შეუტანია სპეციფიურ საეკრანო, წმინდა ფოტოგენიურ აღნაგობის. პირველი ორი მოქმედება, რეჟისორის მიერ წამატებული მოთხრობაზე, საკმაოდ კარგად დადგმული, უფრო სანახაობრივ სურათების წყებას მიეკუთვნება. ის ორგანიულად არ უკავშირდება მთელ სურათს. ქორწილის სცენაში ოდნავ გაფართოებულია სურათის ყოფა-ცხოვრებრივი ჩარჩოები. დანარჩენში სურათის ინსცენიროვკა და მონტაჟი მოთხრობით არის განსაზღვრული და ამ ფარგლებში საკმაოდ კარგადაა დადგმული.

თითქმის მთელი ტიპაჟი არაჩვეულებრივის გულმოდგინებით არის შერჩეული. გმირი ქალი ბელა (თ. მაჭავარიანი) შემოდის ჩვენს ეკრანზე არა დებიუტანტკის გაუბედავი ნაბიჯებით, არამედ დასრულებულ, მდიდარ ემოციების და ხულიერ ტეხნიკის მქონე, დიდ იმედების მომცემ კინო-მსახიობის სახით. ის არა მარტო გარეგნობით მოუდგა განსასახიერებელ ტიპს, არამედ მთელის არსებით, ყოველ წვრილმანში, ჟესტში, მიმიკაში, მოძრაობაში გადავიდა თავის როლში. აქ არსად არ არის ნასესხები, ან ნაკარნახევი სახის კუნთების ჭიმვა, ეს არის განცდა შინაგანობით.

განსაკუთრებით კარგია უკანასკნელი სცენები გაწბილებულ სიყვარულის და სიკვდილის. ჩვენი ეკრანის ძალების ცვლის დაუსრულებელ მდინარებაში საჭიროა მისი საუკეთესო იმედის მომცემ ელემენტების ფიქსაცია.

პეჩორინის რთული, შინაგანი წინააღმდეგობებით სავსე ბუნება, რომელშიდაც ლერმონტოვის თქმით მოცემულია ცუდი მხარეები მთელი თაობისა მთელ მის განვითარებაში, ყველაზე მკრთალად და ღარიბულად არის მოხაზული მოთხრობა „ბელაში“, ამიტომ სურათში ძნელია ტიპის სრული შინაგანი გამსჭვირვალეობის, მისი ბუნების მთელი სირთულის მოცემა. ტიპი როგორც მოთხრობაში, ისე სურათში მოცემულია თავის ერთ ასპექტში. და ტიპის თუხდაც ამ ასპექტში ამოწურვას ხელს უშლის ის გარემოება, რომ სურათში იშვიათადაა გამოყენებული დრამის გამომეტყველებითი ექსტრაქტი —„მსხვილი პლანი“, სადაც ასე ფართოდ იშლება ეკრანისათვის სპეციფიური მიმო-დრამის დიდი შესაძლებლობანი, როცა სახე ფართოვდება მთელი ეკრანის სივრცეზე და როცა ის იტევს მთელ დრამას. ვნახოთ დანარჩენი სურათები რას მოგვცემს ამ მიმართულებით.

ძალიან კარგია კაზბიჩი (თაყაიშვილი). აქ იმდენი ცეცხლი, ჯიგიტის გიჟმაჟი ტემპერამენტია მოცემული მის თვითეულ მოძრაობაში, იმდენი გამომეტყველება მის თავზეხელაღებულ არწივისებურ შემოხედვაში. განსაკუთრებით კარგია ცხენის მოტაცების სცენა. აქ მთელის არსებით განცდილია ეს სასოწარკვეთილება საყვარელ მეგობრის დაკარგვისა. ის კარგია ქორწილზე ხელჩართულ ბრძოლის სცენაშიც.

მშვენიერია მერაბიშვილი (აზამატი). არა ჩვეულებრივ მდიდარი, მეტყველი სახე, შესრულება ნამდვილის მთიურის ტემპერამენტით მს. ოზოლენსკი მოთხრობის სულისკვეთებასთან შეთანხმებით ქმნის ყველასა და ყველაფრისადმი სიყვარულით გამთბარ სახეს მაქსიმ მაქსიმიჩისა. კარგია ბელას მამაც (არაბიძე). კარგია მოლარის ეპიზოდიურ როლში მს. ქორელი და მისი მეუღლე (ზელეცკაია). დამახასიათებელია გულნარ (ტატოსოვა) და ბელას ძმა (ქიაურელი).

შ.

ბიბლიოგრაფია

ჟ. ფ. ხორაბინი „მსოფლიო ეკონომიური გეოგრაფია“

სახელგამი, გვ. 146 1927 წ.

სარეცენზიო წიგნაკი წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიურ გეოგრაფიის მეტად ორიგინალურ სახელმძღვანელოს. ეკონომიურ გეოგრაფიის საგანი დღემდე ბევრი მეცნიერისათვის გაურკვეველი რჩება, ზოგი კიდეც უარყოფს ეკონომიური გეოგრაფიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერული დისციპლინის არსებობას. ეკონომიური გეოგრაფიის სათანადო გაგებას ხელს უშლის ის გარემოება, რომ დღემდე არ მოიპოება თითქმის არც ერთი სახელმძღვანელო მარქსისტულად დაწერილი. ეკონომიური გეოგრაფიის არსებულ სახელმძღვანელოთა უმრავლესობა მეტ წილად ვერ განთავისუფლებულა ე. წ. „წმინდა“ გეოგრაფიის გავლენისაგან. ხორაბინის ხსენებული წიგნი თითქოს ავსებს ამ ნაკლს, რამდენათაც ის არის მარქსისტული ეკონომიური გეოგრაფიის პირველი ცდა. აღსანიშნავია, რომ ეს წიგნი ინგლისურ ენაზეა გამოსული 1923 წელს და მისი გადმოცემა ქართულ ენაზე მხოლოდ მიმდინარე წელს მოხერხდა.

ხორაბინს შეაქვს ეკონომიური გეოგრაფიის ჯაგებაში ახალი, ამ მეცნიერების მიერ დღემდე გვერდშევლილი ელემენტი. ეს არის ეკონომიურ და პოლიტიკურ გეოგრაფიის დაკავშირება ისტორიასთან. „ისტორიის გაგება—ლაპარაკობს ავტორი—შეუძლებელია გეოგრაფიისა და გეოგრაფიული ფაქტორების გარეშე, რადგან მათ „პასიური“ გავლენა ჰქონდათ ისტორიაზე და კაცობრიობას წამოუყენეს გადასაწ ვეტად სხვადასხვა საკითხები... გეოგრაფიის შეგნებული შესწავლა (თუ მხედველობაში გვექნება, რა დამოკიდებულება ჰქონდა მას ადამიანის ცხოვრებასთან) შეიძლება მხოლოდ ისტორიით“. (გვ. 11).

ამას ეკონომიური გეოგრაფიის ვერც ერთ სახელმძღვანელოში ვერ შევხვდებით, რადგან ყველგან გვერდს უვლიან ისტორიულ მომენტს. ამიტომ ხორაბინის მსოფლიო ეკონომიური გეოგრაფია არის ამავე დროს კონსპექტი მსოფლიოს მნიშვნელოვან მხარეების ეკონომიური ისტორიისა.

ხორაბინის უმთავრესი ღირსება ამხ. ნ. პოპოვის თქმით იმაშია, რომ „ამ წიგნის სახით ჩვენ გვაქვს გეოგრაფიის მარქსისტული და კომუნისტური სახელმძღვანელო, რომელიც აკავშირებს თავის გეოგრაფიულ და ისტორიულ ნაწილს დღევანდელი დღის პოლიტიკურ პრობლემებთან. კერძოთ მის ძირითად პრობლემასთან, რომელიც გამოიხატება პროლეტარიატის მიერ ძალა-უფლების ხელში ჩაგდებით მსოფლიო სოციალისტური მეურნეობის შექმნაში“.

თვით ხორაბინი თავის მოკლე შრომის უმთავრესს დანიშნულებას იმაში ხედავს, რომ მან უარყო „წმინდა“ გეოგრაფიის შედგენა, რადგან „წმინდა“ გეოგრაფია, ე. ი. გეოგრაფიული ფაქტების მთელი მასა არასოდეს არ წარმოადგენს კლასობრივ თვალსაზრისით შეჯახების საგანს. ჩვენი წიგნაკი ისახავს სულ სხვა მიზანს. იგი ეხება „წმინდა“ გეოგრაფიას კი არა, არამედ გეოგრაფიას დამოუკიდებლად ისტორიასა და ეკონომიკასთან, ორ დარგთან, რომელთაც აქვთ პროლეტარიატისთვის უმთავრესი დანიშნულება“.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვითომდა ხორაბინი უარყოფდეს გეოგრაფიული ფაქტორების გავლენას საზოგადოებრივ განვითარებაზე. პირიქით, ავტორი გეოგრაფიულ ფაქტორებს ფრიად მნიშვნელოვან როლს ანიჭებს. მისი თქმით „საერთაშორისო თანამედროვე პრობლემები, უმრავლეს შემთხვევაში, თვით იმპერიალიზმის ბუნებისაც კი—როგორიც არის კაპიტალიზმი, არის ამავე დროს გეოგრაფიული პრობლემები“.

წიგნის პირველი ნაწილი მიძღვნილია იმის გამორკვევისადმი, თუ რა ურთიერთობაშია მთლიანად საზოგადოება და კერძოთ თითოეული ადამიანი გეოგრაფიულ პირობებთან, რა კავშირი არსებობს გეოგრაფიასა და ისტორიას შორის და რაში გამოიხატა გეოგრაფიული პირობების გავლენა კონკრეტულად ეგვიპტის, ამერიკის და ინგლისის განვითარებაზე

გეოგრაფიული პირობები თავისთავად აღებული ავტორის თქმით არ შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობის იქნას. „გეოგრაფიული პირობები შეიძლება იყოს ან ხელისშემწყობი, ან ხელის შემშლელი მხოლოდ სხვა რაღაცასთან შეფარდებით. ეს „სხვა რაღაცა“ არის ტეხნიკური ან ეკონომიური განვითარების ხარისხი, რომელსაც მიაღწიეს ამ ადგილის ან მახლობელი ადგილის მცხოვრებლებმა“ (გვ. 16).

მეორე ნაწილში ავტორი ისტორიული თვალსაზრისით განიხილავს მდინარეთა ველებს, შინაგან ზღვებს. ოკეანეს და ხმელეთის ტრანსპორტს. ამის შემდეგ ავტორი არჩევს ცალკე ქვეყნების იმ პოლიტიკურ, ეკონომიურ და გეოგრაფიულ ცვლილებებს. რომელიც მოჰყვა მსოფლიო ომს. ეკონომიური გეოგრაფიის ობიექტიურ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს ავტორის მიერ მსოფლიოს კლასიფიკაცია ხუთ მთავარ ეკონომიურ და პოლიტიკურ ჯგუფად ესაა: ამერიკის, შორეულ აღმოსავლეთის, რუსეთის, ბრიტანეთის იმპერიის და საფრანგეთის ჯგუფები.

ამგვარად იძლევა მსოფლიო ეკონომიური გეოგრაფიის ყველაზე საინტერესო სახელმძღვანელოს, რომელიც დიდ სამსახურს გაუწევს პირველ რიგში პარტსკოლებისა და მუშფაკთა მსმენელებს. ხორაბინის მსოფლიო ეკონომიური გეოგრაფია სახელგამის გამართლებულ გამოცემათ უნდა ჩაითვალოს.

წიგნს დართული აქვს 41 რუკა, შენიშვნები მოწაფეთა და მასწავლებელთათვის განმარტებითი დამატება მსოფლიოს ხუთი მთავარი ჯგუფის შესახებ. თარგმანი სუსტია.

ახალი.

„Новый Леф“. რუსეთის ხელოვნების მემარცხენე ფრონტის ყოველთვიური ჟურნალი ვ. მაიაკოვსკის რედაქტორობით

№ 1. 1927 წლის იანვარი. რუსეთის სახელგამი. ფასი 60 კაპ.

ორი წელიწადია, რაც შესწყდა მემარცხენე ხელოვნების მსხვილტანიანი ჟურნალის „Леф“-ის გამოცემა. ამ ორგანომ დიდი როლი ითამაშა რუსეთის ხელოვნების ისტორიაში, ძველი, კონსერვატიული ტრადიციების დასარღვევათ.

ამ ორგანომ მიმართება მისცა ახალ თეატრალურ ხელოვნებას. (მეირხოლდი, რადლოვი, ფორეგგერი, სმიშლიაევი და სხ.) „Леф“-ის რიგებიდან—საბჭოთა კინემატოგრაფიამ მიაღწია მსოფლიო რეზონანს (ეიზენშტეინი და სხ.) აქ გაიკვლია გზა ახალმა სახვითი ხელოვნებამ (ტატლინი, მალევიჩი, როდჩენკო და სხ.), „Леф“-მა ჩამოაყალიბა ლიტერატურული კრიტიკისა და ხელოვნების თეორიის მძლავრი სკოლა, (შკლოვსკი, ეიხენბაუმი, არვატოვი, ბრიკი, იაკობსონი და სხ.),

„Новый Леф“, აგრძელებს ძველი Леф„-ს მხატვრულ ხაზს და მის იდეოლოგიურ ორიენტაციას.

ო. ბრიკის, ს. ტრეტიაკოვის, ბ. არვატოვის და სხ. წერილებში აღებულია ხაზი ნოვატორობისა, საბჭოთა მხატვრული კულტურის საკუთარი დამოუკიდებელი გზებით განვითარებისა, ახალი მხატვრული ფორმების აპოლოგიისა და ხელოვნების საერთო პოლიტიკურ და სოციალურ ინტერესებთან მჭიდრო დაკავშირებას, მეტად საყურადღებოა ვ. შკლოვსკის წერილი—„მწერლის შესახებ“.

პოეზიის განყოფილებაში გარდა მაიაკოვსკის შესანიშნავი ლექსისა „წერილი მაქსიმ გორკისადმი“ ჟურნალში დაბეჭდილია პასტერნაკის, ასეევის, ტრეტიაკოვის და სხვათა ახალი ლექსები. ჟურნალს აქვს მხატვრული პროზისა და სახვითი ხელოვნების განყოფილებაც.

აღსანიშნავია, რომ „Новый Леф“-ში გამოდიან ახალი თანამშრომლებიც, რაც მემარცხენე ხელოვნების ძალთა ახალი კადრებით შევსებას უდრის.

ბ.—ნ.

ქალაქის კეთილმოწყობა

კომუნარების ბაღის გაფართოება

თბილისის აღმასკომს განზრახვა აქვს გააფართოვოს კომუნარების ბაღი და გააერთიანოს იგი სამხატვრო გალერეის ქვემოთ მდებარე ბაღთან. ამ მიზნით საჭირო გახდება ბაღებს შორის ამჟამად მდებარე ქუჩის დაკეტვა და მის ადგილას პლანტაციების გაშენება.

თავის უკანასკნელ სხდომაზე აღმასკომის პრეზიდიუმმა განიხილა ეს საკითხი და გადასწყვიტა აღნიშნული ბაღების გაერთიანების საკითხი შეტანილი იქნეს ქალაქის კეთილ მოწყობის შესახებ შემუშავებულ 5 წლიან პერსპექტიულ გეგმაში.

ქუჩების განათება

ზაჰესის ამუშავებასთან დაკავშირებით ამჟამად მუშავდება ქალაქის ქუჩების განათების პროექტი. მთელი ქალაქის ქუჩები დაყოფილია ორ კატეგორიათ. ცენტრალური ქუჩები და ბაღმოედნები გამოყოფილია საერთო გეგმიდან და მათი განათება მოხდება განსაკუთრებული წესებით, ხოლო დანარჩენი ქუჩების განათების გეგმას გამოიმუშავებს თბ. ელექტრო მოწყობილობათა სამმართველო.

იურიდიული დახმარება

ავადმყოფობის დროს დახმარების გაცემის შესახებ

კითხვა

1925 წლის ივნისიდან სექტემბრამდე ვიყავი დამზღვევ კასის მიერ გაგზავნილი საქმიოდ კურორტ აბასთუმანში და მაქვს მიღებული ფულადი დახმარება 1-ლ სექტემბრამდე. 1925 წლის 1-ლ სექტემბერს ავადმყოფობის გამო ვერ გავემგზავრე სამსახურის ადგილზე, დავრჩი აბასთუმანში და მოვითხოვე პენსიაზე გადარიცხვა. სხვადასხვა მიზეზების გამო პენსიაზე ჩემი გადარიცხვა მოხდა მხოლოდ 1926 წლის მარტ-აპრილში და პენსიაც ამავე რიცხვიდან დამინიშნეს. გთხოვთ განმარტებას, მერგება თუ არა რაიმე დახმარება 1925 წლის სექტემბრიდან 1926 წლის მარტამდის და ვისგან, ვინაიდან ამ თვის განმავლობაში არსაიდან (არც დამზღვევ კასიდან და არც სამსახურის ადგილიდან) არავითარი ჯამაგირი ან დახმარება არ მიმიღია.

პენსიონერი № 181.

პასუხი

თანახმად არსებული წესებისა, ავადმყოფ (დროებითი შრომის უნარ მოკლებულს) მუშამოსამსახ. დახმარება უნდა მიეცეს დამზღვევ სალაროდან დღიდან მისი დაავადებისა იმ დრომდის, სანამდის იგი განიკურნებოდეს და შეძლებდეს კვლავ სამუშაოზე დაბრუნებას, ან და მის გარდაცვალებამდის, ან და სანამდის მისი სამუდამო შრომის ინვალიდობა დადასტურებულ იქნებოდეს სათანადო საექიმო-საკონტროლო კომისიის მიერ. თქვენ უნდა მოგცემოდათ დამზღვევ სალაროდან დახმარება მანამდის, სანამდისაც თქვენ პენსიაზე გადარიცხულ იქნებოდით, თუ კი თქვენი შრომის ინვალიდობის დადასტურების დაგვიანების მიზეზი თქვენზე არ იყო დამოკიდებული (იხ. საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ ზრუნვის სამმართველოს ცირკულიარი № 84-ის მუხ. პირველი 1925 წლის 23 ივლისიდან).

პარტიული კალენდარი

ს. კ. პ. (ბ) ც. კ. საორგ.-განმან. ქვე-განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. მეგრელიძე მოსეს, კვიცარიძე გიორგის, ცხაკაია დომენტის და ბაქრაძე კონსტანტინეს ა.-წ. 16 თებერვალს გამოცხადდენ ც. კ. საორგ. განმან. განყოფილებაში ამხ. მაშკევიჩთან.

16 თებერვალს საღამოს 6 საათ. ლენინიონის ქალთა კუთხეში შესდგება დელეგატ ქალების ქართულ ჯგუფის მეცადინეობა.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომის მუშა, და გლეხ ქალთა განყოფილება იუწყება, რომ ოთხშაბათს ა. წ. 16 თებერვალს საღამოს 5 ნახევარ საათზე მუშათა ცენტრალურ კლუბის შენობაში (ქალთა კუთხე) შესდგება იურიდიული სექციის პირველი საორგანიზაციო კრება ქართულ და რუსულ ენაზე.

სავალდებულოა ზემოაღნიშნულ სექციაში ჩაწერილ დელეგატ ქალთა დასწრება.

სახ. უნივერსიტეტის კომპარტიის და კომკავშირის გაერთიანებულ უჯრედთა ბიურო კოლექტივები იტყობინება, რომ დღეს (ოთხშაბათს) საღამოს 6 საათზე უნივერსიტეტის შენობაში მოწვეულია პედაგოგიურ ფაკულტეტის კომპარტიისა და კომკავშირის უჯრედთა გაერთიანებული არა ჩვეულებრივი სასწრაფო კრება.

დასწრება სავალდებულოა, როგორც წევრთათვის, ისე კანდიდატთათვის ყოველ მიზეზს გარეშე.

— თბილისის კომიტეტის ბიურო სთხოვს თბილისის კომიტეტის იმ წევრებს და კანდიდატებს, რომელთაც არ მიუღიათ მანდატები, გამოცხადდენ ასეთების მისაღებათ თბილისის კომიტეტში ოთახი 31.

სამუდამოთ დამწუხრებულნი: მეუღლე ეკატერინე ივანეს ასული, შვილები. გიორგი, ალექსანდრე, ნიკოლოზ, დავით სენგელაიები და ელენე ყანჩელისა, სიძე ალექსანდრე ყანჩელი, რძლები ლიუსია და ოლია შენგელაიასი და შვილისშვილები სალომეა, შურიკი და ნატალია გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ 13 თებერვალს უეცრად გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი

მიხეილ გიორგის-ძე შენგელაია

სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 7 საათზე. იზმაილოვის ქ. № 9. დაკრძალვა ცალკე.

1688

„საკოოპრუს“-ის საქართველოს რესპუბლიკაური განყოფილება მწუხარებით იუწყება, რომ კვირას, 13 თებერვალს, საღამოს 9 საათზე და 30 წუთზე, გარდაიცვალა განყოფილების საუკეთესო, ენერგიული, საერთო საქმისთვის თავდადებული და უსპეტაკესი თანამშრომელი

მიხეილ გიორგის-ძე შენგელაია

რომლის გამოსვენება მოხდება ხუთშაბათს, 17 თებერვალს, ნაშუადღევის 3 საათზე, საკუთარ ბინიდან ლომინაძის (იზმაილოვის) ქ. № 9.

1678

„საკოოპრუს“-ის საქართველოს განყოფილების მოსამსახურენი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს თავიანთ უაღრესად პატივცემულ ამხანაგის, მეგობრის და თანამშრომლის

მიხეილ გიორგის-ძე შენგელაიას

მოულოდნელ გარდაცვალებას. გამოსვენება ხუთშაბათს, 17 თებერვალს ნაშუადღევის 3 საათზე, საკუთარ ბინიდან, ლომინაძის (იზმაილოვის) ქ. № 9.

1679

ვასილ თევდორეს-ძე ხოშტარია, დედა მისი ეკატერინე ბეჟანის ასული, მეუღლე ალექსანდრა გიორგის ასული შვილებით—ლიუბა, ბორია, ყორა და მარუსიათი გულის ტკივილით აუწყებენ მეგობარ-ნაცნობთ, რომ 13 თებერვალს, უეცრად გარდაიცვალა საყვარელი ბიძაშვილი და დაუვიწყარი მეგობარი, სპეტაკი ადამიანი

მიხეილ გიორგის-ძე შენგელაია

სამოქალაქო პანაშვიდები ყოველდღე საღამოს 7 საათზე. ლომინაძის ქუჩა № 9 (ყოფ. იზმაილოვის), დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

1684

ღრმად დამწუხრებული შვილები აკაკი იოსების-ძე, ელენე და ელენე იოსების ასულნი ლორთქიფანიძეები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ორშაბათს, 14 თებერვალს, სოფელ დიდ-ჯიხაიშში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი და საყვარელი მამა

იოსებ ოტიას-ძე ლორთქიფანიძე

რომლის დაკრძალვა მოხდება 17 თებერვალს, სოფელ დიდ ჯიხაიშში ქვაშვეთის ეკლესიის სასაფლაოზე.

1686

ღრმად დამწუხრებული შვილი ნინო იოსების ასული, სიძე ალექსანდრე კონსტანტინეს-ძე და შვილის-შვილები თინათინი, გიორგი და ანა მაჭავარიანები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 14 თებერვალს, სოფელ დიდ ჯიხაიშში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და საყვარელი

იოსებ ოტიას-ძე ლორთქიფანიძე

რომლის დაკრძალვა მოხდება 17 თებერვალს, სოფელ დიდ ჯიხაიშში ქვაშვეთის ეკლესიის სასაფლაოზე.

1686

ღრმად დამწუხრებული შვილი მარიამ იოსების ასული, სიძე იუსტინე აფრასიონიძე და შვილის შვილები ვლადიმერ და თამარ გამყრელიძეები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 14 თებერვალს სოფელ დიდ ჯიხაიშში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

იოსებ ოტიას-ძე ლორთქიფანიძე

რომლის დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 17 თებერვალს, დიდ ჯიხაიშში ქვაშვეთის ეკლესიის სასაფლაოზე.

1686

სამუდამოთ დამწუხრებული: ძმები—ბენო, ნოე, გრიგოლი, ევტიხი, დები ანეტა, მარუსია, ნინა, ზინაიდა, რძლები, პალინა, სუსაკი, საშურა, საშა, სიძენი: ნოე, დათიკო, გიორგი აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ უდროოთ გარდაიცვალა ახალგაზრდა, სიცოცხლით ღსავსე

ლუბა გლახუნის ასული ზერაძე

გამოსვენება მოხდება ოთხშაბათს, 16 თებერვალს, დღის 4 საათზე, 1-ლ საავადმყოფოდან (უ, არამიანცის საავად.) დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

1667 2—1

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის სიღნაღის განყოფილების თანამშრომელნი მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და მეგობრებს, რომ სოფელ ჯუგაანში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოთ გარდაიცვალა დამსახურებული კოოპერატორი და იშვიათი დაუღალავი მუშაკი, ჯუგაანის საკრედიტო ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარე

რუბენ იოსების-ძე კიკილაშვილი

დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 17 თებერვალს.

გულდამწვარი მეუღლე ხადია ანტონის ასული, შვილები: კონსტანტინე, ვლადიმერი, სევასტი, ანანია და მიხეილი, რძალი ფანია რობერტის ასული, ქალიშვილი რიფსიმე ბოკერიასი, სიძე მიხეილ ივანეს-ძე ბოკერია შვილებით—გივით და ოთარით გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ მათთვის დაუვიწყარი

მამსიმე ზაქარიას-ძე ხვინგიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 17 თებერვალს საღამოს 4 საათზე, ქ. ქუთაისში საფიჩხიის სასაფლაოზე. გამოსვენება საკუთარ სახლიდან № 6 აკაკი წერეთლის ქუჩის მე-6 შესახვევში. სამოქ. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 5 საათზე.

ნ. 655

სახელმწიფო დრამა

ხუთშაბათს 17 თებერ. ნ. შიუკაშვილის **ამერიკელი ძია**

ორიგინალური კომედია 4 მოქმედ. და 3 ინტერმედიით

დადგმა ალ. ახმეტელის.

მხატვარი: მ. შავიშვილი.

შაბათს, 19 თებერვალს, ანტონოვის **მზის დაბნელება საქართველოში**

კომედია 3 მოქმედებად.

დადგმა კ. მარჯანიშვილის. დეკორაციები: სიდამონ ერისთავისა.

სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი.

3—1 ნ. 648

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 16 თებერვ. **ტოსკა** მონაწილეობენ: ბოგოლეპოვა, ანდღულაძე, ქარცივაძე

დირიჟორი სახალხო მსახიობი ი. ფალიაშვილი

ხუთშაბათს, 17 თებერვ., სანდრო ინაშვილის, ხარიშევსკაიას, ვოლჩანეცკაიას, მაყაშვილის, კანსბურგის და შარაშიძის მონაწილეობით.

ევგენი ონეგინი

შაბათს, 19 თებერვალს პრემიერა **ტრუბადური**

ნ. 654

ცირკი ძმ. ტანტების

ს.ს.ს. რესპ. დამსახ. მსახ. ძმ. ტანტების ხელმძღვანელობ. ოთხშაბათს 16 თებერვალს

საუკეთესო სანახაობანი მთელი დასის მონაწილეობით 3 საერთო განყოფ. საუკეთესო №№. გარდა ამისა მე-21-ე დღე ფრანგული ჭიდაობის ჩემპიონატისა ცნობილ არბიტრ ი. ვ. ლებედევის (ძია ვანო) ხელმძღვანელ.

დღეს ჭიდაობს 4 წყვილი

პირვ. წყვილი ნიდაბი „ჰერკულესი“ — შ უ ლ ც ი

მეორე წყვილი მაისურაძე — ვინიჩენკო

მესამე წყვილი სიდიუკ—ვერხოგოროვ

მეოთხე წყვილი ლეში — მედვედენკო

დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე ადმ. ხელმძ. მ. ი. ტადე.

1—1 ნ. 652 ტელ. 16—67

აპოლო ტელ. 7—61. **არფასტო** ტელ. 13—22. **სოლეი** ტელ. 20—14. **დარბაზი** ტელ. 14—04

დღეს და ყოველ დღიურათ საქართველოს სახკინმრეწვის ახალი სურათი

ბ ე ლ ა

„ჩვენი დროის გმირი„-ს ციკლიდან (ლერმონტოვის ნაწარმოების მიხედვით).

დადგმა **ვ. ბარსკის**

ოპერატორები. **ა. პოლიკევიჩი. ფ. გეგელი**

მთავარ როლებში: **თინა მაჭავარიანი, ნ. პროზოროვსკი, ა. თაყაიშვილი, მ. ოზოლენსკი.**

0—12 ნ. 587

საქართველოს სახალ. მეურნეობ. უმაღლეს საბჭოს

„სახელმწიფო სასწორი“

ამით აუწყებს ყველა დაწესებულებებს, ქარხნებს ფაბრიკებს და წარმოებებს, რომ ის შესაკუთრივლად ღებულობს ყოველგვარ დაწოლის მანომეტრებს ზომა-წონის პალატის დაღით და შემოწმებით.

2-1 ნ. 595 მისამართი: პლეხანოვის, 117

ექიმი **ე. მ. მძინარიშვილი**

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.

რუსთაველის პროსპ. ტი № 18 (შესავალი წყლუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—19

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო

ბ ა ნ კ ი

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 20 თებერვალს, დილის 10 საათზე, ბანკის შენობაში (ცეცხოველის ქ. № 5) იხსნება:

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო კრედიტის მუშაკთა ყრილობა

ყველა ცნობები და საჭირო მასალები დელეგატებს შეუძლიათ მიიღონ ბანკის შენობაში ყოველდღე 9-დან ნაშუადღევის 3 ნახ. საათამდე და საღამოს 7-დან 9 საათამდე.

2—1 ნ. 656

„ბაღბოსტანკავშირი“-ს სალიკვიდაციო კომისია

ამით აცხადებს ყველა კრედიტორების საყურადღებოდ, რომ ყოველგვარი პრეტენზიები „ბაღბოსტანკავშირი“-სადმი

წარმოდგენილი უნდა იქნეს არა უგვიანეს 1927 წ. 1-ლ მარტისა

პრეტენზიები, რომელნიც წარმოდგენილი იქნება აღნიშნულ ვადის შემდეგ, არ იქნება მიღებული მხედველობაში

სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარე კ. კაკაბაძე

1681 მისამართი: თბილისი, კომინტერნის ქუჩა № 3

თბილისის საოლქო კავშირგაბმულობის მთავარი ფოსტის კანტორა (პლეხანოვის გამზირი № 44) ამით აცხადებს

თბილისის მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ შაბათს, 19 თებერვალს, დილის 11 საათზე, კანტორის შენობაში

საჯარო ვაჭრობით

გაიყიდება მიღებაზე უარ გაცხადებულ და მოუთხოვნელ ამანათებში და წერილობითი გზავნილებში აღმოჩენილი სხვადასხვა სახის საგნები. ასეთებში, სხვათაშორის, გასაყიდია 18 ყუთი სხვადასხვა ღირსების ტკბილი სასმელები.

გასაყიდ საგნების სია გამოკიდულია კანტორის შენობაში (პირველ და მეორე დარბაზებში).

თუ საჯარო ვაჭრობა 19 არ შესდგა, ის მოხდება კვირას, 20 თებერვალს, დილის 11 საათზე.

თბილისის ფოსტის კანტორის გამგე კუპრავა.

ნ. 659

თბილისის ქალაქის ლომბარდი

(ლორის-მელიქოვის ქ. № 8) ამით აცხადებს, რომ კვირას, 20 თებერვ., დილის 10 საათზე დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ვადა გასულ გირაოების გასასყიდათ. გასასყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ქალაქის ლომბარდში. ნ. 657

ქ. ქუთაისის მე-2 უბნის სასამართ. აღმასრულებელი ვლ. კანდელაკი

ამით აცხადებს, რომ 1927 წლის 22 თებერვალს, დილის 11 საათზე ქ. ქუთაისში, ჩოგოვაძის ქუჩაზე, დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა**: გაიყიდება ბეგლარ სიმონის-ძე ზენიძის კუთვნილი ორ სართულიანი სახლი კიბეებით და აივნით, დახურული კრამიტით, აგებული საზოგადო ნაკვეთ მიწაზე-ზომით დაახლოვებით 200 კვად. საჟ ნი, ეკატერინე კუხალაშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად. სახლი დაფასებულია 300 მანეთ, რომელ თანხიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა. ვისაც სურს მონაწილეობის მიღება საჯარო ვაჭრობაში, უნდა წარმოადგინოს სამ. საპ. კოდ. 311 და 312 მუხ. აღნიშნული ცნობები და საწინდარი 10 პროც.

ნ. 655

საქართველოს საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კავშირის ცენტრალური

გ ა მ გ ე ო ბ ა

ამით აცხადებს, რომ რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში ა. წ. თებერვლის 20-ს, დღის 12 საათ.

მოწვეულია კავშირის უმუშევარ წევრთა საერთო ხაქალაქო კრება თბილისის ხაბჭოს დეპუტატები, ააარჩევად

აღნიშნულ კრებაზე კავშირის უმუშევარ წევრთა დასწრება აუცილებელია.

ნ. 656 საქ. საბჭ. და სავ. მუშაკების კავშირის ც. გ. ბა

ჩქარი და საფუძვლიანი შესწავლა

ორმ. ბუხჰალტერიის თეორიის და პრაქტიკის

საბჭ. და სავ. მუშ. პროფკავშირის 2-ე სააღრიცხო მეცნ-თა

კურსებზე

მსმენელთა მიღება გრძელდება. დგება ახალი ჯგუფი. ისწავლება ბუხჰალტერიის სპეც. დარგები. პირობები შეღავათიანია. დაწვრილებით—კურსების კანცელარიაში საღამოს 5—7 საათ. კოოპერაციის ქუჩა № 17, 33-ე შრ. სკოლა (მუშტაიდის მახლობლად).

1689 5—1

დაიკარგა აქცია № 8 გაცემული ქალ. სიღნაღის კომუნალურ ბანკიდან, მესამე გამოცემა ივანე ისაკის-ძე შალვაშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 658

დაიკარგა საწევრო აღრიცხვის წიგნაკი, ფორმა № 4, გაცემული ვიქტორ ივანეს-ძე კაციტაძის სახელზე, ჩ. გ. 1682

დაიკარგა პროფ. წიგნაკი, ფ. № 4, ვლადიმერ მიხეილის-ძე გოგოლიძის სახელზე, ჩ. გ. 1683

დაიკარგა მედსანშრომის კავშირის წიგნაკი № 6338, კომკავშირის წევრობა და გორის კომკავშირის უჯრედიდან თბილისის უჯრედში გადმორიცხვის საბუთი მიხეილ დავითის-ძე ზუბაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1687

დაიკარგა პირადობის მოწმობა მოცემული ოზურგეთის სამაზრო მილიციის სამმართველოდან და სახელმწიფო უნივერსიტეტიდან გრიშა ჯინჭარაძის სახელზე, ჩ. გ. 1685

დაიკარგა კავშირის წიგნაკი № 1322 და ბირჟის ბარათი, გაიანე მელიქსეტიანის სახელზე, ჩ. გ. 1680

საქართველოს ს.ს. რესპ. სახელ. გამომცემლობის „სახელგამი“-ს

ბ ა ლ ა ნ ს ი

1925 წლის 1 ოქტომბრისთვის

აქტივი.

№	მუხლების დასახელება	ჯამი კერძო	ჯამი საერთო
	ფულადი საშუალებანი		
	ა) კასა	3050—33	
	ბ) მიმდინარე ანგარიშები	897—98	3948—31
	პაიები და აქციები	—	9000—0
	საქონელი		
	საწყობში:		
	ა) საკუთარი გამოცემანი	47.716—65	
	სხვისი გამოცემანი	15.080—93	
	ბ) მაღაზიებში: წიგნები	123.232—29	
	„ „ საკანცელარიო ნივთები	71.758—54	
	„ „ სათამაშოები	4.992—63	
	„ „ ნოტები და მუსიკ. ინსტრ.	6.538—65	269.319—69
	ქაღალდი საწყობში	—	12.706—77
	გამოცემულია წიგნები		
	ა) საგამომცემლო ხარჯები	45.646—34	
	ბ) ჰონორარის ანგარ. გაც. ავანსი	8.126—40	53.772—74
	საკომისიო წიგნები		27.416—00
	ქონება		5.359—31
	თამასუქები:		
	ა) პორთფელში	40.849—59	
	ბ) აღრიცხვაზე	40.500—00	81.349—59
	დებიტორები:		
	ა) სხვადასხვა პირები და დაწესებ.	97.224—97	
	ბ) ავანსები და ანგ. ქვეშ გაც. თანხ.	6.341—95	103.566 92
	ზარალი 1 ოქტ. 1925 წლისთვის		319.592 62
	ბალანსი	—	886.031—95

საქართველოს სახელგამის გამგე: ვირაპ

მთავარი ბუღალტერი: მ. სულუხია

ნ. 647

პასივი.

№	მუხლების დასახელება	ჯამი კერძო	ჯამი საერთო
1.	კაპიტალები:		
	ა) ძირითადი ფონდი	285.026—31	
	ბ) საბრუნავი	81.185—00	
	გ) სათადარიგო კაპიტალი	8.785—39	374.996—70
2.	საამორტიზაციო ფონდი		904—94
3.	სესხები ბანკში ხოლო-თამასუქების ქვეშ		100.000—00
4.	ბანკები თამასუქთა დახურდავებით		40.500—00
5.	გასასტუმრებლი თამასუქები		205.268—30
6.	კრედიტორები:		
	ა) სხვადასხვა პირები და დაწესებ.	121.087—59	—
	ბ) სალიტერატურო-სამხატ. სექცია	9.752—89	
	გ) კომიტენტები	28.614—71	159.455—19
7.	გარდამავალი თანხები		4.906—82
	ბალანსი	—	886.031—95

დამტკიცებულია სახელმწიფო სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა ბალანსების განმხილველ საუწყებათაშორისო კომისიის და საქართველოს ეკონომიურ საბჭოს მიერ 1926 წლის 7 ოქტომბერს № 38022-ით.